ყველაფერი სპორტზე

# ლელო

გამოიცემა 1934 წლიდან

პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

Beijing 2008 დარჩა 55 დღე

№ 139 (12 515) 14 ივნისი შაბათი 2008 წელი ფასი 50 თეთრი



## სკოლარის ჩელსიში რონალდინიო უნდა

პორტუგალიაში კეირუში მიდის? »»» 10

## რას აპირებს ლიოვი?

ბუნდესგუნდი სასტიკად გააკრიტიკეს »»» 8



UEFA EURO2008 Austria-Switzerland

| დღეს | |
|---|---|
| D ჯგუფი | |
| ინსბრუკი | |
| შვედეთი-ესპანეთი | 20:00 |
| D ჯგუფი | |
| ზალცბურგი | |
| საბერძნეთი-რუსეთი | 22:45 |

# ევროპის მბრძანებლები

## დიდებული ჰოლანდია, მესამე მეოთხედფინალისტი

## 7:1 ორ მატჩში



## რეჰაგელი ჰიდინკზე ჰკიდია



D ჯგუფი »»» 6

## იტალია ბუფონმა იხსნა

მაგრამ მსოფლიო ჩემპიონი, თავის ვიცე-ჩემპიონიანად, შეიძლება, წყალმა წაიღოს

C ჯგუფი »»» 5





უნდა დაენიშნა თუ არა პენალტი ჰოვარდ უებს?

## ინგლისელ არბიტრს სიკვდილით ემუქრებიან

»»» 9

შენ რას ფიქრობ, კოლეგა. ევრო 2008

# აქცენტი შედეგზე და პირველი გოლის ფაქტორი

## ჩემპიონატის კოლეგისეული სცენარი

ეს რუბრიკა თქვენთვის უკვე კარგადაა ცნობილი. მიუხედავად იმისა, რომ კონტინენტის პირველობა ეკვატორს უახლოვდება, რუბრიკა თანდათან უფრო მეტ ინტერესს იძენს.

მაშ ასე, ვნახოთ, თუ რას ფიქრობენ ჩვენი კოლეგები ევრო 2008-ზე.

ტრადიციულად დღესაც სამი კითხვა გვაქვს და ამჯერად გვყავს სამი რესპონდენტი.

**1. რითი განსხვავდება ევრო 2008, კონტინენტის წინა ჩემპიონატებისგან?**

**2. ბომბარდირობაზე რომელი სამი ფეხბურთელია თქვენი ფავორიტი?**

**3. გამარჯვებულის ან საბოლოო ოთხეულის თქვენეული პროგნოზი.**

**ლაშა დვალიშვილი**
(სამაუწყებლო კომპანია "მზე"):

1. ყველა ჩემპიონატს თავისი ხიბლი აქვს. ევროპის წინა პირველობა საბერძნეთმა მოიგო, რასაც თითქმის არავინ ფიქრობდა. მჯერა, ევრო 2008-ზე ასეთი შემთხვევითი გუნდი ოქროს მედლებს ვერ დაეუფლება.

ვხედავთ, რომ აქცენტი გადატანილია ტაქტიკაზე. მწვრთნელები უფრო მეტად ფიქრობენ შედეგზე და არა სანახაობრივ მხარეზე. ჩემი აზრით, ამ მხრივ, ევროპის წინა ჩემპიონატი სჯობდა მიმდინარეს.

2. ამჟამინდელი მონაცემებით, ბომბარდირობაზე ყველაზე მეტი შანსი დავიდ ვილიას აქვს. მან აქამდე 3 გოლი გაიტანა, ჩინებულ ფორმაშია და ესპანელებს ჯგუფში არ ჰყავთ ისეთი გუნდები, მისი განეიტრალება იოლად რომ შეძლონ. შემდეგ ლუკას პოდოლსკის დავასახელებდი. ბომბარდირობაზე მასაც კარგი შანსი აქვს. მესამე პრეტენდენტის დასახელება, ცოტა არ იყოს მიჭირს... ვფიქრობ, პორტუგალიელებიდან ერთ-ერთი იქნება. კონკრეტულად კრიშტიანუ რონალდუს დასახელებისგან თავს ვიკავებ. რატომ? იმიტომ, რომ ნათლად გამოჩნდა, რონალდუ გუნდის შედეგზე მუშაობს და არა გოლების პირადი აქტივის გასაზრდელად.

3. საფრანგეთს ვგულშემატკივრობ და, მინდა, ეს გუნდი გახდეს ჩემპიონი. მომდევნო ტრიო კი ალბათ ასეთი იქნება - გერმანია, ჰოლანდია და ხორვატია.

**მარი მგალობლიშვილი**
("რეზონანსი"):

1. სხვაობა ისაა, რომ აუტსაიდერები, ფაქტობრივად, არ არსებობენ. გუნდების დონე თითქმის გათანაბრდა.

2. კრიშტიანუ რონალდუ, ლუკას პოდოლსკი და დავიდ ვილია.

3. პორტუგალია, ჰოლანდია, საფრანგეთი და ესპანეთი.

**ნატალი გუჯაბიძე**
("საზოგადოებრივი მაუწყებელი"):

1. უმთავრესად აღსანიშნავია ის, რომ ინგლისი არ მონაწილეობს ამ ჩემპიონატში. ამას გარდა, გვახსოვს წინა ჩემპიონატებში წითელი და ყვითელი ბარათების ხშირი და უმეტესად გაუმართლებელი ფრიალი მსაჯების მხრიდან. ამჯერად კი ასე არაა. არბიტრები ფეხბურთელებს უფრო მეტად აძლევენ თამაშის საშუალებას. ეს კარგია, ამით ფეხბურთი იგებს და ეს ნათლად ჩანს. ჩემპიონატი სანახაობრივი თვალსაზრისით აშკარად უკეთესია.

2. კრიშტიანუ რონალდუ, ლუკას პოდოლსკი და დავიდ ვილია.

3. პორტუგალია, ჰოლანდია, იტალია, ესპანეთი.

**დავით ცაბაძე**

სავარაუდო ტრანსფერი

# დარჩება დემეტრაძე არსენალში?

ზაფხულის სატრანსფერო პერიოდი და ცვლილებები, სხვა უკრაინულ კლუბებთან ერთად კიევის "არსენალსაც" შეეხება. კლუბი შეიძლება **გიორგი დემეტრაძემ** დატოვოს. ყოველ შემთხვევაში, უკრაინული წყაროებით გავრცელებული ინფორმაციები სწორედ ამაზე მეტყველებს. გუშინ "არსენალის" ვარჯიშში დემეტრაძეს მონაწილეობა არ მიუღია. რეპორტაჟიდან ვგებულობთ, რომ დემეტრაძეს კლუბის ხელმძღვანელობასთან ჰქონდა საუბარი. დარჩება თუ არა ქართველი ფორვარდი "არსენალში", ეს ჯერ კიდევ არაა გადაწყვეტილი. დემეტრაძეს გასულ სეზონში იშვიათად უწევდა სასტარტოში თამაში და კლუბის ხელმძღვანელობა მისგან მეტს მოითხოვს.

*"დემეტრაძეს, დანიშევსკისა და პარფიონოვს კლუბის პრეზიდენტ ვადიმ რაბინოვიჩთან ჰქონდათ საუბარი. დარჩებიან თუ არა ისინი "არსენალში", სწორედ კლუბის ბოსთან საუბარში გადაწყდება. პრინციპში, ფეხბურთში აბსოლუტურად ნორმალურია, როცა მოთამაშე კლუბს იცვლის. თუმცა, ჯერჯერობით, გადაჭრით ვერაფერს გეტყვით"*, - განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **ალექსანდრ ზავაროვმა**.

**დავით ცაბაძე**



# საიდან და რამდენი შედის ფედერაციაში

რა შემოსავლები აქვს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას? ასეთი კითხვა ყოველთვის აქტუალური იყო და ალბათ, არც ახლაა ინტერესმოკლებული ჩვენი საფეხბურთო მილეთისთვის.

ფეხბურთის ფედერაციის შემოსავლებზე ათასი ჭორ-მართალი დადის და ყველას თავისი ვარიანტი მიაჩნია სიმართლედ.

ფედერაციას დაფინანსების რამდენიმე წყარო აქვს და შევეცადეთ ზუსტად გაგვერკვია, რომელი წყაროდან რა თანხას იღებს.

მოკლედ, რა ციფრებსაც ახლა გაეცნობით, ოფიციალური ინფორმაციაა.

**ფიფა:** ყოველწლიურად საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ამ ორგანიზაციისგან იღებს 250 000 დოლარს. ფედერაცია ვალდებულია, ამ თანხიდან 25-25 ათასი დოლარი დახარჯოს ქალთა ფეხბურთსა და ფუტზალზე.

**უეფა:** ყოველწლიურად ფედერაცია იღებდა 1 370 000 შვეიცარიულ ფრანკს, რაც დაახლოებით 830 000 ევროს შეადგენს. 2008 წლის 1 ივლისიდან ყოველწლიურად მიიღებს უკვე 1300000 ევროს. ფედერაციას საკუთარი სურვილის მიხედვით შეუძლია ამ თანხის განკარგვა, ოღონდაც აუცილებელი პირობაა, რომ ამ თანხიდან სხვათა გარდა დააფინანსოს ლიცენზირების კომიტეტი და მწვრთნელთა განათლების სისტემა.

**სატელევიზიო უფლებები:** წინა შესარჩევში ფედერაციამ 2 000 000 დოლარი მიიღო კომპანია "ინფრონტისგან" რომელსაც აქვს უფლება გაყიდოს საქართველოს ნაკრების საშინაო მატჩების ტელეტრანსლაციები. მომდევნო შესარჩევში საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია "ინფრონტისგან" გაცილებით მეტს, 1950000 ევროს მიიღებს. ეს იმიტომ მოხდა, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ უეფას თხოვა, სატელევიზიო ბაზრის გამოკვლევის შედეგები ეცნობებინა და გაირკვა, რომ ჩვენს ფედერაციას სრული უფლება ჰქონდა, "ინფრონტისგან" მეტი თანხა მოეთხოვა. რა მეტოქეებიც არ უნდა შეხვდეს ჩვენს ნაკრებს შესარჩევში, "ინფრონტისგან" მოჭრილ 1500000 ევროს მაინც მიიღებს და თუ შესარჩევში top six-დან შეხვდება ვინმე, ეს მოჭრილი თანხაც გაიზრდება. top six-ში შედის ის ექვსი ქვეყანა, რომელთა მეტოქეობა შესარჩევ ეტაპზე ფინანსურად ერთობ სასურველია, მაგალითად, იტალია ან გერმანია.

**სპონსორები:** ფედერაციის გენერალური სპონსორია "მადნეული", რომლისგანაც სამ წელიწადში 1 400 000 დოლარს მიიღებს, ხელშეკრულება შარშან გაფორმდა.

ფედერაცია კიდევ ერთ სპონსორულ კონტრაქტს გააფორმებს. თუ რამ გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ხელშეკრულება "ეფეს პილსენთან" გაიჩარხება.

**ეროვნული სტადიონის იჯარა** წინა შესარჩევ ციკლში ფედერაციას 1000000 დოლარი დაუჯდა. ბილეთების რეალიზაციიდან კი თითქმის 1300000 ლარი მიიღო.

**ტექნიკური გრანტები** ფედერაციას ფიფა-უეფასგან მიეწოდება. გასულ ოთხ წელიწადში უეფასგან 2500000 შვეიცარიული ფრანკი მიიღო. აქედან 750 ათასი ევრო უეფამ ფედერაციას ეროვნულ სტადიონზე პლასტმასის სკამების დამონტაჟებისთვის გამოუყო იქამდე, სანამ სტადიონის მთლიანი რეკონსტრუქცია მოხდებოდა. მომდევნო ოთხ წელიწადში უეფას ტექნიკური გრანტი (პროგრამა "ჰეთ თრიკი") 2500000 ევრომდე გაიზრდება. ეს თანხა მინი-მოედნების და რეგიონული ფედერაციის ოფისების აშენებას უნდა მოხმარდეს. გარდა ამისა, ამ თანხით სამი კლუბი ისარგებლებს - "ამერისთვის", "ვიტ ჯორჯიისთის" და "ოლიმპისთვის" ბოლო თაობის ხელოვნურსაფრიანი მოედნები დაიგება. უეფას ამ გრანტით ფედერაცია თბილისში ისეთი ხელოვნურსაფარიანი მოედნის დაგებას აპირებს, რომელზეც ასაკობრივი ლიგების თამაშები გაიმართება. ამ პროგრამით ფედერაცია საფეხბურთო სკოლა-ინტერნატის გახსნას აპირებს ზუგდიდში, ქუთაისსა და თბილისში საფეხბურთო აკადემია "ოლიმპთან".

რაც შეეხება ფიფას ტექნიკურ გრანტებს, პროგრამ "გოლი 1"-ით აშენდა ფეხბურთის ფედერაციის ახალი შენობა ვაკეში; "გოლი 2"-ის თანხა მომხმარდა ნაკრების ბაზის მშენებლობას საგურამოში - ეს ბაზა მალე შევა ექსპლუატაციაში. "გოლი 3"-ით ფედერაცია გაისად 500 000 დოლარს მიიღებს და ჯერ უცნობია, რას მოხმარდება ის.

ტექნიკური გრანტები მიზნობრივია და ფედერაცია მას სხვა დანიშნულებით ვერ გამოიყენებს.

**ფედერაციის წლიური სახელფასო ფონდი** 920 000 ლარს შეადგენს ანარიცხების ჩათვლით. ეს არის თანხა ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის ჯამაგირის გარეშე.

ბევრი მითქმა-მოთქმა იყო **კლაუს ტოპმიოლერის** თანაშემწის, **რალფ მინგეს** ხელფასზე. ფედერაციის ზოგი ოპონენტი იმასაც ამბობდა, არც ერთ ნაკრებში მთავარი მწვრთნელის ასისტენტს არ აქვს მინგეს დარი მაღალი ხელფასიო. ვერ გეტყვით, რა ჯამაგირს იღებენ თანაშემწე მწვრთნელები სხვა ნაკრებებში, მინგე კი საქართველოში მუშაობისას თვეში 20 000 ევროს იღებდა, იმაზე მეტს, ვიდრე **ალენ ჟირესს** ჰქონდა ჩვენი ნაკრების თავკაცობისას.

**დოტაცია სახელმწიფო ბიუჯეტიდან:** 2006 წელს ფედერაციამ 3 600 00 ლარი მიიღო; 2007 წელს 1 800 000 ლარი; წლეულს კი ფედერაცია სახელმწიფოსგამ 3 600 000 ლარს მიიღებს.

თუ ყოველივეს დავიანგარიშებთ, ფედერაციის შემოსავალი 2008 წელს არაუმეტეს 9 მილიონი ლარი იქნება.

**დავით თავართქილაძე**

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გაზეთი ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი: თენგიზ გაჩეჩილაძე

პასუხისმგებელი რედაქტორი: პაატა გელაშვილი; მიმართულების რედაქტორები: მამუკა ჩიხლაძე (ქართული ნაწილი); გია თვალაბეიშვილი (უცხოური ნაწილი); განყოფილების რედაქტორები: პაატა თოთაძე (ქართული ფეხბურთი), შალვა ბიბილაშვილი (უცხოური ფეხბურთი); კონცეფცია და დიზაინი: ნოდარ დუგლაძე; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი: მიხეილ ჯაში; გავრცელების სამსახური: ბაქარ გაჩეჩილაძე, დავით მაისურაძე, გივი ვეშაპიძე; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი, ნუგზარ სუარიძე.

მისამართი: 0159 თბილისი, ახმეტელის 10ᵃ (დიღომი, ახალი კინოსტუდია, I სართული); ტელეფონები: 46 32 62, 46 32 56, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 46 32 62; ელფოსტა: sporti@sporti.ge; ინდექსი 66435 INDEX.

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის საკუთარი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ გიორგი მერებაშვილთან

# ვიცი, რომ ტრაბზონი მაკვირდებოდა



გიორგი მერებაშვილი

თბილისის "დინამომ" სეზონისთვის მზადება დაიწყო. გუნდის ერთ-ერთი ლიდერი გიორგი მერებაშვილი წინა სეზონის შედეგებით ძალიან კმაყოფილია, რადგან ის ერთდროულად ორი გამოკითხვის შედეგად (გაზეთ "სარბიელისა" და პროფესიული ფეხბურთის ლიგის), საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. როგორც თავად გვითხრა, ჯერ კიდევ გაურკვეველია, მომავალ სეზონს სად ითამაშებს. თუ რატომ, პირადად მისი საუბრიდან შეიტყობთ.

**- გიორგი, სეზონი მალე განახლდება, თბილისის "დინამოს" ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე თამაში მოუწევს და საინტერესოა შენი აზრი - არის წლევანდელი გუნდი შარშანდელზე ძლიერი?**

- რა თქმა უნდა, გაცილებით უკეთესად გამოვიყურებოდით წლეულს, ვიდრე წინა სეზონში, როდესაც "რაპიდმა" მოგვიგო. უფრო შეთამაშებულებიც ვართ და უფრო აწყობილებიც.

**- როგორც ვიცი, 28 ივნისს მოსკოვში ადგილობრივ "დინამოს" შეხვდებით. ეს ჩვენი ჩემპიონისთვის საკმაოდ სერიოზული გამოცდა იქნება.**

- ჩვენც ძალიან გვაინტერესებს რუსეთის პრემიერლიგის კლუბთან რა განსხვავებაა, როგორ ვითამაშებთ და რა შედეგით დავასრულებთ ამ მატჩს. მე როგორც ვიცი, მოსკოვის "დინამო" კიევის, მინსკისა და თბილისის "დინამოებს" შეხვდება, მაგრამ ეს ტურნირი არაა. მოსკოველები ყველასთან თითო მატჩს ატარებენ. ამის შემდეგ პირდაპირ გერმანიაში გავემგზავრებით.

**- თამაში ყველასათვის საინტერესოა, დაინახავ, რა განსხვავებაა რუსულ საკლუბო ფეხბურთთან.**

- რა თქმა უნდა, რუსეთის პრემიერლიგა მაღალი დონისაა და იქამდე ბევრი გვიკლია, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ წასაგებად მივდივართ. ამას გულწრფელად ვამბობ. ხომ იცით, ჩვენი და რუსების შეხვედრაში სხვა ფაქტორები მოქმედებს. პირადად ჩემთვის ძალიან საინტერესო თამაშია. არა მგონია, ჩვენ მოსკოველებს რამე დავუთმოთ, მიუხედავად იმისა, რომ ამ დროისთვის რუსული კლუბები უკეთეს ფორმაში არიან, ჩვენ კი მომზადებას ახლა ვიწყებთ.

**- ბოლო დროს გავრცელდა ხმები, თითქოს თბილისის "დინამოდან" წასვლას აპირებ.**

- ჯერ საბოლოოდ გადაწყვეტილი არაფერია და ამაზე კონკრეტული საუბარი ჩემგან უხერხულია. მეც გაზეთებიდან შევიტყვე, რომ დაინტერესებული არის "ტრაბზონი". არ გამოვრიცხავ, რომ კლუბი დავტოვო.

**- რადგან წასვლას აპირებ, გამოდის, რომ კონკრეტული ვარიანტი გაზეთიდან კი არა, უშუალოდ რომელიმე კლუბიდან გაგაჩნია.**

- ვიცი, რომ "ტრაბზონის" მენეჯერი ჩამოსული იყო და მცხეთაში "ვიტ ჯორჯია"-"დინამოს" შეხვედრას დაესწრო, მაგრამ თურქს პირადად ჩემთან არ უსაუბრია. ასე რომ, ჯერ ზუსტი პასუხი თავადაც არ გამაჩნია.

მერაბ მამულაშვილი

ლეგიონერი

# სირაძე მაინც ვარჯიშობს



ნალჩიკის "სპარტაკის" ქართველი თავდამსხმელი **დავით სირაძე** მცირე ხნის წინათ დაშავდა. მას მეკარემ ვარჯიში დროს ცხვირი ატკინა, მაგრამ მოტეხილი არ ყოფილა. თუმცა ამას დათოსთვის ხელი არ შეუშლია ვარჯიში გაეგრძელებინა.

*"მეკარემ ისე მაგრად დამარტყა, ცხვირი კინაღამ გამიტეხა. ცოტათი მტკიოდა, სამი დღე საფენებს ვიდებდი, მაგრამ ეგ არაფერია. დღეს კისლოვოდსკში მეორე შეკრება დაგვეწყო და ვვარჯიშობ. მთავარია, რომ სუნთქვაში ხელს არ მიშლის"* – გვითხრა დათო სირაძემ.

მერაბ მამულაშვილი

# ნედ ზელიჩი დინამოდან და ფეხბურთიდან წავიდა

თბილისის "დინამოს" ცენტრალური მცველი, 36 წლის **ნედ ზელიჩი** დიდი ფეხბურთიდან წავიდა. როგორც შევიტყვეთ, მან დიდი ხნის ფიქრის შემდეგ მიიღო ასეთი გადაწყვეტილება. მართალია, ტრავმებს აღარ უჩიოდა, მაგრამ 4 ივლისს 37 წლის ხდება და ამ ნაბიჯის გადადგმა საჭიროდ ჩათვალა.

ზელიჩი გამოდიოდა ავსტრალიურ კლუბებში სიდნეის "კროატიაში" და "ოლიმპიკში", 1992 წელს კი დორტმუნდის "ბორუსიაში" მიიწვიეს, ითამაშა ფრანკფურტის "აინტრახტში", "ოსერში", "მიუნხენ1860"-ში, "კიოტო სანგაში", "ურავა რედსში", "ვაკერში", ჯეტსის "ნიუკასლში", "ჰელმონდში" და ბოლოს თბილისის "დინამოს" მაისური მოირგო.

ითამაშა ავსტრალიის ჭაბუკთა და ახალგაზრდულ ნაკრებებში, ეროვნულ ნაკრებში კი 34 მატჩი ჩაატარა და 3 ბურთი გაიტანა.

თბილისის "დინამოდან" წასვლის დროს თქვა, რომ მუხლი აწუხებდა და შეიძლება ფეხბურთიდან წავიდეო, მაგრამ მაშინ ეს გადაწყვეტილი არ ჰქონდა.

მერაბ მამულაშვილი



ნედ ზელიჩი

# რატომ დასაჯეს ბენაშვილი?

## ფიფიას მტკიცებულებებს თხოვენ



გუშინ ფეხბურთის ფედერაციის მოთამაშეთა სტატუსისა და ტრანსფერების კომისიამ "ზესტაფონის" ფეხბურთელ **ლექსო ბენაშვილს** ექვსთვიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა, ანუ, საქართველოს ახალი ჩემპიონატის პირველი წრის ბოლომდე.

მიზეზი გახდა "ზესტაფონის" საჩივარი, რომ ფეხბურთელი არ ცხადდებოდა ვარჯიშებზე. როცა კარგა ხანი არ გამოჩნდა, კლუბმა ფოსტით შეტყობინება გაუგზავნა, რომ გამოცხადებულიყო ვარჯიშებზე. ბენაშვილზე იმერულმა კლუბმა საჩივარი მაისში დაწერა, ლექსო აპრილის ბოლოდან აღარ ჩანდა და მოითხოვეს მისი დისკვალიფიკაცია.

ფედერაციამ კლუბის სარჩელი განიხილა და დააკმაყოფილა - ასე რომ, 19 წლის ნიჭიერი ნახევარმცველი სათამაშო პრაქტიკის გარეშე დარჩა.

როგორც შევიტყვეთ, კლუბსა და მოთამაშეს შორის წარმოქმნილი დაძაბულობის მიზეზი ის იყო, რომ ბენაშვილს 19 ივლისს კონტრაქტი უმთავრდებოდა.

მან აპრილში პირველი ლიგის ერთ-ერთ მატჩში წითელი ბარათი მიიღო, რის გამოც რამდენიმე შეხვედრა გამოტოვა და სწორედ ეს გახდა წყალგამყოფი - მოხდა გაუგებრობა, ლექსოს ეგონა, რომ მისი თამაში აღარ სურდათ და რადგან კონტრაქტიც უმთავრდებოდა, კლუბი მიატოვა.

კლუბი იურიდიულად მართალია, კონტრაქტის დასრულებამდე მოთამაშემ ვალდებულება უნდა შეასრულოს.

მეორე საკითხია, "ზესტაფონი" ნიჭიერი ბიჭის უთამაშებლობით რას მოიგებს? როგორც შევიტყვეთ, ფედერაციის ხელმძღვანელობა და ნაკრების კურატორები დაინტერესებული არიან ლექსო ბენაშვილის ბედით და "ზესტაფონის" ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებას აპირებენ, რამენაირად მათი პოზიცია რომ შეარბილონ. იმედია, ასეც მოხდება.

**გოგი ფიფია** კი "ზესტაფონს" თავად უჩივის. ფედერაციის კომისიამ მისი საკითხის განხილვა გადადო და ფეხბურთელისგან მოითხოვა დამადასტურებელი საბუთები, რომ მას მართლა არ უხდიდა კლუბი ხელფასს და ვარჯიშის საშუალებას არ აძლევდა.

მერაბ მამულაშვილი

სტაჟირებაზე არგენტინაში

თქვენ დელგადო გიწვევთ!

ცნობილი არგენტინელი მწვრთნელი **ედუარდო დელგადო** იწვევს 17-18 წლის ასაკის, პერსპექტიულ ფეხბურთელებს: ორ მეკარეს, ორ თავდამსხმელს, მარჯვენა და მარცხენა მცველსა და ნახევარმცველს სტაჟირებაზე 1-2 წლით არგენტინაში.

ფეხბურთელები სათანადო დონეზე მომზადების შემდეგ, დელგადოს მიერ წარდგენილნი იქნებიან არგენტინის კლუბებში. მომზადების პროცესში შედის ამხანაგური მატჩები არგენტინის კლუბებთან.

სტაჟირების, აგრეთვე სხვა ხარჯებს გაიღებენ მსურველები ან მათი სპონსორები.

30 ივნისამდე, გამგზავრებამდე მსურველებს გაკვეთილები ჩაუტარდებათ ესპანურ ენაში. გასაუბრება და დაწვრილებითი ცნობები 10 ივნისიდან ყოველდღე, კვირის გარდა.

***ლეონიძის (ყოფილი კიროვის) ქუჩა №4 (თავისუფლების მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე) 12-დან 14სთ-მდე. ტელეფონი: 8 99 23 55 20***

ქართულ-არგენტინული
საფეხბურთო კლუბი GEHARG-ის წარმომადგენლობა საქართველოში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები

# იმედაშვილი დინამო 2-ში გამოჩნდა


დავით იმედაშვილი

უკრაინის პირველი ლიგის 33-ე ტურის გადმოტანილ მატჩში ქართველმა ფეხბურთელმა ითამაშა. კიევის „დინამო-2" დნეპროდერჟინსკში „სტალს" ეთამაშებოდა და გამარჯვების შემთხვევაში მეოთხე ადგილზე გადადიოდა. სტუმრებმა 2:0 მოიგეს. „დინამო-2-ს" **გენადი ლიტოვჩენკო** წვრთნის, მას სულ უფრო უჭირს შემადგენლობის მოგროვება მატჩებისთვის. ამ შეხვედრისთვის მწვრთნელის განკარგულებაში მხოლოდ 14 ფეხბურთელი იყო, აქედან ორი მეკარე. **დავით იმედაშვილი** სათადარიგოთა სკამზე მოხვდა, ის მოედანზე ლიტოვჩენკომ მე-80 წუთზე შეუშვა, როცა ანგარიში უკვე 2:0 იყო.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# გოლი დებიუტშივე


ზაზა სახოკია

სომხეთის ჩემპიონატში მე-9 ქართველი ფეხბურთელი ჩაირიცხა და მან სადებიუტო მატჩშივე თავი გოლით გამოიჩინა. საუბარი „ვიტ ჯორჯიას" ყოფილ ფორვარდზე, 24 წლის **ზაზა სახოკიაზეა**, რომელმაც წარმატებული სინჯების შემდეგ ერევნის „მიკასთან" ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. შეგახსენებთ, რომ „მიკას" სპორტული დირექტორი **ლევან ნოდიაა**. სომხეთის ჩემპიონატს ახალი სპონსორი გახდა ფირმა „სტარი", ტურნირსაც სტარის პირველობა ეწოდა. მეათე ტურში „მიკამ" ქართველთა „განძასარს" უმასპინძლა, სადაც 6 ჩვენი ლეგიონერი ირიცხება, მათ შორის ორი მეკარე. ზაზა სახოკია მე-60 წუთზე შევიდა მოედანზე. სტუმართა კარს **ლევან ბუბუტეიშვილი** იცავდა, სრულად ითამაშეს **მამუკა მენთესაშვილმა** და **გაგა თიბილაშვილმა**. მატჩს „მიკას" სტადიონზე 500 მაყურებელი დაესწრო. „მიკა" 86-ე წუთამდე 0:1-ს აგებდა, შემდეგ **სტეფან აკოპიანმა** გაათანაბრა, ხოლო 88-ე წუთზე კი ზაზამ გუნდს გამარჯვება მოუტანა, მან ბუბუტეიშვილს დუელში აჯობა. „მიკა" 8 მატჩიდან 19 ქულით მეორე ადგილზეა და „არარატს" ორი ქულით ჩამორჩება. კაპანის „განძასარი" 9 მატჩიდან 8 ქულით ბოლოსწინა, მე-7 ადგილზეა.

„ულისემ" სტუმრად 3:0 დაჯაბნა აუტსაიდერი „კილიკია". „ულისეს" რიგებში შეუცვლელად ითამაშეს მცველებმა **თენგიზ უგრეხელიძემ** და **ლევან აკობიამ**. „ულისე" 9 ქულით მეექვსე ადგილზეა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

სავარაუდო ტრანსფერი

# ლომიძე ტესტირებაზე

ქართველმა მცველმა **მამუკა ლომიძემ** გასული სეზონი მოლდოვაში, კერძოდ კი "ზიმბრუში" გაატარა. შესაძლებელია, ლომიძემ სეზონებს შორის პაუზისას კლუბი შეიცვალოს. ვებგვერდ "მოლდფუტბოლის" ინფორმაციით, 23 წლის ლომიძე და "შერიფის" ფორვარდი **ალექსეი კუჩუკი** (რომელიც 13 გოლით გასული სეზონის ვიცე-ბომბარდირი გახდა) ლვოვის "კარპატიში" გადიან ტესტირებას. საქმე ის გახლავთ, რომ ლვოველთა გუნდს თავკაცი შეეცვალა. "კარპატის" ახლა "შერიფის" ყოფილი მეორე მწვრთნელი **ოლეგ კონონოვი** ხელმძღვანელობს. მას ბევრი არ უფიქრია და მოლდოვიდან გამორჩეული ფეხბურთელების წაყვანა მოისურვა. ახლა ყველაფერი თავად ფეხბურთელზეა დამოკიდებული. თუ მამუკა თავს გამოიჩენს, ლვოველები მას კონტრაქტს გაუფორმებენ.

**დავით ცაბაძე**

ინტერვიუ გურამ რუხაძესთან

# ვიტ ჯორჯიას და მილანს საერთო სპონსორი ჰყავთ

## გურამ რუხაძე: მთავარი, მიზნის დასახვა არ არის...



**მკაცრად** განსაზღვრული საკლუბო პოლიტიკა, მზარდი ბიუჯეტი, სტაბილური შედეგები და თამაშის საკუთარი ხელწერა - თუ ამას "ვიტ ჯორჯიაზე" ვიტყვით, კამათს ალბათ არ გამოვიწვევთ. "ლელოს" კითხვებს კი "ვიტ ჯორჯიას" პრეზიდენტი გურამ რუხაძე პასუხობს.

**- შარშან "ვიტ ჯორჯიამ" რამდენიმე ფეხბურთელი გაასხვისა და სატრანსფერო თანხებით ალბათ მნიშვნელოვანი შევსება მიიღო კლუბის ბიუჯეტში. 2008 წელი კი, ალბათ, ასეთივე უხვი არ იქნება "ვიტ ჯორჯიასთვის"...**

- ვმუშაობთ ალექსანდრე კვახაძის ტრანსფერზე რომელიმე ევროპულ ქვეყანაში. ეს საკითხი მალე გადაწყდება.

**- კიდევ ვინ აპირებს "ვიტ ჯორჯიას" დატოვებას?**

- ზაზა სახოკიას და პაატა დათუნაიშვილს ჩვენთან კონტრაქტები დაუმთავრდათ და წავიდნენ. "ვიტ ჯორჯია" დატოვა ბაჩანა ცხადაძემაც, რომელსაც კონტრაქტი არ ჰქონდა ამოწურული, მაგრამ თვითონ მოითხოვა გათავისუფლების ფურცელი და უარი არ ვუთხარით.

**- "ვიტ ჯორჯია" ერთი-ორი გამონაკლისის გარდა ყოველთვის ერიდებოდა სხვა გუნდებიდან ფეხბურთელების დამატებას - ასე იქნება დამდეგი სეზონისთვისაც?**

- ისევ ჩვენს ახალგაზრდებს დავეყრდნობით, მეორე გუნდიდან ორი ფეხბურთელი გადმოვიყვანეთ პირველ გუნდში - როსტიაშვილი და ვანიაშვილი. "ვიტ ჯორჯიამ" ახალი სეზონისთვის მზადება 28 ფეხბურთელით დაიწყო. გასინჯვაზე გვყავს ორი ფეხბურთელი სხვა გუნდებიდანაც.

**- კვახაძის შემდეგ "ვიტ ჯორჯიაში" სატრანსფეროდ ყველაზე საინტერესო ფეხბურთელი ალბათ ირაკლი კლიმიაშვილია, რომელიც ახალგაზრდული ნაკრების მოთამაშეა და პეტარ სეგრტმა ის ეროვნულ გუნდშიც ათამაშა პორტუგალიასთან. კლიმიაშვილის ტრანსფერზეც ხომ არ მუშაობთ?**

- არა, მისი ასაკის ფეხბურთელისთვის "ვიტ ჯორჯიაში" კარგი პირობებია და ამ ეტაპზე კლიმიაშვილის გაშვებას არ ვაპირებთ. ფაქტია, მას სერიოზული წინსვლა აქვს "ვიტ ჯორჯიაში". გვინდა, გუნდის ბირთვი შევინარჩუნოთ, კლიმიაშვილი კი "ვიტ ჯორჯიასთვის" ერთობ საკვანძო ფეხბურთელია. თუ მასზე განსაკუთრებული სატრანსფერო შემოთავაზება იქნება ფეხბურთელისთვისაც და ჩვენთვისაც, მაშინ განვიხილავთ მას.

**- უცხოური შეკრება ექნება გუნდს?**

- მწვრთნელების სურვილია, რომ გუნდს ორკვირიანი უცხოური შეკრება ჰქონდეს. არის სამი ვარიანტი - ყირიმი, გერმანია და თურქეთი. ხელისშემშლელი ფაქტორიც არის - უეფას თასის წილისყრა 1 ივლისს გაიმართება, პირველი მატჩი კი 16 ივლისს უნდა ვითამაშოთ. ტრანსპორტირება და ვიზები - ამის მოგვარებას დრო სჭირდება და შეკრება ისეთ ქვეყანაში უნდა მოვაწყოთ, ხელი რომ არ შეგვიშალოს, მაგრამ წინასწარ ხომ არ ვიცი, ვინ იქნება ჩვენი მეტოქე. უეფას თასზე ჩვენს სავარაუდო მეტოქეებს თუ გადავხედავთ, ვიზის სამი ვარიანტია - მოლდოვა, შვეიცარია და შენგენი.

**- განვლილ სეზონში "ვიტ ჯორჯია" მეორე ადგილზე გავიდა და ბოლო ტურებამდე ჩემპიონობის არცთუ ურიგო შანსი ჰქონდა. რატომ არ უსახავთ მიზნად ჩემპიონობას თქვენს გუნდს სეზონის წინ?**

- მიმაჩნია, რომ მიზნის დასახვა არ არის მთავარი. ბიუჯეტი და გუნდის შემადგენლობა - როცა ამ მხრივ ყველაფერი ნორმალურადაა, მაღალი მიზნებისთვის ბრძოლა უკვე იოლია.

**- წინა სეზონში "ვიტ ჯორჯიამ" ორ კომპანიასთან გააფორმა სპონსორული ხელშეკრულება. კიდევ ხომ არ შეემატება სპონსორი თქვენს გუნდს?**

- "ჰილსის" და "ზოოპლაზმის" გარდა ჩვენ ტექნიკური სპონსორიც გვყავს - "ულსპორტი". ჩვენი ერთ-ერთი სპონსორია "ენერვიტი", რომელიც "მილანის" ერთ-ერთი სპონსორიცაა. ეს ფირმა ფეხბურთელებისთვის აღდგენითი საშუალებებით გვამარაგებს. სხვათა შორის, კომპანია "ვიტ ჯორჯია" "ენერვიტის" წარმომადგენელიცაა ამიერკავკასიაში.

**- სტაბილური ბიუჯეტი, ნორმალური პირობები, სპონსორები... როგორ ფიქრობთ, განვლილ სეზონში რა დააკლდა "ვიტ ჯორჯიას" ჩემპიონობისთვის?**

- გამოცდილება. არ ვეთანხმები იმ აზრს, თითქოს ჩემპიონობისთვის სათანადო ცენტრფორვარდი დაგვაკლდა. ლუჟაშვილი, ბერიაშვილი და ლიპარტია - ჩვენმა ნახევარმცველებმა ბევრი გოლი რომ გაიტანეს, ამ ფორვარდების დამსახურებაცაა. თუმცა არ გამოვრიცხავ, რომ ცვლილებები მაინც მოვახდინოთ, ანუ დავიმატოთ თავდამსხმელები სხვა გუნდებიდან.

**დავით თავართქილაძე**

სავარაუდო ტრანსფერი

# დოლიძე და ჩიკვილაძე ტავრიაში ვარჯიშობენ

თბილისის "ამერის" ორი ფეხბურთელი, მცველი **თენგიზ ჩიკვილაძე** და ნახევარმცველი **გრიგოლ დოლიძე** უკრაინაში არიან, მოთამაშეები სიმფეროპოლის "ტავრიაში" ვარჯიშობენ. როგორც გავიგეთ, "ტავრიის" მთავარ მწვრთნელ **მიხაილ ფომენკოს** ქართველი ფეხბურთელები მოსწონს, მაგრამ ჯერჯერობით ჩვენებურთა საკითხი ღიადაა.

ხვალ, 16 ივნისს, სიმფეროპოლელები ორკვირიან შეკრებაზე ავსტრიაში მიემგზავრებიან. "ტავრიის" ხელმძღვანელობამ ქართველებს ვიზები გაუკეთა. შესაბამისად, ჩვენებურთა საკითხი, ავსტრიის შეკრებაზე გაირკვევა.

უკრაინული საიტები დოლიძისა და ჩიკვილაძის შესახებ ჯერჯერობით არაფერს წერენ. "ტავრიის" ოფიციალური ვებგვერდი კი მხოლოდ იმას გვამცნობს, რომ გუნდში რამდენიმე ახალი ფეხბურთელია, მაგრამ მათ ვინაობას არ აკონკრეტებს. თუმცა გუშინ, თბილისში, ფეხბურთელთა ოჯახებში ეს ინფორმაცია დაგვიდასტურეს. ავსტრიაში ფომენკოს გუნდი რამდენიმე ამხანაგურ მატჩს გამართავს კვიპროსის ვიცე-ჩემპიონ "აპოელთან", პოლონურ "გროცლინთან", "სლოვანსა" და **ოლეგ ბლოხინის** "მოსკვასთან".

როგორც გუშინ გაცნობეთ, "ტავრიაში" 3-4 დღის წინათ ქართველი ფორვარდი **ვასილ გიგიაძეც** დაბრუნდა. ავსტრიაში გამგზავრებამდე "ტავრია" შინ ერთ ამხანაგურ მატჩს ჩაატარებს. ასე რომ, ჩიკვილაძეს, დოლიძესა და გიგიაძეს პირველი გამოცდა ავსტრიამდე ელით.

**დავით ცაბაძე**


გრიგოლ დოლიძე


თენგიზ ჩიკვილაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

EURO 2008

# სასწორზეა პრესტიჟი და... სკამი

C ჯგუფი

**იტალია-რუმინეთი 1:1**

ციურიხი. 13 ივნისი

**იტალია:** ბუფონი, ძამბროტა, პანუჩი, კიელინი, გროსო, დე როსი, პეროტა (57. კასანო), პირლო, კამორანეზი (85. ამბროზინი), დელ პიერო (77. კვალიარელა), ტონი.

**რუმინეთი:** ლობონტი, კონტრა, გოიანი, ტამაში, რაცი, კივუ, კოდრეა, რადოი (25. დიკა), პეტრე (59. ნიკოლიცა), მუტუ (87. კოჩიში), დ. ნიკულაე.

**გოლები:** 0:1 მუტუ (55), 1:1 პანუჩი (56)

*81-ე წუთზე მუტუმ ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)*

**მაყურებელი:** 45 000

**არბიტრი:** ტომ ჰენინგ ოვრებო (ნორვეგია)

სტატისტიკა

| | | |
|---|---|---|
| 2 | **გაფრთხილება** | 3 |
| 7 (4) | **დარტყმა** | 12 (8) |
| 12 | **ჯარიმა** | 18 |
| 12 | **კუთხური** | 5 |
| 47% | **ბურთის ფლობა** | 53% |

აი, ასე, გარკვეულწილად მოსალოდნელიც იყო, რომ ჯგუფის ერთ-ერთი გადამწყვეტი მატჩი იტალია-საფრანგეთი გახდებოდა, კლასიკად ქცეული დაპირისპირება, რომელმაც ბოლო მუნდიალის შემდეგ განსაკუთრებული დატვირთვა შეიძინა. მაგრამ როგორი ამბავია სიკვდილ-სიცოცხლის მატჩი და ისიც საფრანგეთთან? ეტყობა, ასეთია "სკუადრა აძურას" ხვედრი ამ ევროპის ჩემპიონატზე. და ისე ხომ არ გამოვა, როგორც 4 წლის წინათ, როცა **ჯოვანი ტრაპატონის** ნაკრები ჯგუფში ჩარჩა? ამგვარი პერსპექტივა რომ მოსალოდნელია, რუმინეთთან მატჩიდანაც გამოჩნდა და მერეც, როცა ჰოლანდიამ საფრანგეთს მოუგო. ნუ გამოვრიცხავთ, რომ "ტიტებმა" რუმინეთთან წააგონ (ანუ, მეოთხედფინალისთვის ძალები დაზოგონ, ან სტრატეგიული მიზნით) და მსოფლიო ჩემპიონი, თავის ვიცე-ჩემპიონიანად, ჯგუფში ჩატოვონ. აი, მაშინ კი, იტალიასა და საფრანგეთს თავშიც ქვა უხლიათ...

**რობერტო დონადონის** გუნდმა უკეთ ითამაშა, მაგრამ, როგორც იტყვიან, მარილი მაინც აკლდა. ვერ ვიტყვით, რომ მსაჯობა კატასტროფული იყო, მაგრამ ნორვეგიელი **ტომ ჰენინგ ოვრებოს** მუშაობამ მაინც დატოვა კითხვის ნიშნები. რატომღაც, სამსაჯო პოლემიკა კვლავ იტალიის ნაკრების მატჩს უკავშირდება. პირველი ტაიმის ბოლოს **ლუკა ტონის** გოლი არ ჩაითვალა, არა და, გამეორებისას გამოჩნდა, რომ ახმახი ფორვარდი პასის მომენტში ბოლო მცველზე უკან იდგა, ლაინსმენმა კი ალამი მაშინ ასწია, როცა ტონიმ ბურთი კარში გადაგზავნა, ანუ სიტუაციაში ვერ გაერკვა...

მეორე ტაიმში კი იყო ასევე საეჭვო პენალტი, რომელსაც შეეძლო, "აძურა" იქვე დაესამარებინა. რა თქმა უნდა, **პანუჩისა** და **ნიკულაეს** შორის კონტაქტი იყო, მაგრამ დამკვიდრებული "ტრადიციის" მიხედვით, გრანდების წინააღმდეგ, თან მნიშვნელოვან მატჩში და ზედაც შეხვედრის მიწურულს, ასეთ პენალტს არ ნიშნავენ. თუკი გაბედული ნორვეგიელი რეფერი დარწმუნებული იყო 11-მეტრიანში, მაშინ ქება და ქება მას, რაკი სტერეოტიპის დამსხვრევა გადაწყვიტა. პირველი პრეცენდეტი სახეზეა...

მაგრამ ისეც არ უნდა გავიგოთ, თითქოს იტალიელებს მხოლოდ მსაჯებისადმი აქვთ სასაყვედურო. არბიტრი ნამდვილად არ იყო დამნაშავე იმ ეპიზოდში, როცა **ძამბროტამ ბუფონისთვის** ბურთის დაბრუნება მოინდომა, **მუტუმ** კი გამოცდილი მცველისა და მეკარის შეუთანხმებელი მოქმედებით ისარგებლა და ახლო მანძილიდან ძლიერი დარტყმით "ცხრიანი" დალაშქრა. ჰოლანდიასთან მატჩის შემდეგაც ითქვა, რომ ბუფონსა და მცველებს შორის კომუნიკაცია არ იყო ისეთი, როგორიც ასეთი დონის გუნდსა და მის დაცვით რგოლს ეკადრება. ეს პრობლემა მოგვარებული არ არის და ამას კინაღამ შეიწირა კიდეც "სკუადრა აძურა"...



ნიკულაესა და პანუჩის ჭიდაობას პენალტი მოჰყვა

ტიფოზთა გასახარად, **პანუჩიმ** მალევე გააყაიმა ანგარიში. პანუჩი ხომ ის კაცია, ვისაც "რომასა" და ნაკრებში მნიშვნელოვანი გოლების გატანა ლამის მისიად ექცა. ბოლოს ასეთი იყო გლაზგოში, სადაც იტალიამ 2:1 მოიგო და ევროზე მოხვდა. ახლაც, ვეტერანმა მცველმა საჯარიმოში ჩასვლა გადაწყვიტა და კუთხურის შემდეგ უპატრონო ბურთი კარში შეაგორა...

დიდებული იყო ბუფონიც, რომელმაც, რაც არ გერგება, არ შეგერგებას პრინციპით, მუტუს ის საეჭვო პენალტი ხელისა და ფეხის დახმარებით მოიგერია. არც ეს გამოდგა საკმარისი. არ ეწერა იტალიას გამარჯვება, არც ეწერა და არც იყო ღირსი.

რუმინეთის ნაკრებმა გაცილებით კარგი შთაბეჭდილება დატოვა, და უფრო კარგი, ვიდრე საფრანგეთთან. ბურთის ფლობით, სწრაფი გადაადგილებებითა და შეტევის სიმწვავით, **ვიქტორ პიცურკას** შეგირდები ნამდვილად სჯობდნენ მსოფლიო ჩემპიონებს. საგულისხმოა, რომ წინა მატჩში მათ ვიცე-ჩემპიონებსაც არ დაუდეს ტოლი. რაღა დარჩა? მუტუს გოლამდეც და მას მერეც, იყო რამდენიმე მომენტი, როცა რუმინელებს გატანა შეეძლოთ. ბუფონი უსაქმოდ არ იყო. ერთი-ორჯერ სერიოზული მომენტებიც განმუხტა. უფრო რეალური შანსი ჰქონდათ იტალიელებს, როცა ტონიმ მკერდით დაუგდო **დე როსის**, ამან კი ოთხიოდ მეტრიდან ნახტომში თავური დასცხო. **ლობონტმა** ბურთი ზღაპრული რეაქციის ხარჯზე მოიგერია...

წინა მატჩთან შედარებით, დონადონიმ შემადგენლობაში სერიოზული კორექტივები შეიტანა. და ეს იტალია ნამდვილად იმაზე უკეთესი იყო, მაგრამ გუნდს თითქოს ჯანი და ძალა აკლია. მაგრამ ვნახოთ, ბოლო მატჩი და საფრანგეთი. სასწორზეა მსოფლიო ჩემპიონთა პრესტიჟი... და დონადონის სკამიც...

**მატჩის შემდეგ**

**რობერტო დონადონი** (იტალია): *"არ მჩვევია მსაჯებზე ლაპარაკი, მხოლოდ იმას აღვნიშნავ, რომ არც ეს იყო მათი დღე. მაშინ, როცა ლაინსმენმა, ჰოლანდიასთან მატჩში, მოედნის იქით გადავარდნილი პანუჩი დაინახა, დღეს ვერ შეამჩნიეს, როგორ ეჭიდავებოდნენ ტონის საჯარიმო მოედანში. ძამბროტა? ეს უიღბლობაა, ასეთი რამ ხდება ხოლმე. როცა ერთ შეცდომას უშვებ, მაშინვე ჩანს, მაგრამ როცა მთელ შეხვედრას მაღალ დონეზე ატარებ, ესეც ხომ უნდა აღინიშნოს? ახლა, ფინალური თამაში გვაქვს. მხოლოდ გამარჯვება გვჭირდება. იმედი მაქვს, რომ იღბალი, რომელმაც პირველ ორ შეხვედრაში ზურგი გვაქცია, ახლა ჩვენს მხარეზე იქნება".*

**ვიქტორ პიცურკა** (რუმინეთი): *"შეიძლება ითქვას, სამართლიანი შედეგია. დიახ, თამაშის დიდ ნაწილს ჩვენ ვაკონტროლებდით, დავწინაურდით, პენალტიც გავაფუჭეთ, მაგრამ... ჩვენ მსოფლიო ჩემპიონებს ვეთამაშებოდით".*

# ჰოლანდია არ თამაშობს, ჰოლანდია დაფრინავს

C ჯგუფი

**ჰოლანდია-საფრანგეთი 4:1**

ბერნი. 13 ივნისი

**ჰოლანდია:** ვან დერ სარი, ბულარუზი, ოოიერი, მატიისენი, ვან ბრონკჰორსტი, დე იონგი, ენგელაარი (46. რობენი), კუიტი (54. ვან პერსი), ვან დერ ვაარტი (77. ბუმა), სნეიდერი, ვან ნისტელროოი.

**საფრანგეთი:** კუპე, სანიოლი, გალასი, ტურამი, ევრა, მაკელელე, ტულალანი, მალუდა (59. გომისი), გოვუ (74. ანელკა), რიბერი, ანრი.

**გოლები:** 1:0 კუიტი (9), 2:0 ვან პერსი (58), 2:1 ანრი (70), 3:1 რობენი (71), 4:1 სნეიდერი (90)

**მაყურებელი:** 51428

**მსაჯი:** ჰერბერტ ფანდელი (გერმანია)

სტატისტიკა

| | | |
|---|---|---|
| 1 | **გაფრთხილება** | 2 |
| 15 (12) | **დარტყმა** | 17 (8) |
| 17 | **ჯარიმა** | 17 |
| 2 | **კუთხური** | 6 |
| 56% | **ბურთის ფლობა** | 44% |

დიდება ჰოლანდიის ნაკრებს! **მარკო ვან ბასტენი** და მისი შეგირდები უსაზღვრო ქებას იმსახურებენ. "ტიტებმა" დაამტკიცეს, რომ პირველ ტურში იტალიის განადგურება შემთხვევითობა არ იყო. გუშინ, მათ საფრანგეთი კიდევ უფრო საშინელ დღეში ჩააგდეს და პლეიოფის საგზური ნაადრევად გაინაღდეს. ალბათ, ბევრი ვერ წარმოიდგენდა, რომ ჰოლანდია მსოფლიოს ჩემპიონებსა და ვიცე-ჩემპიონებს ერთმანეთის მიყოლებით გააცამტვერებდა. ჰოლანდია დაფრინავს. ასეთი ფეხბურთი ევრო 2008-ზე ჯერ არავის უჩვენებია. მარკომ უარი უთხრა პრაგმატიზმს და ჰოლანდიური "ტოტალური ფეხბურთი" დააბრუნა. მისი საფეხბურთო მსოფლმხედველობით, მეორე გოლს მესამე უნდა მოჰყვეს, მესამეს მეოთხე და ასე შემდეგ. ეს უკვე აზარტი და რომანტიზმია, რითიც ვან ბასტენი და ჰოლანდია არიან შეპყრობილნი. ძველების დარად, უკვე ამ თაობამაც შეაბიჯა ისტორიაში. როგორც არ უნდა დასრულდეს ეს პირველობა, ძალიან დიდხანს გვემახსოვრება, რომ 2008 წელს ჰოლანდიის ბრწყინვალე ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონი და ვიცე-ჩემპიონი, ერთმანეთის მიყოლებით, მიწასთან გაასწორა...

მას შემდეგ, რაც იტალიისა და რუმინეთის ნაკრებებმა ქულები გაიყვეს, ცხადი გახდა, რომ გამარჯვების შემთხვევაში ჰოლანდიისთვის პლეიოფი გარანტირებული იყო. რა თქმა უნდა, ესეც დამატებითი მოტივაცია გახლდათ. ვან ბასტენმა იტალიასთან გამარჯვებული შემადგენლობა არ შეცვალა. ტრავმა მოიშუშა **რობენმა**, რომელიც მწვრთნელმა მეორე ტაიმში შეუშვა მოედანზე. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ "რეალის" ვარსკვლავმა გამარჯვებაში ლომის წილი დაიდო. **რაიმონ დომენეკმა** კი **ანელკასა** და **ბენზემას** ნაცვლად **გოვუ** და **ანრი** ათამაშა. ცვლილება დაცვის ხაზსაც შეეხო: **აბიდალის** ადგილი **ევრამ** დაიკავა...

შეხვედრა უშელავათო ორთაბრძოლებით დაიწყო. ფეხბურთელები ერთმანეთს გამეტებით ურტყამდნენ, მაგრამ მალე ჰოლანდიამ ბურთი დაისაკუთრა და სწრაფი გოლიც გაიტანა. მე-9 წუთზე, **კუიტმა ვან დერ ვაარტის** მიერ კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს თავურით კარში მიუჩინა ადგილი.



კუიტი ანგარიშს ხსნის

ფრანგები იძულებულნი გახდნენ, თამაში გაეხსნათ და დიდი ძალებით შეეტიათ, თუმცა ჰოლანდიელთა ორგანიზებული ნახევარდაცვისა და უკანა ხაზის წინააღმდეგ ვერაფერი გააწყვეს. პირველი საგოლე მომენტი მათ მხოლოდ 23-ე წუთზე შექმნეს, მაგრამ **ვან დერ სარმა** გოვუს სახიფათო დარტყმა უპრობლემოდ მოიგერია. მოგვიანებით, **რიბერი** და **მალუდა** გააქტიურდნენ, მაგრამ "მანჩესტერის" გოლკიპერის კარს გასაღები ვერ მოძებნეს.

შესვენების შემდეგ, როგორც ვთქვით, რობენიც გამოჩნდა. ამით ვან ბასტენმა დაამტკიცა, რომ არაჩვეულებრივი საფეხბურთო გემოვნება აქვს. მას ანგარიშის შენარჩუნებაზე წამითაც არ უფიქრია. რობენმა მოლოდინი გაამართლა. ასევე შეცვლაზე შესულმა **ვან პერსიმ** სწორედ მისი პასით გაიტანა. ამას ანრის ეფექტური გოლი მოჰყვა და ფრანგებს თამაშის გადარჩენის იმედი გაუჩნდათ, მაგრამ... მაგრამ ეს იმედი წამებში მოკვდა. ერთი წუთიც არ იყო გასული, რობენმა **გალასი** რომ გააბითურა და მახვილი კუთხიდან ოსტატური დარტყმით სტატუს-კვო აღადგინა.

საფინალო სასტვენამდე რამდენიმე წამით ადრე კი მოვლენათა ეპიცენტრში კიდევ ერთი რეალელი, **სნეიდერი** მოექცა. ის უცბად შემოტრიალდა და შორეული დარტყმით ულამაზესი გოლი გაიტანა. 4:1 მართლა დაუჯერებელი ანგარიშია. ასეთი დამამცირებელი სხვაობით ფრანგებს 1950 წლის მსოფლიო ჩემპიონატის (2:5 ბრაზილიასთან) მერე არ წაუგიათ. "სამფეროვნები" კატასტროფის პირას არიან...

**მატჩის შემდეგ**

**რაიმონ დომენეკი** (საფრანგეთი): *"50-ე წუთზე ანდრე ოოიერმა ცარიელი კარის წინ ბურთი ხელით მოიგერია. ნებისმიერი ნორმალური მსაჯი დაუყოვნებლივ პენალტს დანიშნავდა, მაგრამ, რატომღაც, აბსოლუტურად სამართლიანი 11-მეტრიანი არ მოგვცეს. მერე იტყვიან, ვიდეოგამეორება ფეხბურთს დააზარალებსო. უბრალოდ, სირცხვილია, რომ ამდენად პრინციპულ და მნიშვნელოვან შეხვედრებში ასეთ შეცდომებს უშვებენ. თავს არ ვიმართლებ, მაგრამ ვფიქრობ, პენალტი რომ დაენიშნათ და გაგვეტანა, თამაში სულ სხვა სცენარით წარიმართებოდა".*

**მარკო ვან ბასტენი** (ჰოლანდია): *"უზომოდ ბედნიერი ვარ და ვამაყობ ჩემი ბიჭებით. მორიგი შთამბეჭდავი გამარჯვება და პლეი ოფის საგზური მოვიპოვეთ. საფრანგეთის ნაკრები მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი გუნდია, მაგრამ ჩვენ უკეთ ვითამაშეთ. ახლა, მთავარია, ეიფორიას თავი დავაღწიოთ. მჯერა, ასეც იქნება. ამოცანის სერიოზულობა ბოლომდე გვაქვს გაცნობიერებული. ამ საქმეში შეცდომების დაშვება არ შეიძლება".*

**ილია ნიკოლაიშვილი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰოლანდია | 2 | 2 | 0 | 0 | 7-1 | 6 |
| რუმინეთი | 2 | 0 | 2 | 0 | 1-1 | 2 |
| საფრანგეთი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-4 | 1 |
| იტალია | 2 | 0 | 1 | 1 | 1-4 | 1 |

**III ტური**

17 ივნისი, სამშაბათი

**ბერნი**

**ჰოლანდია-რუმინეთი 22:45**

**ციურიხი**

**იტალია-საფრანგეთი 22:45**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# EURO 2008

# აუტსაიდერები ურთიერთობას არკვევენ

**D ჯგუფი**

**საბერძნეთი-რუსეთი**

ზალცბურგი. 14 ივნისი. 22:45

**სავარაუდო შემადგენლობები**

**საბერძნეთი:** ნიკოპოლიდისი, სეიტარიდისი, დელასი, კირიაკოსი, ტოროსიდისი, კაცურანისი, ბასინასი, კარაგუნისი, გეკასი, ხარისტეასი, ამანატიდისი.

**რუსეთი:** აკინფეევი, ანიუკოვი, კოლოდინი, შიროკოვი, ჟირკოვი, სემაკი, ზირიანოვი, სემშოვი, ბილიალეტდინოვი, სიჩოვი, პავლიუჩენკო.

**არბიტრი:** რობერტო როზეტი (იტალია)



ჰიდინკს სამი ქულა სჭირდება

საბერძნეთისა და რუსეთის ნაკრებების შემადგენლობაში ბევრ ცვლილებას ელოდებიან. ევროპის ჩემპიონებმა პირველ ტურში შვედეთთან წააგეს (0:2), რუსებმა კი — ესპანეთთან (1:4). მორიგი მარცხი ევროპის ჩემპიონატის გავარდნის ტოლფასია. ეს კი არცერთ მწვრთნელს არ სურს.

შვედებთან მატჩისას, ბერძნების ფრთხილმა ტაქტიკამ არ გაამართლა. **ოტო რეჰაგელს** სხვა სქემის მოსინჯვა მართებს. მიმომხილველთა ვარაუდით, ის უარს იტყვის ხუთი მცველით თამაშზე და უფრო შემტევ განლაგებას აირჩევს.

ძირითადში უნდა ითამაშოს **ფანის გეკასმა**. ბერძნებს მისი სისწრაფე გამოადგებათ. მაგრამ ითამაშებენ თუ არა სასტარტო შემადგენლობაში **ანგელოს ხარისტეასი** და **იანის ამანატიდისი**, საკითხავია. გეკასმა შვედებთან მატჩიც წინა ხაზში დაიწყო, მაგრამ ნახევარმცველებმა მისი პასებით მომარაგება ვერ მოახერხეს. ხარისტეასმა კი მთელ თამაში, ფაქტობრივად, ნახევრდაცვაში გაატარა.

რაჰაგელმა, შესაძლოა, გამოცდილი **ნიკოს ლიბეროპულოსი** გამოიყვანოს. ის შორიდან დარტყმების ოსტატად ითვლება და საუცხოოდ ასრულებს სტანდარტულებს. შვედებთან ნამატჩევს მეფე ოტომ აღნიშნა — ჩვენს გუნდს გერმანელების დარი შემტევი პოტენციალი არ გააჩნიაო. ასეთ პირობებში საჯარიმოებს გადამწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭება.

ბერძნების განკარგულებაშია შემტევი მცველი **ხრისტოს პაცაცოღლუ**. მას დაცვისა და ნახევარდაცვის შეკავშირება შეუძლია. პირველი მატჩისას, ბერძნების სხვა და სხვა რგოლებს შორის კავშირი დარღვეული იყო.

*"გულშემატკივარს ვპირდებით, რომ სულ სხვა გუნდს იხილავენ. ვერ გეტყვით, მოვიგებთ თუ არა, მაგრამ ბევრად უკეთ ვითამაშებთ, ვიდრე შვედეთის წინააღმდეგ,"* — განაცხადა ბერძნების კაპიტანმა **ანგელოს ბასინასმა**.

გამოცდილ მცველ **ვასილის ტოროსიდისს** მიაჩნია, რომ მათ თამაშს ზედმეტად მკაცრად აფასებენ: *"ამ გუნდმა ისეთ წარმატებას მიაღწია, რომელზეც ვერ ვიოცნებებდით. შვედეთთან სუსტად ვითამაშეთ, მაგრამ ვითარების გამოსწორება კიდევ შეგვიძლია. წინ ორი ურთულესი მატჩია. შეგვიძლია, დაგპირდეთ, რომ წარმატებისათვის თავს არ დავზოგავთ."*

კიდევ ერთი მცველი **სოტირიოს კირიაკოსი** საკითხს ფილოსოფიურად უდგება: *"წავაგეთ ბრძოლა, მაგრამ ომში ჯერ არ დავმარცხებულვართ. საჭირო არ არის, ყველა კრიტიკულ შენიშვნას პასუხი გავცეთ. ყველაფერი დღესათვის ნათელია: შაბათს უნდა მოვიგოთ. ბოლო მატჩში კი მინიმუმ ერთი ქულა მოვიპოვოთ და სხვა თამაშების შედეგებს დაველოდოთ."*

ევროპის ჩემპიონებს მეორე მეკარე **კოსტას ხალკიასი** ვერ დაეხმარება. 34 წლის გოლკიპერი შვედეთთან თამაშის წინა დღეს დაშავდა. მან ცერი იღრძო. ხალკიასს ნაკრებში 15 მატჩი აქვს ჩატარებული. მის მაგივრობას გამოუცდელი **ალექსანდროს ცორვასი** გასწევს, რომელსაც ეროვნულ გუნდში ერთხელაც არ უთამაშია.

გადავინაცვლოთ რუსების ბანაკში. ჰიდინკი შემადგენლობის რადიკალურად შეცვლას გამორიცხავს. რუსებს თავდამსხმელი **რომან პავლიუჩენკო** დაუშავდათ. მან ბარძაყის კუნთი დაიზიანა. თუ ტრავმას ვერ მოიშუშებს, მწვრთნელს მისი შემცვლელის მოძებნა მოუწევს. ეს ადვილი არ იქნება. გუნდის საუკეთესო ფორვარდი **პაველ პოგრებნიაკი** შინ გაემგზავრა. **ანდრეი არშავინს** ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია დღეს ეწურება. შეგახსენებთ, ესპანეთს ერთადერთი გოლი პავლიუჩენკომ გაუტანა. ჰიდინკის განკარგულებაში ორი ფორვარდით — **სიჩოვი და ადამოვი**.

რუსმა მიმომხილველებმა ჰიდინკს ჰკითხეს, რამდენი ფეხბურთელის შეცვლას აპირებთო. მწვრთნელმა მიუგო: *"ბევრს ვერ შევცვლი. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ახალგაზრდული შემადგენლობა გვყავს. ჩვენ ვერ შევედრებით გრანდებს, რომელთაც 23 თანაბარი ძალის მოთამაშე ჩამოიყვანეს."*

ჰიდინკმა შეგირდებს ურჩია, ესპანეთთან თამაში თავიდან ამოიგდონ და მხოლოდ მომდევნო მეტოქეზე იფიქრონ. მან პირველი მატჩის წაგება გამოუცდელობით ახსნა. რუსების შემადგენლობაში ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილია "ზენიტის" ნახევარმცველი **კონსტანტინ ზირიანოვია**. აი, მისი კომენტარი: *"ჩვენი მატჩი ჯგუფის ორი აუტსაიდერის დაპირისპირება იქნება. რუსეთის ნაკრებს მეოთხედფინალში გასვლის ისეთივე შანსი აქვს, როგორიც ესპანეთთან თამაშამდე ჰქონდა."*

# ძველი მეტოქეების მატჩი

**D ჯგუფი**

**შვედეთი-ესპანეთი**

ინსბრუკი. 14 ივნისი. 20:00

**სავარაუდო შემადგენლობები**

**შვედეთი:** ისაკსონი, სტოორი, მელბერგი, ჰანსონი, ნილსონი, სვენსონი, ს. ლარსონი, კალსტრიომი, ლიუნგბერგი, იბრაჰიმოვიჩი, ჰ. ლარსონი.

**ესპანეთი:** კასილიასი, რამოსი, პუიოლი, მარჩენა, კაპდევილია, ინიესტა, ფაბრეგასი, ჩავი, სილვა, ფერნანდო ტორესი, ვილია.

**არბიტრი:** პიტერ ვინკი (ჰოლანდია)



კასილიასს ხტუნაობა მოუწევს

შვედეთი და ესპანეთი ერთმანეთს შესანიშნავად იცნობენ. ეს გუნდები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირშიც ერთ ჯგუფში იყვნენ. *"შვედეთი ურთულესი მეტოქეა. მას სწრაფი ფეხბურთელები ჰყავს. გუნდი კონტრშეტევებზე საუცხოოდ თამაშობს. შვედი თავდამსხმელები ევროპის საუკეთესო ფეხბურთელთა რიცხვში არიან. ერთი სიტყვით, ამ გუნდთან თამაში სახიფათოა"* — აი, როგორ აფასებს მეტოქეს ესპანელთა თავკაცი **ლუის არაგონესი**.

მას არც ვიზავი, **ლარს ლაგერბაკი** ჩამორჩება: *"ესპანეთის შესახებ თითქმის ყველაფერი ვიცით. მეტოქეს ბურთის დაჭერა უყვარს. მათი იერიშები მომაკვდინებელია. ამიტომ მეტოქეს ტემპში არ უნდა ავყვეთ და ჩვენი თამაში ვითამაშოთ — ზუსტად ისე, როგორც საბერძნეთთან მატჩისას გავაკეთეთ. ესპანეთის ნაკრების სათადარიგო ფეხბურთელებს რომ შვედური პასპორტები ჰქონდეთ, მათ დაუყოვნებლივ ძირითად შემადგენლობაში დავაყენებდი."*

შესარჩევ ჯგუფში, ესპანეთმა შვედეთს ორი ქულით გაუსწრო და პირველი ადგილი დაიკავა. ამ გუნდების პირველი მატჩი 2006 წლის ოქტომბერში, სოლნაში შედგა. შვედეთმა 2:0 მოიგო. 2007 წლის ნოემბერში, ესპანეთმა მეტოქეს მადრიდში უმასპინძლა და რევანში აიღო, 3:0.

მეტოქეებმა სამშაბათის მატჩები აუღელვებლად მოიგეს. ის, ვინც დღეს გაიმარჯვებს, მეოთხედფინალში გავა, ხოლო თუ საბერძნეთისა და რუსეთის ნაკრებთა მატჩი ფრედ დასრულდება, პირველი ადგილსაც გაინაღდებს.

ესპანეთს მნიშვნელოვანი საკადრო პრობლემები არ აქვს. არაგონესი, სავარაუდოდ, იმავე შემადგენლობას გამოიყვანს, რომელმაც რუსეთს ოთხი გოლი გაუტანა. **დავიდ ვილიამ**, რომელმაც იმ შეხვედრაში ჰეთ თრიკი გააკეთა, კურიოზული ტრავმა მიიღო — გოლის აღნიშვნისას, **ფერნანდო ტორესს** რომ გადაეხვია, ფრჩხილი თანაგუნდების მაისურს გამოსდო და კინაღამ მოსძვრა. ვალენსიელ თავდამსხმელს თითი თითქმის აღარ აწუხებს და რა თქმა უნდა, ძირითადში იქნება.

კვლავ თადარიგი იქნება **ფრანსესკ ფაბრეგასი**. რუსეთთან მატჩისას, ის შეცვლაზე შემოიყვანეს. "არსენალის" ვარსკვლავმა ერთი საგოლე პასი გააკეთა და ერთი გოლი შეაგდო. ესპანელმა მიმომხილველებმა მას უმალ სუპერსათადარიგო ფეხბურთელი უწოდეს. ფაბრეგასს ეს ტიტული სულაც არ ეთაკილება და მზადაა, შვედებიც შეცვლაზე შესვლის მერე დაამწუხროს.

შვედეთს უფრო რთულად აქვს საქმე. ბერძნებთან მატჩში ორი ფეხბურთელი — **კრისტიან ვილჰელმსონი** და **ნიკლას ალექსანდერსონი** დაშავდა. ლაგერბაკმა მარჯვენა ფლანგი, ფაქტობრივად, თავიდან უნდა ააწყოს. ალექსანდერსონის ადგილს **ფრედრიკ სტოორი** დაიკავებს. სტოორმა პირველ შეხვედრაში შეცვლაზე ითამაშა. ვილჰელმსონის ნაცვლად, ნახევარდაცვის მარჯვენა ფლანგზე, **სებასტიან ლარსონს** ან **იოჰან ელმანდერს** ვიხილავთ.

**ზლატან იბრაჰიმოვიჩს**, რომელმაც ბერძნებს საუცხოო გოლი გაუტანა, მუხლი გაუსივდა, თუმცა მაინც ითამაშებს. მას პარტნიორობას უბერებელი **ჰენრიკ ლარსონი** გაუწევს. 2004-06 წლებში, როდესაც ლარსონი "ბარსელონაში" თამაშობდა, მისი პარტნიორები იყვნენ დღევანდელი ესპანეთის ნაკრების ვარსკვლავები — **ჩაბი ერნანდესი**, **კარლეს პუიოლი** და **ანდრეს ინიესტა**. რაკი ძველი თანაგუნდელები ვახსენეთ, იმასაც გეტყვით, რომ **სესკ ფაბრეგასს** "არსენალში" **ფრედი ლიუნგბერგისა** და **სებასტიან ლარსონის** მხარდამხარ უთამაშია.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 4-1 | 3 |
| შვედეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 2-0 | 3 |
| საბერძნეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-2 | 0 |
| რუსეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 1-4 | 0 |

# EURO 2008

უცნაური ევრო

# ფეხბურთი უსაზღვრებოდ, ანუ ევროპა... უევროპელებოდ!

...ჯერ ჯგუფური ეტაპი არ დასრულებულა, მაგრამ წინასწარ შეიძლება ითქვას, რომ ჩემპიონატმა გაამართლა! უკომპრომისო და ლამაზი მატჩები, რამდენიმე მოულოდნელი შედეგი და ცალკეულ ფეხბურთელთა გაბრწყინება: ავსტრია/შვეიცარიის სტადიონებზე ქომაგებს საქმე მოსაწყენად ნამდვილად არა აქვთ.

ამ ჩემპიონატს კიდევ ერთი უცნაურობაც ახასიათებს - აქამდე არასდროს ყოფილა ამდენი ნატურალიზებული ფეხბურთელი! ანუ, ფეხბურთმა ყველა საზღვრები გაარღვია და უკვე აღარავის უკვირს ევროპის ჩემპიონატზე... სამხრეთ ამერიკელი, აფრიკელი თუ აზიელი მოთამაშეების ხილვა. არადა, რამდენიმე წლის წინათ ასეთი შემთხვევები იშვიათობა იყო და განსაკუთრებულ მოვლენად აღვიქვამდით საფრანგეთის ნაკრებში... ეთნიკური ფრანგების ნაკლებობას თუ ჰოლანდიის ნაკრებში სურინამელთა დიდ წარმომადგენლობას. მერე, ნელ-ნელა ყველა შეეგუა ამ ტენდენციას და "ქათქათა" გერმანელებისა და პოლონელების ფონზე განელი **ჯერალდ ასამოა** და ნიგერიელი **ემანუელ ოლისადებე** ნამეტნავად "შავადაც" აღარ სჩანდნენ. მოკლედ, შეუქცევადი პროცესი გრძელდება და თუ ამ მხრივ უეფა და ფიფა რაიმე გამოსავალს არ მოძებნის, მალე შეიძლება კურიოზულზე მეტი სიტუაციაც შეიქმნას: საფრანგეთის ნაკრებს ვინ ჩივის, იგივე გერმანიისა თუ ჰოლანდიის ნაკრებებში ...გერმანელი და ჰოლანდიელი თითოოროლა დარჩეს. აი, ლონდონის "არსენალში" რომ სიტუაციაა - **არსენ ვენგერის** გუნდში **თეო უოლკოტის გარდა,** ძირითადში ყველა დანარჩენი ლეგიონერია. თუმცა კლუბსა და ნაკრებს შორის ხომ უდიდესი სხვაობაა? ბოლოსდაბოლოს, ეროვნული ნაკრები ჰქვია და არა - სხვადასხვა ქვეყანაში დაბადებულ-გაზრდილთა ნაკრები...

...ეროვნულ ნაკრებში უცხოელი მწვრთნელის მიწვევა ჩვეულებრივი ამბავია; თანაც, თუ ეს მწვრთნელი კვალიფიციურია და ნაკრებში მუშაობის გამოცდილებაც აქვს. გერმანელ **ოტო რეჰაგელს**, ბრაზილიელ **ლუიშ ფელიპე სკოლარის** და ჰოლანდიელებს - **გუუს ჰიდინკსა** და **ლეო ბეენჰაკერს** ეს არაერთხელ დაუმტკიცებიათ (საქართველოსთან პარალელების გავლება აღარ გვინდა - "ტოპ-მანიამ" არაფერი შეგვმატა); მაგრამ როცა ნაკრებში ნატურალიზებული ფეხბურთელების სიმრავლეა, არაერთ უცნაურობას ვაწყდებით. თავად განსაჯეთ - შვეიცარიის ნაკრების ფეხბურთელთა უმრავლესობისთვის მატჩის დაწყების წინ შესრულებული ამ ქვეყნის ჰიმნი უცხოა! ჰოდა, ყველაზე "შავ დღეში" შვეიცარიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **კობი კუნია:** ამ ქვეყანაში ისედაც სამი ოფიციალური ენაა (გერმანული, ფრანგული, იტალიური), ამას დაუმატეთ ნატურალიზებული ფეხბურთელები და ადვილი მისახვედრი იქნება ჩემპიონატის ერთ-ერთი თანამასპინძელის წარუმატებლობაც. ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით, თუმცა სიმართლის მარცვალიც რომ არის, ფაქტია. ისე, შვეიცარია ამ მხრივ, მართლაც, გამორჩეულია ჩემპიონატზე: **ჰაქან იაკინი, ერენ დერდიოკი, გიოქჰან ინლერი** (სამივე - თურქეთი), **იოჰან ჯურუ** (კოტ დ'ივუარი), **რიკარდო კაბანიასი** (ესპანეთი), **იოჰან ფონლანტენი** (კოლუმბია), **ვალონ ბეჰრამი** (კოსოვო), **ჟელსონ ფერნანდესი** (კაპო ვერდე), **ელდინ იაკუპოვიჩი** (ბოსნია) - ლამის ნახევარი გუნდია! ჰიმნს, ბოლო-ბოლო, ისწავლი; მაგრამ, როგორი საქმეა... ისტორიული სამშობლოს ნაკრების კარში გოლის გატანა? აი, ჰაქან იაკინმა თურქეთს რომ გაუტანა - ვითომც არაფერიო, მაღლა აიხედა (ალბათ, ალაჰს შენდობა სთხოვა) და ასე, უემოციოდ იღებდა თანაგუნდელთა მილოცვებს. უფრო "უარესი" მოხდა გერმანიისა და პოლონეთის ნაკრებების შეხვედრაში. პოლონელებს, მართლაც, დიდებული მეკარე ჰყავთ - **არტურ ბორუცი**, მაგრამ "გერმანელმა" პოლონელმა **ლუკას პოდოლსკიმ** მისი დამწუხრება ორჯერ მოახერხა. პოდოლსკის ორივე შემთხვევაში რეაქცია არ ჰქონია, ანუ არ უზეიმია თანამემამულეთა კარში გოლების გატანა. თუმცა, ამის მიუხედავად, პოლონელმა ქომაგებმა მაინც ობსტრუქცია მოუწყო. კიდევ კარგი, "პოლდის" მხარი **მიროსლავ კლოზემ** არ აუბა და **პიოტრ ტროხოვსკიც** არ ამდგარა სათადარიგოთა სკამიდან, თორემ ერთდროულად სამი პოლონელი... პოლონელთა წინააღმდეგ მეტისმეტი იქნებოდა. საერთოდ კი ამ ჩემპიონატში გერმანიის ნაკრებს თითქმის ყველა შემტევი ნატურალიზებული ფეხბურთელია - **მარიო გომესი** (ესპანეთი), **კევინ კურანი** (ბრაზილია), **დავიდ ოდონკორი** (განა). **ოლივერ ნოივილი** რომ შვეიცარიაში დაიბადა და გაიზარდა, ეგ კიდევ არაფერი...

სხვებზეც ვთქვათ და, რა თქმა უნდა, საფრანგეთის ნაკრები ვახსენოთ. ადრე, **მარიუს ტრეზორსა** თუ **ჟან ტიგანას** რომ დავინახავდით, ეგ გვიკვირდა, ახლა კი საფრანგეთის ნაკრებში... ეთნიკური ფრანგები უმცირესობას შეადგენენ! რასიზმში არავინ დაგვადანაშაულოს და კანის ფერზე კი არ ვსაუბრობთ, უბრალოდ, გვინდა შეგახსენოთ, რომ **კლოდ მაკელელე** და **სტივ მანდანდა** დემოკრატიული კონგოდან არიან, **პატრიკ ვიეირა** - სენეგალიდან, **ლასანა დიარა** - მალიდან, **ქარიმ ბენზემა** და **სამირ ნასრი** - ალჟირიდან, **სებასტიან სკილაჩი** - იტალიიდან და ასე შემდეგ. არანაკლები რაოდენობის ასეთი ფეხბურთელი ჰყავს ჰოლანდიასაც: **იბრაჰიმ აფელაი** და **ხალიდ ბულარუზი** (ორივე - მაროკო), **ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი** წარმოშობით ინდონეზიიდან არის, ხოლო **მარიო მელხიოტი** - სურინამიდან. პორტუგალიასაც "არა უშავს" - **პეპე** და **დეკუ** ბრაზილიელები არიან, **პეტი** - ფრანგი, ხოლო **ბოსინგვა** დემოკრატიულ კონგოში დაიბადა. ავსტრიაც არ დავივიწყოთ: **რამაზან ოზქანი** და **უმით ქორქმაზი** თურქები რომ იქნებიან, ძნელი მისახვედრი არ არის; ჩემპიონატის ყველაზე უხუცესი მონაწილე **ივიცა ვასტიჩი** ხორვატია, **რონალდ გერკალიუ** - ალბანელი, ხოლო **დიორდ გარიჩი** - უნგრელი.

ისე, თითო ბრაზილიელი, ეტყობა, მართლაც "აუცილებელი პირობაა" და ამიტომაც ნულარ გვიკვირს, რომ ესპანეთის ნაკრებში **მარკოს სენა** თამაშობს, პოლონეთში - **როჟერ გერეირო**, თურქეთში - **მეჰმეთ აურელიო**. ეს უკანასკნელი თურქული ფეხბურთის ისტორიაში პირველი ნატურალიზებული ფეხბურთელია და ახლა ნაკრებში გვერდს ინგლისში დაბადებულ-გაზრდილ ფეხბურთელად ჩამოყალიბებული კიდევ ერთი ფერადკანიანი **კაზიმ კაზიმიც** (იგივე კაზიმ-რიჩარდსი) უმშვენებს.

ეს კიდევ არ არის სრული სია: საბერძნეთის ნაკრებში უკვე დიდი ხანია ასპარეზობს **ლუკას ვინტრა** - რომელიც ეთნიკურად ჩეხია; **მაურო კამორანეზის** არგენტინელობაც, ალბათ, ბევრს დაავიწყდა, შესაძლოა, არც ის ახსოვდეს ხალხს, შვედების სათადარიგო მეკარე **რამი შააბანი** რომ ეგვიპტელია, ხოლო ასევე სათადარიგო მცველი **დანიელ მაისტროვიჩი** - სერბი; სამაგიეროდ, ალბათ, ყველამ იცის, რომ ამ ჩემპიონატში, შვედეთის ნაკრებში თამაშობს ნატურალიზებულ ფეხბურთელთა შორის უდავოდ საუკეთესო, წარმოშობით ბოსნიელი **ზლატან იბრაჰიმოვიჩი!**

**გია ტუხაშვილი**



როჯერ გერეირო

***P.S.*** *თუ ეს ტენდენცია მსგავსი ტემპით გაგრძელდა, დიდი შანსია, რომ მომდევნო, 2012 წლის ევროპის ჩემპიონატს სახელიც შეეცვალოს. ანუ, შესაძლოა, შემდეგი სახელწოდების მქონე ტურნირიც ვიხილოთ: საკონტინენტთაშორისო თასის გათამაშება ნაკრებებს შორის!..*

ჩეხეთი

# ბრიუკნერს პენალტები გულზე არ ეხატება

## თურქეთისთვის 90 წუთი უნდა ვიკმაროთო...

A ჯგუფის ბოლო ტური უაღრესად დამაინტრიგებელია. ჩეხეთი და თურქეთი, ფაქტობრივად, მინი-ფინალს თამაშობენ. ორივე გუნდს თანაბარი ქულები და გატანილ-გაშვებული ბურთების იდენტური სხვაობა აქვს, შესაბამისად, ორივეს მხოლოდ გამარჯვება აძლევს ხელს. მოგეხსენებათ, ჯგუფიდან გამსვლელი ნაკრების ვინაობა ახალი კრიტერიუმით გაირკვევა. თუ გუნდებს გადამწყვეტი მატჩის წინ ყველა მაჩვენებელი ერთნაირი აქვთ და თან ერთმანეთს ხვდებიან, თამაშის ფრედ დასრულების შემთხვევაში, ყოველგვარი დამატებითი დროის გარეშე, პენალტების სერია დაინიშნება.

ეს ნოვაცია **მიშელ პლატინის** ეკუთვნის. იდეა საკამათოა, თუმც ცალსახად მისი დაწუნებაც არასწორი იქნებოდა. მაშინ, როცა ყველა იმაზე წუწუნებს, რომ მატჩისშემდგომი 11-მეტრიანების სერიით გამარჯვებულის გამოვლენა არც მთლად მისაღებია, ახლა უკვე ჯგუფური ეტაპის შეხვედრაში საპენალტო ჯოჯოხეთის დატრიალება ორმაგად უცნაური რამაა, უცნაური, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ უსამართლო. ყოველ შემთხვევაში, წილისყრით, "ფეარ პლეისა" თუ რეიტინგების საშუალებით გამარჯვებულის გარკვევას, ისევ პენალტები სჯობს - მეტს გაიტან, გაიმარჯვებ! მარტივადაა ყველაფერი. რაც შეეხება გადათამაშებას, ესეც უფრო მიუღებელია. ტურნირი გათვლილია ვადებში, რომელსაც ხელახალი მატჩი მთლიანად დაანგრევს. მართალია, მძიმე და მომქანცველი თამაშის ბოლოს პენალტების შესრულებაც არ არის ადვილი, მაგრამ როცა ამგვარი ტიპის ტურნირში მონაწილეობ, ამისთვისაც მზად უნდა იყო, პირველ რიგში, ფსიქოლოგიურად. ბოლოსდაბოლოს, ამ ფსიქოლოგიურთან ერთად, აქ მთავარი სპორტული ასპექტია, წილისყრის შემთხვევაში კი...



კარელ ბრიუკნერი

თუმცა ჩეხეთის მწვრთნელ **კარელ ბრიუკნერსაც** და თურქთა დამრიგებელ **ფათიჰ თერიმსაც** ნამდვილად არ სურთ საქმის პენალტებამდე მიყვანა. აი, რას ამბობს ბრიუკნერი: *"ჩვენ ვიცით და უკვე შეგუებულები ვართ იმას, რომ შეიძლება, 11-მეტრიანების შესრულება მოგვიწიოს. ამიტომ, ამაზე საგანგებოდ ვივარჯიშებთ. რა თქმა უნდა, ეს არ არის საუკეთესო გამოსავალი. ფოკუსირება უნდა მოვახდინოთ უშუალოდ თამაშზე, ვაჩვენოთ კარგი ფეხბურთი და გამარჯვებულის ბედი 90 წუთში გადავწყვიტოთ. სწორედ ასე ვითამაშეთ პორტუგალიასთან შეხვედრის პირველ ტაიმში და ვეცდებით, თურქეთსაც მსგავსი მობილიზება დავუპირისპიროთ".*

ბრიუკნერი ტურნირის დაწყებამდეც დარწმუნებული იყო, რომ ერთ-ერთი მეოთხედფინალისტის ბედი ბოლო ტურში გადაწყდებოდა: *"პორტუგალია რომ ტურნირის ფავორიტი იყო, ეს თავიდანვე ცნობილი იყო და მათ ეს უშუალოდ ჩემპიონატის მსვლელობის დროსაც დაამტკიცეს. აკი ვადამდე გაინაღდეს კიდეც პლეი ოფში მონაწილეობის უფლება. რაც შეეხებათ სხვებს, მათ ჯერ კიდევ აქვთ დასამტკიცებელი, რომ მეოთხედფინალში თამაშის ღირსები არიან. სიმართლე გითხრათ, გამიკვირდა, რომ შვეიცარიამ ნაადრევად დაყარა ფარ-ხმალი. ჩვენი და თურქების დაპირისპირება კი ნამდვილი, დაუნდობელი ბრძოლა იქნება".*

პორტუგალიასთან მატჩის შემდეგ ბრიუკნერმა გუნდს ამოსუნთქვის საშუალება მისცა. ვიდრე მოთამაშეები ისვენებდნენ, 68 წლის მწვრთნელი გადამწყვეტი მატჩისთვის ტაქტიკას ამუშავებდა. ბრიუკნერი თვლის, რომ სწორად მოიქცა, როცა მეორე ტურში, **იან კოლერის** ნაცვლად, ძირითადში **მილან ბაროში** დააყენა:

*"ბაროში სულ სხვა პლანის ფორვარდია. ის სწრაფი და სახიფათოა. კოლერის შემთხვევაში კი ტაქტიკის შეცვლაა საჭირო. მოკლედ, ჩვენ შეტევის სხვადასხვა ვარიანტი გვაქვს. ვფიქრობ, პორტუგალიასთან ბაროშის თავიდანვე გამოყვანა სწორი გადაწყვეტილება იყო".*

ჩეხების დამრიგებელს, რომელიც ევროპის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ პოსტს დატოვებს, სათურქეთო ძირითად შემადგენლობასთან დაკავშირებით მინიშნება არ გაუკეთებია: *"მზადება დაწყებულია. ჩვენ გავაანალიზებთ განვლილ ორ მატჩს და სასტარტო შემადგენლობასაც ამის მიხედვით შევარჩევთ. პორტუგალიასთან წაგების მიუხედავად, პოზიტიური მომენტები იმ თამაშშიც იყო. ამასაც გავითვალისწინებთ. გარდა ამისა, მეტი ყურადღება უნდა დავუთმოთ დაცვის ხაზის ორგანიზებას".*

მიმომხილველები ვარაუდობენ, რომ თურქეთთან მატჩში ბრიუკნერმა, შეიძლება, კოლერი და ბაროში ერთად დააყენოს. ეს უკანასკნელი ოდნავ უკან ითამაშეს და ახმახი ფორვარდის მომარაგებას ეცდება, თუმც თავადაც შეუძლია შეტევის წამოწყებაცა და მისი დაგვირგვინებაც.

# EURO 2008

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანია

# იყო თუ არა ხორვატიასთან მარცხი ტრაგედია?

## იანსენი, პოდოლსკი და ლამი დაშავდნენ. ლიოვს პრობლემები აქვს. გერმანიას ავსტრიასთან ფრეც ეყოფა, მაგრამ მეოთხედფინალში პორტუგალიას შეხვდება

გერმანულმა მასმედიამ ბუნდესგუნდს, როგორც მოსალოდნელი იყო, შავი დღე აყარა. ალემანები, პირველ რიგში, ბუნდესგუნდის საშინელი თამაშით აღშფოთდნენ - იოახიმ ლიოვის სამწყსომ მართლაც ძალიან ცუდი შთაბეჭდილება დატოვა. მესამე ტურში გერმანელები მასპინძელ ავსტრიას ხვდებიან და მეოთხედფინალში გასასვლელად ფრეც აწყობთ - თუ ავსტრიელებთან არ წააგებენ, მნიშვნელობა აღარ ექნება იმას, თუ როგორ დამთავრდება პოლონეთისა და ხორვატიის დაპირისპირება. საინტერესოა ისიც, რომ თუ გერმანელები მეოთხედფინალში გავლენ, იქ აუცილებლად პორტუგალიელებს შეხვდებიან, რადგან ლიოვის გუნდს ჯგუფში პირველ ადგილზე გასვლის შანსი აღარ აქვს.






### სამი კითხვის ნიშანი

ლიოვი ამბობს, ავსტრიასთან ტაქტიკას არ შევცვლიო. ტაქტიკას არა, მაგრამ ძირითადი შემადგენლობის შეცვლა მას ნამდვილად მოუწევს. ხორვატიასთან შეხვედრაში გერმანელებს სამი წამყვანი ფეხბურთელი დაუშავდათ - გოლის ავტორი **ლუკას პოდოლსკი**, გერმანელთა მხრიდან საუკეთესო ფეხბურთელი **ფილიპ ლამი** და მარცხენა მცველი **მარსელ იანსენი.**

პოდოლსკი, რომელსაც ევროპის ჩემპიონატზე სამი გოლი აქვს გატანილი და ერთ-ერთი ბომბარდირია, გუშინ სიარულსაც კი ვერ ახერხებდა. ექიმების თქმით, დიდი შანსია, რომ პოლდიმ ავსტრიასთან ვერ ითამაშოს. უფრო უარეს დღეშია იანსენი, რომელსაც ხორვატების პირველი გოლის დროს მიუძღვოდა ბრალი. თამაშის დროს ის უხერხულად დაეცა და სალამოს მხარი ძალიან ასტკივდა. იანსენის თამაში პოდოლსკიზე საეჭვოა. გუშინ, ბუნდესგუნდთან ერთად ვერც ლამმა ივარჯიშა და ალბათ, არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ლიოვს ყველაზე მეტად სწორედ ამ უკანასკნელის ტრავმა ადარდებს, რადგან ფილიპი ხორვატიასთან ერთადერთი ღირსეული გერმანელი იყო. ცნობილი გახდა, რომ ეს ტრიო ვერც დღეს ივარჯიშებს.

*"იმედი მაქვს, რომ ორშაბათამდე სამივე მწყობრში იქნება,"* - ამბობს ლიოვი. სამაგიეროდ, 100 პროცენტით ნათელია, რომ ავსტრიასთან იოგი **ბასტიან შვაინშტაიგერს** ვერ დაიხმარს. ამ უკანასკნელს არასპორტული საქციელის გამო ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს. ლიოვის თქმით, ავსტრიასთან გერმანიის ნაკრების სასტარტო შემადგენლობა ერთ-ორ პოზიციაზე შეიცვლება. როგორც იცით, პოლონეთთან და ხორვატიასთან იოგიმ ბუნდესნაკრები ერთი და იგივე შემადგენლობით ათამაშა.

### იოახიმ ლიოვი: საშინლად ვითამაშეთ, მაგრამ ტაქტიკას არ შევცვლი!

**ბუნდესმწვრთნელი იოახიმ ლიოვი საფინალო სასტვენის შემდეგ ნირწამხდარი გახლდათ, მაგრამ მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე მეტოქეს მოგება მაინც მიულოცა და აღნიშნა, ხორვატებმა დამსახურებული გამარჯვება იზეიმესო. გთავაზობთ ინტერვიუს, რომელიც იოგის სპორტულმა საინფორმაციო სააგენტო SID-მა ჩამოართვა.**

**- ჰერ ლიოვ, რამდენად დიდია იმედგაცრუება და რას იტყვით თქვენი გუნდის თამაშის შესახებ?**

- რა თქმა უნდა, ყველანი გაოგნებულები და იმედგაცრუებულები ვართ. თუკი მატჩს დეტალურად გავაანალიზებთ, იოლად დავინახავთ, რომ ხორვატიამ ეს გამარჯვება ნამდვილად დაიმსახურა, რადგან ჩვენ ჩვენი თამაში ვერ ვიპოვეთ და საერთოდ ვერაფერი მოვახერხეთ. ჩემი ფეხბურთელები დღეს ბურთითაც და უბურთოდაც ძალიან ცუდად გამოიყურებოდნენ, ცოტას მოძრაობდნენ, ორთაბრძოლებს აგებდნენ. ხორვატია წნეხის ქვეშ ერთხელაც ვერ მოვაქციეთ.

**- ცუდად ითამაშა კაპიტანმა მიხაელ ბალაკმაც. როგორ ფიქრობთ, ამის ბრალი ხომ არ იყოს ის, რომ მთელმა გუნდმა ჩაისვარა?**

- წინასწარ უნდა გვცოდნოდა, რომ ხორვატები აქცენტს ნახევარდაცვაზე გააკეთებდნენ. ასეც მოხდა - მეტოქემ ხუთი ნახევარმცველი დაგვიპირისპირა და ამით გვაჯობა. სამწუხაროდ, ჩვენ ვერაფრით ვუპასუხეთ. მოედნის ცენტრის წაგებით კი ძალიან ბევრი რამ დაიკარგა. ვიბრძოლეთ, მაგრამ ცენტრში უპირატესობას ვეღარ დავეუფლეთ. ფაქტია, რომ ყველაფერი სხვანაირად უნდა ყოფილიყო.

**- იენს ლემანი კარგად არ გამოიყურებოდა. მიუხედავად ამისა, მეკარეს არ შეცვლით?**

- რა თქმა უნდა, არა. ამ ერთი თამაშის გამო ლემანზე მოსაზრებას არ შევიცვლით. იენსის დიდი იმედი მაქვს.

**- თუ იყო ამ თამაშში ისეთი რამ, რამაც დაგაკმაყოფილათ?**

- არა, ასეთი რამ არ ყოფილა. პოლონეთთან რაც კი რამ კარგი გავაკეთეთ, ხორვატიასთან ვეღარ გავიმეორეთ. საერთო ჯამში, გერმანიამ ცუდად ითამაშა და ამას ვაღიარებ კიდეც. გაშვებული გოლების შემდეგ რამდენიმე ეპიზოდში კარგად ვიმოქმედეთ, მაგრამ მხოლოდ რამდენიმე ეპიზოდში. ეს კი საკმარისი არ იყო. ორთაბრძოლებსაც გავურბოდით.

**- რამდენად გაბრაზრდით ბასტიან შვაინშტაიგერზე იმის გამო, რაც მან მატჩის მიწურულს გააკეთა?**

- მომენტი გამეორებით ვნახე და ვფიქრობ, ეს არასპორტული საქციელი იყო. შვაინის მეტოქე ფეხბურთელისთვის არ დაურტყია, ხელი ჰკრა და მინდორზე დააგდო. თუმცა ეს მის საქციელს არ ამართლებს და მეც ვეთანხმები მსაჯს, რომელმაც შვაინშტაიგერს წითელი ბარათი აუფრიალა. თამაშის წინ ბიჭებს სპეციალურად ვუთხარი, პროვოკაციებს ნუ აყვებით-მეთქი, მაგრამ როგორც ჩანს, შვაინი კარგად არ მისმენდა. მოკლედ, მას არ უნდა გაეკეთებინა ის, რაც გააკეთა.

**- როგორ გადაიტანს გერმანია ამ წაგებას?**

- ამ ორი წლის განმავლობაში, რაც გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ვარ, არაერთი კრიტიკული ფაზა გვქონია, მაგრამ ფეხზე წამოდგომას ყოველთვის ვახერხებდით. დარწმუნებული ვარ, რომ ავსტრიასთან სულ სხვა გერმანიას ეიხილავთ.

**- მოსალოდნელია ის, რომ ბალაკი უფრო წინ წასწიოთ?**

- არა, რადგან ეს საჭიროდ არ მიმაჩნია. ჩვენ ისედაც შემტევ ფეხბურთს ვთამაშობთ და ბალაკს ყოველთვის შეუძლია, წინ წავიდეს და შეტევაში უფრო აქტიურად ჩაერთოს. ასეთ დროს მას ტორსტენ ფრინგსი აზღვევს ხოლმე. ახლა ექსპერიმენტების დრო არ არის - ბალაკს მოედანზე თავისი ადგილი აქვს - ნახევარდაცვის ცენტრში, ფრინგსის გვერდით. თამამად ვიტყვი, რომ ტაქტიკურად არაფერს შევცვლით.

*P.S. გუშინ გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ იოახიმ ლიოვს "ფენერბაჰჩეში" ეპატიჟებიან და გრანდიოზულ ხელფასს სთავაზობენ.*

### მიხაელ ბალაკი: სად გაქრა გერმანული სულისკვეთება?

**განრისხებული გახლდათ მიხაელ ბალაკიც, გუნდის კაპიტანი, რომელმაც ხორვატიასთან მატჩი აშკარად ჩააგდო - როგორც მისმა თითოეულმა თანაგუნდელმა. ბუნდესკაპიტანს საინფორმაციო სააგენტო DPA-ს კორესპონდენტი გაესაუბრა.**

**- ჰერ ბალაკ, ახლა რა ვქნათ, ვინერვიულოთ?**

- რატომ უნდა ვინერვიულოთ? ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული, ჩვენი ბედი ჩვენსავე ხელშია. გერმანიის ნაკრები ზედმეტად ძლიერი გუნდია იმისთვის, რომ ევროპის ჩემპიონატს ჯგუფური ეტაპიდან გამოეთიშოს. ვფიქრობ, ეს ყველა ჩემმა თანაგუნდელმა იცის. მაგრამ ჩვენ ამაზე კი არ უნდა ვისაუბროთ, არამედ შესაძლებლობები მოედანზე საქმით უნდა დავამტკიცოთ. დარწმუნებული ვარ, რომ ავსტრიასთან ასეც იქნება.

**- როგორ ფიქრობთ, ავსტრიასთან ისევ ისეთი თამაში იქნება, როგორც თებერვალში, როცა ამ გუნდს ტესტმატჩში 3:0 მოუგეთ?**

- არა მგონია, რომ ამ ორი თამაშის ერთმანეთისთვის შედარება საჭირო იყოს. ეს უკვე ევროპის ჩემპიონატია და ავსტრიელებს მეოთხედფინალში გასვლის შანსი აქვთ. თანაც, მასპინძლები არიან და წარმომიდგენია, როგორ იბრძოლებენ. ერთი სიტყვით, არც ისე იოლი თამაში გველის. არ გვინდოდა, რომ საქმე ბოლო ტურამდე მიგვეყვანა, მაგრამ ახლა უკვე სხვა გზა აღარ გვაქვს.

**- ხორვატიასთან თავდაჯერება გაკლდათ?**

- დიახ, ვფიქრობ, რომ ასეა. დარწმუნებული გახლდით, რომ ბიჭებს ამ მხრივ პრობლემა არ შეექმნებოდათ, მაგრამ როგორც გამოჩნდა, ასე არ ყოფილა. პოლონეთთან თამაშის შემდეგ, როგორც ჩანს, ქებამ გვაწყინა. წესითა და რიგით, ხორვატიასთან ასე ცუდად არ უნდა გვეთამაშა.

**- რისი შეცვლა შეუძლია გუნდის კაპიტანს, რა უნდა გააკეთოთ?**

- ვფიქრობ, ასეთ დროს ყველაზე კარგი პოზიტიურობის შენარჩუნებაა. დიდი შეცდომა იქნებოდა იმის თქმა, რომ ტრაგედია მოხდა და არაფრის იმედი აღარ უნდა გვქონდეს. რაც არ უნდა იყოს, ავსტრიასთან ფრეც გვაწყობს იმისთვის, რომ მეოთხედფინალში ვითამაშოთ. ჩვენი უმთავრესი პლუსი დისციპლინაა - ეს უნდა გვახსოვდეს. უპირველესი რამ, რაც ავსტრიასთან ქომაგებს უნდა ვაჩვენოთ, გერმანული სულისკვეთებაა. ლამაზი თამაშით არ უნდა დავბრმავდეთ, ეს არ არის გერმანული ფეხბურთი. გერმანული ფეხბურთი ბრძოლაა, დაუნდობელი ბრძოლა ბოლო წამამდე.

**- შვაინშტაიგერს უბრაზდებით?**

- რა თქმა უნდა! როდესაც ფეხბურთელი ბოლო წუთებზე პროვოკაციას აჰყვება და თავს ვერ მოთოკავს, განკიცხვის ღირსია. ასეთი რამ მეტწილად ახალგაზრდა ფეხბურთელებს ემართებათ ხოლმე. შვაინიც ახალგაზრდაა, მაგრამ გერმანიის ნაკრებში უკვე 50-ზე მეტი თამაში აქვს ჩატარებული. ეს კი საკმარისი გამოცდილებაა იმისთვის, რომ ასეთი რამ არ ჩაიდინო. ახლა, მომდევნო შეხვედრაში არ გვეყოლება და ეს გუნდისთვის ძალიან ცუდია, რადგან შვაინშტაიგერი ბუნდესნაკრებს ძალიან სჭირდება.

**- გჯერათ, რომ ხორვატიასთან წაგება გერმანიის ნაკრებს გამოაფხიზლებს და რომ ასეთი რამ აღარ განმეორდება?**

- დიდი იმედი მაქვს, რომ ასე იქნება.

**- იქნებ ძირითადი შემადგენლობის შეცვლაა საჭირო? ამ თემაზე დებატები უკვე დაწყებულია.**

- მოდით, ამ ერთი წაგების გამო ყველაფერს ხელს ნუ გადავუსვამთ. უნდა დავინახოთ რომელი ფეხბურთელები ინდომებენ და რომლები არა. ხორვატებმა პირველი თამაშის შემდეგ სასტარტო შემადგენლობა შეცვალეს - ერთი თავდამსხმელი მოხსნეს და მეხუთე ნახევარმცველი ათამაშეს. მოიგეს კიდეც. როგორც ჩანს, მათმა მწვრთნელმა ბევრი იფიქრა და სწორი გადაწყვეტილება მიიღო. ჩვენც ყველა თამაშს ინდივიდუალურად უნდა მივუდგეთ და წინასწარ განვსაზღვროთ, როგორი ტაქტიკითა და შემადგენლობით ვითამაშოთ. ცხადია, ყველას გვინდა, რომ გერმანიამ თავისი ფეხბურთი ითამაშოს, მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, ვინ როგორ ფორმაშია.

**- თქვენც ცუდად ითამაშეთ. თამაშის პირველივე სცენა თქვენი უმისამართო პასი იყო. რატომ?**

- რატომ ვითამაშე ცუდად, რაკი მატჩი უმისამართო პასით დავიწყე? ჰო, ეს არ იყო ჩემი საუკეთესო მატჩი. მაგრამ ეს თამაში მთელმა გუნდმა ჩააგდო.

**გოტფრიდ ლენცი**

მოსაზრება

# ამის იქით აღარაფერია!

## მეტცელდერი ძირითად შემადგენლობაში არ უნდა თამაშობდეს, ოდონკორი ელემენტარულად ვერ აზროვნებს...



kicker

რაინერ ჰოლცშუ, კიკერის მთავარი რედაქტორი

...და ახლა რა ვქნათ, გავბრაზდე? თუ ცინიზმით შემოვიფარგლო? ან იქნებ თავი ისევ წარსულით უნდა ვინუგეშო და 1974 წლის მუნდიალი გავიხსენო, როცა საბჭოთა კავშირთან წაგების შემდეგ გდრ ისე გამოცოცხლდა, რომ მსოფლიოს საუკეთესო გუნდი გახდა?

არ ვიცი, რას ეტყვის იოახიმ ლიოვი თავის შეგირდებს, მაგრამ ერთი რამ დანამდვილებით შემიძლია ვთქვა: პროფესიონალურ ანალიზთან ერთად, იოგი ფსიქოლოგიურ ხრიკებსაც დაიხმარს და ბიჭებს უფრო შეაგულიანებს, ვიდრე წაეჩხუბება. ვიცი, რომ ლიოვი ასე ფიქრობს: მაგიდაზე მუშტების დარტყმით შეიძლება საქმე უფრო გაფუჭდეს.

არის თუ არა ეს სწორი გზა, ამას ორშაბათამდე ვერ გავიგებთ. და თუ გგონიათ, რომ მეოთხედფინალში გასვლა საკმარისი იქნება იმისთვის, რომ ვთქვათ, ეს გზა სწორიაო, ძალიან ცდებით. სწორი მაშინ იქნება, თუ გუნდი კარგად ითამაშებს, თორემ ავსტრიის ნაკრების დამარცხება მეორე ბუნდესლიგის ნაკრებსაც შეუძლია.

ხორვატიასთან ბუნდესგუნდმა ძალიან ცუდად ითამაშა. იმდენად ცუდად, რომ ამის იქით უკვე აღარაფერია. ჯერ კიდევ სანამ თამაში დაიწყებოდა, როცა ფეხბურთელებს შევხედე, ისეთი გრძნობა დამეუფლა, რომ ისინი ამ თამაშის მოგებაზე კი არ ფიქრობდნენ, არამედ საკუთარ წონაზე, მენტალურ წონაზე და იმაზე, რომ ხორვატებზე მაღლა იდგნენ.

გნებავთ ფლეგმატური ნათქვამი დაარქვით და გნებავთ სხვა რამე - აბსოლუტური კონცენტრაცია და შინაგანი მონდომება მე სხვანაირი ვიცი. ფეხბურთი ისეთი თამაშია, სადაც გადამწყვეტი მხოლოდ შესაძლებლობები კი არ არის, არამედ ტვინი და გული. ხორვატებს გონებაც გერმანელებზე უკეთ უჭრიდათ და გულიც უფრო მაგარი აღმოაჩნდათ.

რაც შეეხება ფაქტებს: ნურავინ იტყვის, რომ სათამაშო პრაქტიკა მნიშვნელოვანი არ არის, მეტცელდერის მაგალითზე გამოჩნდა, რომ პრაქტიკა უმთავრესია. კრისტოფი ძირითად შემადგენლობაში არ უნდა თამაშობდეს. დავიდ ოდონკორი კი ელემენტარული საფეხბურთო აზროვნებისგან ძალიან შორსაა. მიროსლავ კლოზე ძალიან ცუდ ფორმაშია, მარსელ იანსენი კი უფრო შემტევი გარემარბია, ვიდრე დამცველი.

ფაქტია ისიც, რომ იოახიმ ლიოვს ორშაბათამდე ძალიან ბევრი საქმე აქვს.



ელექტრონული ბიბლიოთეკა

ხორვატია

# ბილიჩი: ევროპის ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი მოდრიჩია

გერმანიასთან ბრწყინვალე გამარჯვებამ ხორვატიის ნაკრების შანსები ერთიორად გაზარდა. ექსიუგებმა საუცხოოდ ორგანიზებული, სწრაფი და ტექნიკური ფეხბურთი აჩვენეს. იმ მატჩის შემდეგ, ალბათ, ბევრმა ეჭვით შეხედა გერმანელთა ფავორიტობას და უფრო მაღალ საფეხურზე ხორვატია დააყენა. მაგრამ ასე მსჯელობაც არასწორია: გავიხსენოთ, რომ ავსტრიასთან პირველ მატჩში გამარჯვების მიუხედავად, ხორვატებს საგოლე მომენტი, ფაქტობრივად, არ შეუქმნიათ და სამშობლოში სასტიკი კრიტიკაც დაიმსახურეს. მათგან განსხვავებით, გერმანელებმა პირველ ტურში ეფექტურად ითამაშეს და პოლონეთს 2:0 მიართვეს. ამდენად, ჯერ დასკვნების გაკეთება ნააჩქარევია.



სლავენ ბილიჩი და ლუკა მოდრიჩი

მაგრამ ნაადრევია არა **სლავენ ბილიჩისთვის**, რომელსაც **ლუკა მოდრიჩი** უკვე ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი ჰგონია. *"ის უკვე ევრო 2008-ის ვარსკვლავია და ამას ყოველდღე ჩავჩიჩინებ. მე არ მჭირდება მისთვის რეპუტაციის შექმნა. ის ამას თავად აკეთებს. მაგრამ მოდრიჩი ჩვენს გუნდში მარტო არ არის, ხორვატიას სხვა დიდი ფეხბურთელებიც ჰყავს, ვიტყოდი, მსოფლიო კლასის ფეხბურთელებიც კი. მათ ეს გერმანიასთან მატჩშიც დაამტკიცეს, და ამტკიცებენ ყოველდღე, ვარჯიშების დროსაც, მერე კი თამაშშიც, მოედნის ყოველ წერტილში".*

გასაგებია, რომ უსაზღვროდ ემოციური ბილიჩი ჯერაც აჟიტირებულია და აქვს კიდეც ამის საფუძველი. მაშინ, როცა ჯგუფში გერმანიასთან ერთად ხარ და პირველ ადგილს ვადაზე ადრე ინალდებ, ბუნებრივია, საკუთარი გუნდისთვის ეპითეტებს არ დაიშურებ. მერე და, ხორვატებს გერმანელებზე გამარჯვება ხომ კარგად აქვთ დაცდილი. 1998 წლის მუნდიალზე **მიროსლავ ბლაჟევიჩის** კრებულმა **ბერტი ფოგტსის** ბუნდესგუნდს 3:0 (ასეთი ანგარიში გუშინწინდელ მატჩშიც რეალური იყო) მოუგო და მერე ბრინჯაოც დააჭაშნიკა. დღევანდელი ნაკრების შემხედვარე, რაღაც ამდაგვარი მართლა ჩანს. ყოველ შემთხვევაში, ხორვატები ფინალში რომ გავიდნენ, ნამდვილად არ იქნება გასაკვირი...

რაც შეეხება ბილიჩის მიერ ევროვარსკვლავად შერაცხულ მოდრიჩს. 22 წლის ნახევარმცველი, რომელმაც თამაში ბოსნიურ ლიგაში დაიწყო, "ტოტენჰემის" ახალი შენაძენია. როგორც ამბობენ, "მამლებმა" ზაგრების "დინამოს" 20-25 მილიონი ევრო გადაუხადეს. ამბობენ იმასაც, რომ "ტოტენჰემმა" მოდრიჩისთვის ბრძოლაში თვით "არსენალი" და "ჩელსიც" კი დაამარცხა...

ასეა თუ ისე, ახლა მას გაათმაგებული ყურადღებით დააკვირდებიან. მთავარია, ახალგაზრდამ ამ წნეხს გაუძლოს და პროგრესი გააგრძელოს. მას ყველა მონაცემი აქვს იმისთვის, რომ მწვრთნელის სიტყვები ახლო მომავალში რეალობად აქციოს. პრემიერლიგის მომავალი სეზონი მოდრიჩისთვის განსაკუთრებული იქნება. დასაწყისისთვის "ტოტენჰემიც" საკმარისია. ალბათ, ეს კლუბი მისთვის ტრამპლინი იქნება, გრანდებისკენ სავალ გზაზე.

ავსტრია

# ჰიკერსბერგერი გერმანიას შოკს ჰპირდება

თუკი ხორვატები გერმანიას 1998 წლის გამეორებით ემუქრებოდნენ და აუსრულეს კიდეც, ახლა ავსტრიელებმა წამოყვეს თავი და ბუნდესგუნდს 1978 წელი გაახსენეს. მაშინ, არგენტინული მუნდიალის მეორე ჯგუფურ ეტაპზე, ავსტრიამ გფრ-ს 3:2 მოუგო და ნახევარფინალის გზა ჩაუკეტა. სხვათა შორის, იმ გუნდში მე-7 ნომრად, ნახევარმცველი **იოზეფ ჰიკერსბერგერი**, ავსტრიელთა დღევანდელი დამრიგებელიც თამაშობდა.



ჰიკერსბერგერი: 30 წლის წინანდელი ამბავი სასიამოვნო მოსაგონარია, მაგრამ დღეს არაფერს ნიშნავს

მაგრამ ამ ნაკრებთა ურთიერთშეხვედრების ისტორია ამით არ შემოიფარგლება. გავიხსენოთ მსოფლიოს 1982 წლის ჩემპიონატის გახმაურებული მატჩიც, როცა **იუპ დერვალის** გფრ-მ, მეტად საეჭვო ვითარებაში, 1:0 მოუგო ავსტრიას და მეორე ჯგუფურ რაუნდში გავიდა. მატჩი საეჭვო იყო იმდენად, რამდენადაც **ჰორსტ ჰრუბეშის** მიერ მე-10 წუთზე გატანილი გოლის შემდეგ, მთელი დარჩენილი დროის განმავლობაში, გუნდები უხალისოდ დაზოზინებდნენ მოედანზე და ბურთს უაზროდ აგორებდნენ. მაგრამ არსებობს საპირისპირო არგუმენტიც: პრინციპში, რატომაც არა? ამ ანგარიშით ორივე გადიოდა ჯგუფიდან და რაღა საჭირო იყო გამწვავება?

ახლა კი მიმდინარე ბატალიებზე. პოლონეთთან გუშინწინდელ შეხვედრაში ავსტრიამ მეტად საკამათო 11-მეტრიანის წყალობით პირველი ქულა აიღო და პირველი გოლიც გაიტანა. ამით, თანამასპინძელმა მეოთხედფინალში გასვლის შანსი დაიტოვა. სამწუხაროდ, ბოლო ტურში მან გერმანია უნდა დაამარცხოს, პოლონეთმა კი ხორვატიასთან მაქსიმუმ ერთბურთიანი სხვაობით გაიმარჯვოს...

საეჭვო პენალტით მიღწეულმა ფრემ, ავსტრია, რომელიც აშკარად უკლასო გუნდია, მადაზე მოიყვანა. ჰიკერსბერგერს იმედი აქვს, რომ გერმანიას შოკში ჩააგდებს: *"რა თქმა უნდა, ეს პირადად ჩემთვისაც განსაკუთრებული მატჩია. ბუნდესლიგაში დიდებული წლები მაქვს გატარებული. გერმანიის წინააღმდეგ თამაშსაც რაღაც სხვანაირი ხიბლი და მოტივაცია ახლავს თან. ჩვენ ვნახეთ, როგორ ითამაშეს გერმანელებმა ხორვატიასთან, ვნახეთ მათი მხრიდან მეტად უხეში შეცდომებიც. იმედი გვაქვს, რომ ბუნდესნაკრებთან ბოლო შეხვედრაში ანალოგიური შანსები ჩვენც გვექნება და მეტოქეს შოკში ჩავაგდებთ. რაც შეეხება 30 წლის წინანდელ გამარჯვებას, რა თქმა უნდა, სასიამოვნო მოსაგონარია, მაგრამ დღევანდელობაზე გავლენას ვერ მოახდენს".*

არ ვიცით, ექნება თუ არა ავსტრიას ისეთი შანსები, როგორიც პოლონეთთან ჰქონდა. გაგახსენებთ, რომ მარტო **მარტინ ჰარნიკმა** პირველ ტაიმში ორი ასპროცენტიანი მომენტი გააფუჭა. საერთო ჯამში, სწორედ ამან მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რაც ზემოთ ვთქვით - ავსტრია მართლაც უკლასო გუნდია, მაგრამ... მაგრამ ის, რომ ერთი მატჩის მაღალ დონეზე ჩატარება ყველას შეუძლია. ჰიკერსბერგერის კრებულს მხოლოდ გამარჯვება სჭირდება. გერმანია კი ფრის შემთხვევაშიც გადის მეოთხედფინალში. პოლონეთმა რომც მოუგოს უმოტივაციო ხორვატიას, ბუნდესნაკრებთან წაგებული აქვს და თანაბარი ქულების შემთხვევაში, უპირატესობა **იოახიმ ლიოვის** გუნდს მიენიჭება.

ექვები პენალტის გამო

# ინგლისელ არბიტრს სიკვდილით ემუქრებიან

**რუუდ ვან ნისტელროის** გოლის შემდეგ, სამსაჯო გადაწყვეტილებებზე კამათის ახალი ტალღა ინგლისელ არბიტრ **ჰოვარდ უებს** უკავშირდება. ავსტრია-პოლონეთის მატჩის ბოლო წუთზე ბრიტანელმა ფრიად საეჭვო პენალტი დანიშნა სლავების კარში, რასაც **ივიცა ვასტიჩის** გოლი და ავსტრიელთა პირველი ქულა მოჰყვა. ეს ქულა კი, ამავდროულად, არის შანსი, რომ ტურნირის თანამასპინძელმა მეოთხედფინალში ითამაშოს. სწორედ ამას მოჰყვა მითქმა-მოთქმაც. უების გადაწყვეტილებას სკანდალური სარჩული დაედო: ხომ არ იყო ეს შეგნებული "შეცდომა", რათა შვეიცარიის გავარდნის შემდეგ, ჯგუფში ავსტრიაც არ ჩარჩენილიყო.



ჰოვარდ უების გადაწყვეტილებამ პოლონელები ძალიან აღაშფოთა

მოგეხსენებათ, ტურნირის ეფექტურობა (პირველ რიგში, ეკონომიკური თვალსაზრისით) მაშინაა უფრო მაღალი, თუკი მისი ორგანიზატორი წარმატებით თამაშობს. ზოგადადაც, მიღებული "წესია", რომ მასპინძელს მსაჯები ყველა დროსა და ეპოქაში სიმპათიით ეპყრობიან. ვერ ვიტყვით, რომ თემიდის მსახურებმა ავსტრიასა და შვეიცარიას განსაკუთრებული სასათბურე პირობები შეუქმნეს, ყოველ შემთხვევაში, ავსტრია-პოლონეთის მატჩამდე ამის თქმის საფუძველი ნამდვილად არ არსებობდა. ერთადერთი, შვეიცარია-ჩეხეთის გახსნით მატჩში, **ტომაშ უიფალუშის** მიერ ხელით თამაშისთვის პენალტის არდანიშვნა, იტალიელი არბიტრის **რობერტო როზეტის** შეცდომად შეიძლება მივიჩნიოთ. მაგრამ გავიხსენოთ ავსტრია-ხორვატიის შეხვედრაც, როცა ჰოლანდიელმა არბიტრმა **პიტერ ვინკმა** მასპინძელი უკვე მე-4 წუთზე დასაჯა 11-მეტრიანით...

უების გადაწყვეტილებამ პოლონელთა უკიდურესი აღშფოთება გამოიწვია. პროტესტის გამო, მათი ორი ფეხბურთელიც გააფრთხილეს. მკაცრი განცხადება გააკეთა პოლონეთის ნაკრების დამრიგებელმა **ლეო ბეენჰაკერმაც** - 43 წელიწადია ფეხბურთში ვარ და ასეთ სიტუაციაში დანიშნული პენალტი არ მახსოვსო.

გუშინვე არაერთ ვებგვერდზე გაჩნდა ინგლისელი რეფერის შეურაცხმყოფელი წერილები. უებს ქრთამის აღებაში ადანაშაულებენ. ამას გარდა, მას სიკვდილითაც დაემუქრნენ. ერთადერთი, ვინც მას გამოესარჩლა, უეფას კომუნიკაციების დირექტორი **უილიამ გალიარდი** გახლდათ: *"ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ მისტერ უებმა შეცდომა დაუშვა, ან მით უმეტეს, შეგნებულად დანიშნა 11-მეტრიანი. აშკარა იყო, რომ პოლონელი ფეხბურთელი მეტოქეს მაისურაზე ქაჩავდა".*

იქვე, გალიარდიმ დაამატა, რომ უეფას სპეციალური კომიტეტი ყველა მატჩს აანალიზებს, თუმცა რაიმე საფუძველი, რომ უები ჩემპიონატიდან მოიხსნას, არ არსებობს. ეს კი არა, უეფას სადისციპლინო კომიტეტმა, შესაძლოა, პოლონელთა მწვრთნელი ბეენჰაკერი დასაჯოს, არბიტრის მიმართ არაკორექტული გამონათქვამების გამო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩელსი

# რონალდინიო, სკოლარის პირველი შენაძენი?

## დეკუმ, შეიძლება, ლემპარდი შეცვალოს, ლემპარდმა კი ინტერს მიაშუროსო...

"ჩელსის" ბოსი **რომან აბრამოვიჩი** მზადაა, **ლუიშ ფელიპე სკოლარის** შეუზღუდავი ფინანსური რესურსები გამოუყოს. ამ ინფორმაციას ინგლისური სააგენტოები ავრცელებენ. ევროპის ჩემპიონატის შემდეგ, 59 წლის ბრაზილიელი ლონდონურ გრანდს ჩაუდგება სათავეში.


ლუიშ ფელიპე სკოლარი

აბრამოვიჩი სანახაობრივ ფეხბურთს ითხოვს. რუსმა ოლიგარქმა სკოლარიზე ამიტომაც შეაჩერა არჩევანი. "თაიმსის" ცნობით, "ჩელსის" მომავალმა მწვრთნელმა კლუბს სასურველი ფეხბურთელების სია გადასცა. მასში **ფერნანდო ტორესის, ფრანკ რიბერისა** და **კაკას** გვარებს შეხვდებით.

მაგრამ სკოლარის პირველი შენაძენი, შეიძლება, **რონალდინიო** იყოს. "სანის" ცნობით, "ჩელსის" ემისრები ბრაზილიელს უახლოეს დღეებში დაუკავშირდებიან. 28 წლის ფეხბურთელს "ბარსელონაში" კატასტროფული სეზონი ჰქონდა. მან მხოლოდ 17 მატჩი ჩაატარა. მიმომხილველთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ რონალდინიო უწინდელ დონეზე ველარასოდეს ითამაშებს. ამიტომ მისი ტრანსფერი სარისკოა. ამჟამად რონალდინიო პორტუ ალეგრიში იმყოფება და ისვენებს. მისმა ძმამ **რობერტო ასისმა** განაცხადა: *"მომავალი სეზონისათვის რამდენიმე სარფიანი შეთავაზება გვაქვს. გარწმუნებთ, რონალდინიო უმოკლეს დროში აღიდგენს ფორმას."*

სკოლარის **დეკუსა** და **სამუელ ეტოოს** შეძენაც სურს. ესპანური სააგენტოების ცნობით, "ბარსელონას" 55 მილიონ ევროს მიუთვლიან. თუ "არისტოკრატები" ყველა ჩამოთვლილი ვარსკვლავის შეძენა სურთ, ვილაცის გაშვებაც მოუწევთ. "დეილი მეილი" გვაუწყებს, რომ "მილანს" კაკას სანაცვლოდ **დიდიე დროგბასა** და **ანდრეი შევჩენკოს** შესთავაზებენ.

სპეკულაციების თანახმად, ბრაზილიელი ნახევარმცველი 75 მილიონი ევრო ღირს. "მილანი" კაკას გამო ატეხილ ხმაურს მაშინვე გამოეხმაურა. კლუბის ტექნიკურმა დირექტორმა **ლეონარდომ** განაცხადა: *"რა გასაკვირია, თუკი ბრაზილიელ მწვრთნელს მისი თანამემამულე ფეხბურთელების ყიდვა სურს. მაგრამ კაკა არ იყიდება. ის კარიერის ბოლომდე "მილანში" დარჩება."*

"დეილი მეილი" კიდევ ერთ საინტერესო ამბავს გვაუწყებს - **დეკუმ**, შეიძლება, **ფრენკ ლემპარდი** შეცვალოს, ლემპარდმა კი "ინტერს" მიაშუროსო. "ნერაძურიში" **ჟოზე მოურინიო** დაინიშნა. ის უარს არ იტყვის, ყოფილი კლუბიდან რამდენიმე ვარსკვლავი იტალიაში წაიყვანოს. ლემპარდმა "ჩელსიში" 300-ზე მეტი მატჩი ჩაატარა და 100-ზე მეტი გოლი შეაგდო. ის "სტემფორდ ბრიჯზე" 2001 წლის ზაფხულში, თანაქალაქელი "ვესტ ჰემიდან" გადავიდა. მის აქტივშია ინგლისის ორგზის ჩემპიონობა, ასოციაციის თასი და ლიგის თასი. ლემპარდის აზარგებას დიდი ხანია, წინასწარმეტყველებენ. სპეკულაციებმა განსაკუთრებით ინტენსიური ხასიათი შეიძინა "ჩელსიდან" მოურინიოს წასვლის შემდეგ.

"არისტოკრატებს" **ფერნანდო ტორესის** შეძენაც გაუჭირდებათ. ესპანელი თავდამსხმელი "ლივერპულში" ჩინებულად მოეწყო. მან სადებიუტო სეზონში 33 გოლი გაიტანა და გულშემატკივრებს უმალ შეაყვარა თავი. მაგრამ "თაიმსი" ვარაუდობს, რომ თუ "ჩელსი" დიდ ფულს გადაიხდის, "ლივერპულის" ამერიკელი მფლობელები ფეხბურთელს უყოყმანოდ გაყიდიან. მოსალოდნელ ტრანსფერებთან დაკავშირებით ოფიციალური კომენტარები არ კეთდება.

"დეილი ტელეგრაფის" ცნობით, "ჩელსის" ემისრები ევროპის ჩემპიონატის მატჩებს ესწრებიან. ესპანეთი-რუსეთის თამაშისას, ლონდონელი სკაუტი **დავიდ ვილიას** აკვირდებოდა. ვილიამ იმ შეხვედრაში ჰეთ თრიკი შეასრულა. ასე რომ, ტორესისა და ეტოოს ნაცვლად, "ჩელსიმ", შეიძლება, ვალენსიელი ვარსკვლავი შეიძინოს.

"ჩელსის" ტრანსფერების თემას ეხმაურება გაზეთი "ასი". მისი ინფორმაციით, სკოლარის **რობინიოს** ყიდვაც სურს. ტაბლოიდის მტკიცებით, **რობინიოს** აგენტი **ვაგნერ რიბეირო** ლონდონელებს უკვე ესაუბრა. "რეალი" ფეხბურთელთან ახალი კონტრაქტის გაფორმებას არ ჩქარობს. "ასი" ვარაუდობს, რომ სამეფო კლუბი ბრაზილიელს 30 მილიონ გირვანქას შეაფასებს.

ლუიშ ფელიპე სკოლარი "ჩელსის" მწვრთნელის რანგში პირველ ოფიციალურ მატჩს 16 ან 17 აგვისტოს ჩაატარებს - მაშინ, როდესაც პრემიერლიგის მორიგი სეზონი დაიწყება.

მწვრთნელი

# ვინ ჩაიბარებს პორტუგალიას?

## კეიროშის გარდა, რაიკაარდის კანდიდატურაც აქტიურად განიხილება

პორტუგალია ნაკრების ახალ დამრიგებელს ეძებს. მან "მანჩესტერ იუნაიტედის" მეორე მწვრთნელ **კარლუშ კეიროშს** დაადგა თვალი. კეიროში **სერ ალექს ფერგიუსონის** მარჯვენა ხელი და მისი სავარაუდო მემკვიდრეა. პორტუგალიელები "იუნაიტედს" მოლაპარაკებების დაწყებას სთავაზობენ. ფედერაციის განცხადებაში ნათქვამია: *"გვინდა, სკოლარის საქმე ღირსეულად გავაგრძელოთ. ამისათვის კეიროშის დონის სპეციალისტი გვჭირდება. მას დიდი ავტორიტეტი აქვს. გვჯერა, მისი დანიშვნა ფეხბურთელებს ძალიან გაახარებს."* კეიროში "მანჩესტერში" 2002 წელს დაინიშნა. ერთი წლის შემდეგ, მან მადრიდის "რეალს" მიაშურა. 2004 წლის ზაფხულში კვლავ "იუნაიტედში" დაბრუნდა და დღემდე "ეშმაკების" ბანაკში მოღვაწეობს. მოსალოდნელ დანიშვნასთან დაკავშირებით კომენტარები ჯერ არ გაკეთებულა.


კარლუშ კეიროში შეიძლება სამშობლოში დაბრუნდეს

ესპანური გაზეთი "დიარიო სპორტი" იუწყება, რომ პორტუგალიელები **ფრანკ რაიკაარდის** კანდიდატურასაც განიხილავენ. "ბარსელონამ" ის სეზონის დასრულებისთანავე გაათავისუფლა. ვარაუდობდნენ, რომ რაიკაარდი "ჩელსიში" წავიდოდა. ლონდონელებმა სკოლარი არჩიეს. სკოლარის ადგილას კი, შეიძლება, ჰოლანდიელი სპეციალისტი ვიხილოთ. მან სამწვრთნელო კარიერა ჰოლანდიის ნაკრებში დაიწყო და 2000 წლის ევროპის ჩემპიონატზე გუნდი ნახევარფინალში გაიყვანა. 2003 წლის ზაფხულში რაიკაარდი "ბარსელონაში" დაინიშნა და მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში, ერთხელ ჩემპიონთა თასი, ორჯერ ესპანეთის ჩემპიონატი და ორჯერ ესპანეთის სუპერთასი მოიგო.

ინტერი

# მანჩინი 15 მილიონად

## კვარეშმას ტრანსფერი შეფერხდა, მილანელებმა ხოაკინი მოიკითხეს

**ამანტინო მანჩინი** "ინტერში" გადადის. ამ ინფორმაციას მილანელთა ტრანსფერების მენეჯერი **მარკო ბრანკა** ავრცელებს. *"ფეხბურთელის აგენტს კვირის ბოლოს შევხვდები. "რომა" მოლაპარაკებაზე თანახმაა. მანჩინი დიდი ხანია, გვაინტერესებს. გავარკვევთ, კიდევ რომელი ფეხბურთელის გაყიდვას აპირებენ,"* - თქვა ბრანკამ. მანჩინის რომაელთა თავკაც **ლუჩანო სპალეტისთან** პრობლემები აქვს. "ინტერი" მზადაა, მას სარფიანი კონტრაქტი შესთავაზოს. დედაქალაქელებს კი 15 მილიონ ევროს მიუთვლიან. შესაძლოა, ასეთი გარიგებაც - რამდენიმე მილიონი ევრო, პლუს **ხულიო კრუსი, დავიდ სუასო**, ან **ერნან კრესპო**. **ჟოზე მოურინიო** ზედმეტი ფეხბურთელების გაშვებას აპირებს, რათა ახალწვეულებისათვის ადგილი გაათავისუფლოს.

"გაძეტა დელო სპორტის" ცნობით, "ინტერი" "ვალენსიასაც" დაუკავშირდა. მილანელებს **ხოაკინ სანჩესი** სურთ. "ნერაძური" პორტუგალი **რიკარდო კვარეშმას** შეძენას აპირებდა, მაგრამ მოლაპარაკებები შეფერხდა. ბრანკამ მაშინვე სათადარიგო ვარიანტი მოსინჯა. იტალიური მედია იუწყება, რომ "ვალენსიამ" ხოაკინის სანაცვლოდ სულ რაღაც 10 მილიონი ევრო მოითხოვა.

იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ "ინტერს" ჯარიმა დააკისრა. ფინანსური დოკუმენტების გაყალბებისათვის, "ინტერს", მის თანაქალაქელ "მილანსა" და "სამპდორიას" სოლიდური თანხის გადახდა მოუწევთ. მილანური გიგანტები ფედერაციას 90-90 ათას ევროს მიუთვლიან. საუბარია დარღვევებზე, რომელიც ამ კლუბებს 2003-05 წლებში აღმოაჩნდათ. "სამპდორიის" დარღვევებზე შედარებით უმნიშვნელოდ ჩაითვალა. გენუელები მხოლოდ 36 ათას ევროს გაიღებენ.

კლუბების გარდა, დაისაჯნენ მათი მაღალჩინოსნებიც. "მილანის" ვიცე-პრეზიდენტი **ადრიანო გალიანი** საკუთარი ჯიბიდან 60 ათას ევროს გადაიხდის. "სამპდორიის" პრეზიდენტი **რიკარდო გარონე** კი - 18 ათასს. "ინტერის" პრეზიდენტი **მასიმო მორატის** საჯარიმო თანხის ოდენობა უცნობია.

ვარსკვლავი

# რუნიმ ჯვარი დაიწერა

**ხუთშაბათს, უეინ რუნიმ** და **კოლინ მაკლაფლინმა** ჯვარი დაიწერეს. ჯვრისწერა იტალიის რივიერაზე, მე-17 საუკუნის ციხესიმაგრეში შედგა. ცერემონიალს მხოლოდ ოჯახის წევრები და უახლოესი მეგობრები ესწრებოდნენ. სანტა მარგერიტაში მთელი დღის განმავლობაში გადაუღებლად წვიმდა. ამიტომაც ეზოში, ღია ცის ქვეშ დაგეგმილმა ღონისძიებამ შენობაში გადაინაცვლა. სტუმრებს ულამაზესი ფრესკებით დამშვენებულ ოთახში გაუმასპინძლდნენ.


უეინ რუნი და კოლინ მაკლაფლინი

პატარძალს მოკლე, ქათქათა კაბა ეცვა, ნეფეს - კოსტუმი, რომელშიც არაკომფორტულად გრძნობდა თავს. რუნიმ ჰალსტუხი არ გაიკეთა და საქორწინო ფიცი მოღეღილი პერანგით დადო. ცერემონიის ოფიციალურმა მხარემ 20-ოდ წუთს გასტანა. სიმებიანმა ორკესტრმა კლასიკური მუსიკის ხანმოკლე კონცერტი მოაწყო.

ციხესიმაგრის მისადგომებთან ფოტოგრაფებმა ადრიდანვე დაიკავეს ადგილები. სტუმრები ძვირფასი მანქანებით მოვიდნენ, მაგრამ ყველა ავტოს დაბურული მინები ჰქონდა. ქორწილის დღე ფეიერვერკმა დააგვირგვინა, თუმცა წვეულება ამით არ დასრულებულა. შუაღამისას სტუმრებმა ზღვაში გაისეირნეს. მათ იტალიაში სამი დაუყინვარი დღე გაატარეს.

### პორტუ ლიგაში აღადგინეს

უეფას სააპელაციო კომისიამ "პორტუს" საჩივარი დააკმაყოფილა. პორტუგალიური გრანდი ჩემპიონთა ლიგიდან მოკვეთას ასაჩივრებდა. ორი კვირის წინათ, უეფას სადისციპლინო კომისიამ "პორტუს" ჩემპიონთა ლიგის მომავალ გათამაშებაში მონაწილეობა აუკრძალა. მიზეზი მსაჯების მოქრთამვაა. კლუბის ხელმძღვანელობამ აღიარა, რომ ოთხი წლის წინათ ორჯერ შეეცადა არბიტრების მოქრთამვას, რათა ჩემპიონატის მატჩები თავის სასარგებლოდ დაესრულებინათ. საუბარია იმ სეზონზე, როდესაც **ჟოზე მოურინიომ** და "პორტუმ" ჩემპიონთა თასი დაისაკუთრეს.

სკანდალის გამო, პორტუგალიის ფეხბურთის ფედერაციამ კლუბს ექვსი ქულა ჩამოაკლო. მან მაინც დიდი სხვაობით მოიპოვა ოქროს მედლები და ჩემპიონთა ლიგის ჯგუფში თამაშის უფლება. სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილების შემდეგ, საქმე კვლავ სადისციპლინო კომისია დაუბრუნდება. ეს უკანასკნელი საბოლოო გადაწყვეტილებას ივნისის ბოლომდე მიიღებს.

### ჩაბი ალონსო იუვენტუსში ჩაირიცხა

"იუვენტუსმა" **ჩაბი ალონსო** შეიძინა. ამ ინფორმაციას "გაძეტა დელო სპორტი" ავრცელებს. "ლივერპულთან" შეთანხმება მიღწეულია. ტურინელთა გენერალური მენეჯერი **ჟან-კლოდ ბლანი** ინგლისიდან გუშინ გვიან ღამით დაბრუნდა. ერთთვიან მოლაპარაკებებს უშედეგოდ არ ჩაუვლია. "ბებერი ქალბატონი" მერსისაიდელებს 18 მილიონ ევროს მიუთვლის. ტურინელებს შემადგენლობის გაძლიერება ჯერ არ დაუსრულებიათ. ისინი ჩელსელ **ბრანისლავ ივანოვიჩს** აკვირდებიან. "არისტოკრატებმა" 24 წლის სერბი მცველი იანვრის ტრანსფერებისას შეიძინეს. მისი ფასი უცნობია. ორწლიანი განშორების შემდეგ, "იუვე" ჩემპიონთა ლიგაში ბრუნდება. აქტიური სატრანსფერო კამპანიაც ამით აიხსნება.

### მოუტინიო: ბარსელონა? დაუფიქრებლად

"ბარსელონის" დაინტერესების შემთხვევაში, **ჟოაო მოუტინიო** ლისაბონის "სპორტინგს" დაუფიქრებლად დატოვებს. სპეკულაციების თანახმად, მოუტინიოს შეძენა "მანჩესტერ იუნაიტედსაც" სურს. პორტუგალიელები ახალგაზრდა ფლეიმეიქერს 18 მილიონ გირვანქად აფასებენ. "დიარიო სპორტის" ცნობით, კატალონიელები "სპორტინგს" უკვე დაუკავშირდნენ და მოლაპარაკებების დაწყება შესთავაზეს. მოუტინიომ, რომელიც ამჟამად ევროპის ჩემპიონატზე იმყოფება, ასეთი კომენტარი გააკეთა: *"ბარსელონის" მატარებელი მხოლოდ ერთხელ ჩამოდგება. თუ მასზე შეხტომის შანსს ხელიდან გაუშვებ, ცხოვრების ბოლომდე სანანებელი გაგიხდება."*

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. ახალგაზრდული ნაკრები

# მზადება, შემადგენლობა, მიზნები




შერმადინი, გულისაბედაშვილი, პირველაშვილი, ფაცაცია

ევროპის 20-წლამდელთა ჩემპიონატი. რიგა (ლატვია)

A ჯგუფი: ხორვატია, უკრაინა, თურქეთი, იტალია

B ჯგუფი: საქართველო, ისრაელი, თურქეთი, იტალია

C ჯგუფი: ლატვია, მონტენეგრო, ესპანეთი, ბულგარეთი

D ჯგუფი: რუსეთი, სლოვენია, საფრანგეთი, სერბეთი

| B ჯგუფის კალენდარი |
|---|
| **1 აგვისტო** |
| საქართველო-თურქეთი |
| იატლია-ისრაელი |
| **2 აგვისტო** |
| საქართველო-იტალია |
| ისრაელი-თურქეთი |
| **3 აგვისტო** |
| საქართველო-ისრაელი |
| იტალია-თურქეთი |

**დაპირებისამებრ დღეს ვრცლად გესაუბრებით საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებზე. რიგაში გასამართ 2-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატზე ჩვენი ჯგუფის განრიგს ქვემოთ გაეცნობით, ახლა კი მზადების გეგმაზე, შემადგენლობასა და შანსებზე ვისაუბრებთ.**

## მზადება

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები რამდენიმეწლიანი შესვენების შემდეგ 2005 წელს აღდგა, პირველ წელს **მანუჩარ მარკოიშვილისა** და **ვიქტორ სანიკიძის** გარეშე B ლიგას თავი ვერ დააღწია, 2006 წელს A დივიზიონის საგზური მოიპოვა, ხოლო 2007-ში 1987-იანებმა ელიტაში ადგილი შეინარჩუნეს.

2005 წლის შემდეგ ახალგაზრდები საევროპო მზადებას ძირითადად თბილისში გადიან. იყო შემთხვევები, როცა მათ თურქეთსა და უკრაინაში გამართეს საკონტროლო მატჩები. დაგეგმვის მხრივ წლევანდელი სეზონი გაცილებით უკეთესი იქნება - **დავით უსტიაშვილის** გუნდი ევროპის ჩემპიონატამდე იტალიაში მოემზადება, სადაც ოთხგუნდიან ტურნირში მიიღებს მონაწილეობას. 18, 19 და 20 ივლისს ქართველ ოცწლამდელებს სერიოზული გამოცდები ელით სლოვენიის, იტალიისა და საბერძნეთის ნაკრებებთან. ასეთი დონის მეტოქეებთან დაპირისპირება, თანაც ევროპის პირველობამდე 10 დღით ადრე ქართველთათვის მეტად სასარგებლო იქნება. მწვრთნელი, ალბათ, ტაქტიკას მეტ ყურადღებას დაუთმობს ვიდრე შედეგს, თუმცა გულახდილად რომ ვთქვათ, იტალია-სლოვენია-საბერძნეთთან შედეგზე რომც იფიქრო, დადებითი რეზულტატის მიღწევა მაინც საოცრად რთული იქნება.

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები იტალიიდან 21 ივლისს დაბრუნდება და მზადებას თბილისში განაგრძობს. 1 აგვისტოს კი რიგაში ევროპის ჩემპიონატის პირველ მატჩში თურქებს დაუპირისპირდება. არ გვითქვამს, როგორ მოემზადება გუნდი იტალიამდე. სალაპარაკო ბევრი არც არაფერია. 23 ივნისს თბილისში შეიკრიბება და 17 ივლისამდე დედაქალაქში ივარჯიშებს.

ახალგაზრდული გუნდის რამდენიმე წევრი ეროვნული ნაკრების სიაშიცაა და საინტერესოა **იგორ კოკოშკოვის** შეკრებაზე, 25 ივლისს მათ დავით უსტიაშვილი თუ გაუშვებს. *"ეს საკითხი ნაკრების მთავარი მწვრთნელის საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ გაირკვევა. ახალგაზრდული ნაკრების კანდიდატებს იგი ან უშუალოდ ჩვენს ვარჯიშზე დააკვირდება, ან ეროვნულის შეკრებაზე გავუშვებთ ერთი დღით. ასეა თუ ისე, იგორ კოკოშკოვი კანდიდატებს აუცილებლად ნახავს. ახალგაზრდული გუნდის მთავარი ფუნქცია ხომ პირველი ნაკრებისთვის კადრების მომზადებაა".* გვითხრა დავით უსტიაშვილმა.

## შემადგენლობა

დავიწყოთ უკანა ხაზით. საინტერესოა, რომ გამთამაშებლის პოზიციაზე 2007 წლის ევროპის ჩემპიონატის შემდეგ ცვლილებები არ მომხდარა - წელსაც **ბექა ნივნივაძე, გიორგი გაფრინდაშვილი** და **გიორგი ცეკვავა** ითამაშებენ. კადეტთა ნაკრებიდან მოყოლებული მათ გამოცდილება საკმარისად აქვთ, თუმცა მთავარი ის არის აგვისტოს დასაწყისს ვინ როგორ ფორმაში შეხვდება.

გასული სეზონი გაფრინდაშვილმა ამერიკაში "მიდლენდის" იუნიორთა კოლეჯში გაატარა. იგი ნივნივაძესა და ცეკვავაზე ერთი წლით უფროსია და უნდა ვივარაუდოთ, რომ ძირითადის გამთამაშებელი სწორედ გაფრინდაშვილი იქნება. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ წარმატებული სეზონი ჰქონდა ბექა ნივნივაძეს, რომელმაც სეზონი "ვითაში" კარგად დაიწყო და ზამთარში გაკეთებული ბრმანაწლავის ოპერაციის შემდეგ პლეი ოფებისთვის ფორმაში ჩადგომა მოასწრო. რაც შეეხება გიორგი ცეკვავას, იგი "ენერჯიში" რეგულარულ ჩემპიონატში ხშირად თამაშობდა. ფინალებში კი მონაწილეობა არ მიუღია, თუმცა სათამაშო პრაქტიკას ახალგაზრდულ ჩემპიონატში აგროვებდა.

2007 წლის შემდეგ 20-წლამდელთა ნაკრები დატოვეს **ლაშა ფარლალავამ** და **მიხეილ ჭოჭუამ**. ორივე მსროლელის პოზიციაზე თამაშობდა და ყველაზე დიდი დანაკლისი სწორედ ამ პოზიციაზეა. ახალგაზრდულ ნაკრებში ერთადერთი ნომინალური მსროლელია - დინამოელი **გიორგი გულისაბედაშვილი**. იგი საქართველოს ჩემპიონატში სტაბილურად თამაშობდა, მაგრამ პლეი ოფის საგზური **ბექა ნივნივაძის** "ვითამ" აართვა. იმის მიხედვით, როგორ ტაქტიკურ სქემას აირჩევს, დავით უსტიაშვილი მსროლელად ან რომელიმე გამთამაშებელს ათამაშებს, ან - ფორვარდს.

მივადექით ფორვარდებს. ყველაზე მეტი ლეგიონერი სწორედ ამ რგოლში გვყავს. **ნოდარ შენგელია** ლიტვაში "მარჩულიონისის აკადემიის" ღირსებას იცავდა, **ირაკლი ჯგერენაია** - "აიდაჰოს" კოლეჯის, ხოლო **დიმიტრი ფაცაცია** - "არკანზასის" კოლეჯის. სამივე მათგანი ტანმაღალია და თავისუფლად შეუძლია როგორც მძიმე, ასევე მსუბუქ ფორვარდად თამაში. შარშან ფაცაცია ხუთეულის კანდიდატი იყო, მაგრამ შეკრებაზე ხელი მოიტეხა და გუნდს გამოაკლდა. დიმა წელს კოლეჯების პირველი დივიზიონის "არკანზასში" ირიცხებოდა, თუმცა მწვრთნელი ბოლომდე ვერ ენდობოდა და ამიტომ გაზაფხულის დასაწყისში გუნდის დატოვება მოუწია. შეგახსენებთ, რომ ფაცაცია წინა წლებში ტენერიფეს "არონას" და კატალონიურ "ბარსელონაში" თამაშობდა.

ირაკლი ჯგერენაიამ 2007-08 წლების სეზონი თსუ-ში დაიწყო, იანვარში კი "აიდაჰოს" კოლეჯში გადავიდა.

რაც შეეხება ნოდარ შენგელიას, მწვრთნელი არც მას ენდობოდა, საკმარის სათამაშო დროს იშვიათად აძლევდა და ასეთ შემთხვევებში ქართველი ბოლომდე უმართლებდა - ორმაგ დუბლებს ასრულებდა. ნოდარმა 4 მარტს, ლიტვის ჩემპიონატის მეორე ლიგაში კოჭის ტრავმა მიიღო. მას შემდეგ მკურნალობს და 23 ივნისის შეკრებას მწყობრში შეხვდება.

კარგი სეზონი ჰქონდა მაკაბელ **გიორგი პირველაშვილს**. იგი უმაღლეს ლიგაში პასებითა და მოხსნებით გამოირჩეოდა, ხოლო დუბლების ჩემპიონატში ქულებსაც უხვად აგროვებდა. და გუნდი ფინალში გაიყვანა.

ახლა ახალგაზრდული ნაკრების მთავარ პლუსს, ცენტრებს მივადექით. გასულ სეზონში ერთმანეთს ენაცვლებოდნენ **რიჩარდ მათიაშვილი** და **გიორგი შერმადინი**. მათ წელს ვითელი **ლუკა ნოზაძე** დაემატებათ და გუნდი კიდევ უფრო გაძლიერდება. შერმადინი საქართველოს ჩემპიონატის სნაიპერი და მთავარი მომხსნელი იყო, ხოლო 26 ივნისს NBA-ს დრაფტზე მისი გვარის გაგონებასაც უნდა ველოდოთ. იგი 20-წლამდელებში აუცილებლად ითამაშებს, თუმცა როდის შეუერთდება, ეს დრაფტისშემდგომი მოვლენებზე იქნება დამოკიდებული.

რიჩარდ მათიაშვილმა გასული სეზონი თსუ-ში დაიწყო და ბოლომდე ვერ წარმოაჩინა, თუმცა რიგ მატჩებში მაღალი დონის თამაში უჩვენა, მესამე ადგილისთვის მატჩში სულაც 5 დაფარება მიითვალა. წინა ხაზში ვის რა ფუნქციები დაეკისრება, ამას შეკრებისას შევიტყობთ.

ახალგაზრდულ ნაკრებში ორი ისეთი კალათბურთელია, რომლებსაც სანაკრებო დონეზე ჯერ არ უთამაშიათ - გიორგი ივანეიშვილი და ზვიად ანთაძე. პირველი თსუ-სთან ერთად დუბლების ჩემპიონატში გამოირჩეოდა, ხოლო მეორე ამავე ტურნირში "თბილისის" ღირსებას იცავდა.

## მიზნები

ალბათ შეხსენება არ დაგჭირდებათ, რომ ევროპის ჩემპიონატის ორი უსუსტესი გუნდი დივიზიონში დაქვეითდება. ჰოდა, ქართველთა მთავარი მიზანი აუტსაიდერთა დუეტისთვის თავის დაღწევაა. ამისთვის კარგი წამალი არსებობს: ჯგუფში ერთი მატჩის მოგება და მინიმუმ მესამე ადგილის დაკავება. შარშან დავით უსტიაშვილის შეგირდებმა პირველ ეტაპზე ლატვიასა და ბულგარეთს მოუგეს, ჯგუფში მეორე ადგილი დაიკავეს და გასავარდნ ოთხეულში თამაშს თავი აარიდეს.

ვის უნდა ვაჯობოთ ქვეჯგუფის აუტსაიდერობას თავი რომ დავაღწიოთ? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა რთულია. მაგრამ გამორიცხვის მეთოდს თუ მოვიშველიებთ, შეიძლება დაბეჯითებით ვთქვათ: იტალიის დამარცხება გამორიცხულია - შარშან თითქმის 40 ქულის სხვაობით მოგვიგო. იტალიაზე არანაკლები გუნდი ჰყავს თურქეთს... დაგვრჩა ისრაელი, რომელსაც შარშან თანაბრად ვეთამაშეთ და საბოლოოდ 7 ქულის სხვაობით დავმარცხდით. დასკვნები თავად გამოიტანეთ. ჩვენ კი 23 ივლისის შეკრებამდე დაგემშვიდობებით.

**ვაჟა სიმონიშვილი**

რაგბი. ტრანსფერები

# მეოთხე ქართველი მასიში



შალვა სუთიაშვილი

საქართველოს ნაკრების მესამეხაზელმა **შალვა სუთიაშვილმა** საფრანგეთის ფედერალ 1-ში მოასპარეზე „ბობინი" დატოვა და ამავე დივიზიონის „მასისთან" გააფორმა ხელშეკრულება. შეგახსენებთ, რომ ამავე კლუბთან მოაწერა კონტრაქტს ხელი კიდევ ერთმა ქართველმა **მერაბ კვირიკაშვილმა**. პარიზელთა გუნდში მათ გარდა კიდევ ორი ქართველია - მოთამაშე მწვრთნელი **ვიქტორ დიდებულიძე** და პირველხაზელი **დავით დადუნაშვილი**.

„მასის", როგორც გაირკვა, სამომავლოდ სერიოზული მიზნები აქვს და წლეულს სარეკორდო რაოდენობის, 19 პროფესიულ კონტრაქტს აფორმებს მორაგბეებთან. „ბობინი" დატოვა მეორე ქართველმაც, პირველხაზელმა **დავით გასვიანმა**, თუმცა მისი ახალი გუნდის ვინაობა ჯერ არ გარკვეულა.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ჩოგბურთი

# ფინალში ქართველი იქნება, რომელი?

სტამბოლში ქალ ჩოგბურთელთა ტურნირ „იესილიურთ 2008-ში" (10 ათასი დოლარი) მეოთხედფინალში გასული სამი ქართველიდან მხოლოდ **მანანა შაფაქიძე** (617) დამარცხდა. მანანას მეტოქე საკვალიფიკაციო ბადიდან გასული რუსი **ავგუსტა ციბიშევა** (865) იყო, ფავორიტი, თითქოს, ქართველი იყო, მაგრამ – 4:6, 1:6. სამაგიეროდ, ნახევარფინალში საინტერესო დუელის მომსწრენი ვიქნებით – ერთმანეთს საქართველოს ორი ყველაზე გამორჩეული ტალანტი ხვდება, ორი ცაცია 17 წლის **ოქსანა კალაშნიკოვა** (581), რომელიც სტამბოლში მე-7 ნომრად განთესილია და 16 წლის **ეკა გორგოძე** (797), რომელმაც საკვალიფიკაციო ბადიდან გააღწია აქამდე. კალაშნიკოვამ ებრაელ **კერენ შლომოს** (716) მოუგო – 7:5, 6:3. გორგოძემაც ებრაელი ჩოგბურთელი დაამარცხა, **ჩენ ასტროგო** (938) – 6:2, 6:4. მეორე ნახევარფინალში ციბიშევა მე-5 ნომრად განთესილ თურქ **პემრა ოზგენს** (478) შეხვდება. კალაშნიკოვა და გორგოძე შიდა პირველობებზე ხშირად შეხვედრიან ერთმანეთს, საერთაშორისო ასპარეზზე კი – არა.

წყვილთა თანრიგის ნახევარფინალში მანანა შაფაქიძის და **სოფიო ქვაცაბაიას** დუეტი (მე-4 ნომრად განთესილი) დამარცხდა ბელარუსი **დუკოს** და ებრაელი ასტროგოს წყვილთან – 7:5, 1:6, 8:10.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# ტატიშვილი წინ მიიწევს

ელ პასოში (აშშ) მიმდინარე საერთაშორისო ტურნირში (25 ათასი დოლარი) **ანა ტატიშვილი** (244) მეოთხედფინალში გავიდა. მან ერთ დროს მსოფლიო ელიტის წევრს, ამერიკელ **ლინდსეი ლი-უოტერსს** მოუგო – 6:1, 7:5. ანა ელ პასოს ტურნირში მე-2 ნომრად არის განთესილი, მეოთხედფინალში მისი მეტოქე 19 წლის ამერიკელი **ჯულია კოენი** (426) იქნება, ვინც მე-6 ნომრად განთესილი ზელანდიელი **საშა ჯოუნსი** (319) ჩამოიცილა გზიდან – 6:3, 6:0. სხვათა შორის, კოენი ერთადერთი გაუნთესავია, რომელიც მეოთხედფინალში გავიდა.

წყვილთა თანრიგში ანა ტატიშვილის და **კიმბერლი კაუტსის** (308, აშშ) მე-4 ნომრად განთესილმა დუეტმა იოლად მოიგო მეოთხედფინალური მატჩი ავსტრალიელების **ვიშინკის** და **სტარის** წინააღმდეგ – 6:3, 6:0. ნახევარფინალში ანას მეტოქეებად მეორე ნომრად განთესილები **ალბანეზე** (აშშ) და **დე ბეერი** (სამხრეთ აფრიკა) ეყოლება.

18-წლამდელთა პირველი კატეგორიის ტურნირში, მაინის ოფენბახში (გერმანია) 16 წლის **ნიკოლოზ ბასილაშვილმა** (192) მეორე წრეში სამსეტიანი მარათონი დათმო მე-11 ნომრად განთესილ ფრანგ **ჟულიენ ობრისთან** (133) – 3:6, 7:6 (3), 6:7 (3). წყვილთა თანრიგში ბასილაშვილმა და ბრაზილიელმა **ვიდალერმა** მეოთხედფინალში გააღწიეს, სადაც მე-6 ნომრად განთესილ მექსიკურ-არგენტინულ (**ასტორგა, კონფედერაკი**) დუეტთან წააგეს – 2:6, 5:7.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ხელბურთი

# საქმეში იურისტები ჩაერთვებიან

**საქართველოს ხელბურთის ფედერაციის გუშინდელ პრეზიდიუმის სხდომაზე, კონსენსუსს კვლავ ვერ მიაღწიეს. შესაბამისად, ეროვნული ჩემპიონატის ყბადაღებული სკანდალური ფინალის საქმე კვლავ ღიად დარჩა.**

ბევრი მსჯელობის შემდეგ, გუშინ პრეზიდიუმმა გადაწყვიტა, რომ საქმეში იურისტებიც ჩართოს, რათა ყველა კანონი იქნას დაცული. ამდენად, საქმე კვლავ არ იხურება, მაგრამ ხელბურთის ფედერაცია იმედოვნებს, რომ ბოლოს ისეთ გადაწყვეტილებას მიიღებს, რომლითაც მოგებული დარჩება ქართული ხელბურთი.

ფედერაცია ოფიციალურად არ ალიარებს, რომ დამნაშავეა, მაგრამ იმაზე კი ვერ ხუჭავს თვალს, რომ ევროპის ხელბურთის ფედერაციის წესდების თანახმად, **ლევან ბერძენიშვილს** ფინალებში თამაშის უფლება არ ჰქონდა.

ჯერჯერობით, კვლავ გაურკვეველია, ფინალებს გადაათამაშებენ თუ სხვა გზას მონახავენ, მაგრამ ერთი რამ ახლავე შეიძლება ითქვას - ფინალური სერიის განმეორებითი მატჩის მიწურულს მომხდარი აყალმაყალის ინიციატორები აუცილებლად დაისჯებიან. დანარჩენი კი ამ დღეებში გადაწყდება და ვიმედოვნებთ, გვარიანად გაჯანჯლებულ საქმეს მალე დაესმება წერტილი.

ეროვნული ნაკრები მალე მინსკის საერთაშორისო ტურნირზე გაემგზავრება, წინ ხელბურთის ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნებია. ამდენად, ახლა იმის დრო ნაკლებადაა, რომ ხელბურთის ფედერაციამ დაუსრულებლად იმსჯელოს ფინალურ სკანდალზე...

რაც შეეხება საპრეზიდენტო არჩევნებს, ცოტა კურიოზული ამბავია, მაგრამ ჯერჯერობით, არცერთი განაცხადი არ შესულა ხელბურთის ფედერაციაში. არადა, პრეზიდენტობის მსურველთა განაცხადის მიღების ვადა ოფიციალურად 15 ივნისამდეა.

თუკი ისე მოხდება, რომ კვირამდე ფედერაციაში განაცხადი არ შევა, 29 ივნისს მაინც ჩატარდება ყრილობა, სადაც დროებითი პრეზიდენტის პოსტს ოფიციალურად მიანიჭებენ ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ **ჯემალ ცერცვაძეს**, ხოლო არჩევნები პეკინის ოლიმპიადის შემდეგ - საშემოდგომოდ გადაიდება.

**კობა ხატისაშვილი**

# რუსულ-სსრკ-ული კალეიდოსკოპი და არა მხოლოდ...

დასაწყისი „ლელო" №88-დან



**რუსებსაც** ჰყავდათ მსოფლიო ჩემპიონი, რომელიც საფეხბურთო მინდორზე ასპარეზობდა. ეს გახლდათ გასული საუკუნის მოსკოვის "დინამოს" ნახევარმცველი - "კაცი ორი გულით" **ვალერი მასლოვი.** დამთავრდებოდა თუ არა საფეხბურთო სეზონი, ვალერი მყისვე იმავე მოედანზე გადიოდა, ოღონდ საგანგებოდ გაყინულზე. იგი რუსულ ჰოკეიში "ბენდიში" გახდა პლანეტაზე უძლიერესი სსრკ-ს ნაკრების შემადგენლობაში.

**მოსკოვში** ცსკა ხვდებოა "არარატს" (სომხები იმ სეზონში ჩემპიონები გახდნენ. არარატელებმა ბურთი ვერა და ვერ გაიტანეს. 0:0. ბოლო წუთი. ბურთი არმიელთა მეკარე **შმუცის** ხელთაა. მან იგი მოიქნია და საკუთარ კარში შეაგდო! ამ მოვლენის ფენომენი დღემდე ახსნილი არ არის. ისე კი, საინტერესო იქნებოდა...

**დღეს** სრულ ველურობად შეგვიძლია მივიჩნიოთ საბჭოთა დროს ფეხბურთელთა და სხვა სპორტსმენთა დაჯილდოების ფორმა. გამარჯვებულებს უფლებას აძლევდნენ შეეძინათ (!) ჯართად ქცეული ჩამოწერილი ავტომობილები - ტაქსები, რომელთაგან ზოგიერთს, პრიზად ქცევის მომენტამდე მილიონი კილომეტრი ჰქონდა გავლილი.

**ტრიბუნები** ხალხს ეკუთვნის. სტადიონი ერთ-ერთი ყველაზე დემოკრატიული ნაგებობაა. ანტიკური დროიდან მაყურებლები მეტ-ნაკლებად თანაბარ მდგომარეობაში იყვნენ. დღესაც ე.წ. დასავლურ სამყაროში მეფეებიცა და პრეზიდენტებიც ლამის უბრალო მაყურებლებში არიან გარეულნი მატჩების დროს. ინგლისის მეფის ერთადერთი პრივილეგია "უემბლზე" იყო ის, რომ მის სკამს გამათბობელი ჰქონდა.

**გულშემატკივრებს** ყველა ქვეყანაში თავისი სახელი ჰქვია:

**"ბალელშიკი"** - რუსეთში, "ტორსედორესი" - ბრაზილიაში, რაც თითისტარს ნიშნავს, ჩილეში სახელწოდება უფრო აგრესიულია - "ინჩას" - ბრაზიანები, იტალიაში - "ტიფოზები", ბუნებრივია, ტიფისგან, რუმინეთში "მიკრობისტები" - მიკრობებისგან. ფანების ყველაზე ადრინდელი ხსენება ჩვენს წელთაღრიცხვამდე 450 წლით თარიღდება. საბრძოლო ეტლების შეჯიბრების დროს პროტოფანები თავისიანებს ორგანიზებულად ამხნევებდნენ.

**20-30-იანი წლების** ვარსკვლავი ინგლისელი **დიქსი დინი** "ჰეთ-თრიკების მეფე იყო. 1927-47 წლებში მან 37 ჰეთ-თრიკი შეასრულა. აი, რას ნიშნავს 15 წლის ასაკში რომ დაიწყებ უმაღლეს ლიგაში თამაშს!

**დღევანდელი** საზომით საშუალო ევროპულმა კლუბმა ჩეხეთის "სპარტამ" 1927 წელს პირველმა მიტროპი (შუა ევროპის) თასი მოიპოვა. ეს ძალიან დიდი წარმატება იყო. ამ ტურნირში საფეხბურთო ქვეყნები - გრანდები მონაწილეობდნენ. სხვათა შორის, პირველი რადიორეპორტაჟიც ჩეხებმა მოაწყვეს ამ ტურნირიდან. ბუდაპეშტის მტკ-სა და პრაღის "სლავიის" მატჩისას 1926 წლის ოქტომბერში. ასე რომ, პოპოვ-მარკონის (თუ პირიქით) გამოგონება ფეხბურთის სამსახურში იმ დღიდან ჩადგა.

**1934 წელს** ინგლისელებმა პირველად იკადრეს მსოფლიოს ჩემპიონ იტალიასთან თამაში (მანამდე ბრიტანელები ფიფას თასს ბოიკოტს უცხადებდნენ). მატჩი ლონდონის შემოგარენში ჩატარდა და მასპინძელთა არცთუ დამაჯერებელი გამარჯვებით დამთავრდა 3:2, თანაც ბენიტო მუსოლინის ქვეყნის ბიჭებმა ინგლისელთა კაპიტანი **ედი ჰეპგუდი** ნოკაუტში ჩააგდეს. შესაძლოა, ყოველივე ზემოთქმულის გამო ინგლისელთა ბოიკოტი შემდგომშიც გაგრძელდა, მაგრამ როგორც დრომ გვაჩვენა, სრულიად ამაოდ.

**II მსოფლიო ჩემპიონატის** საუკეთესო მეკარემ ჩეხი **პლანიჩკა** "მაგიური კატა" ალიარეს. მიზეზთა გამო მუსოლინის იტალიაში მისი დაჯილდოება საგანგებო ქანდაკებით ვერ მოხერხდა და ეს აქცია მხოლოდ... ოცდაათი წლის შემდეგ ჩატარდა ფლორენციაში, იტალია-ჩეხოსლოვაკეთის მატჩის შემდეგ. სანთელ-საკმეველმა თავისი გზა იპოვნა.

**საოცრება მოხდა** 1954 წლის მსოფლიოს მე-5 ჩემპიონატში. მასპინძლები, შვეიცარიელები, მეოთხედფინალში 3:0 უგებდნენ მეზობელ ავსტრიელებს და... 5:7 წააგეს! უიღბლო გუნდს, ბურთი აღმართშიც მიეწია.

**გერმანიის** პირველი ჩემპიონი ფეხბურთში 1894 წლის გათამაშებაში გახდა ბერლინის "ვიქტორია" და ეს მოხდა... 2007 წელს! მე-19 საუკუნის დროინდელი გადამწყვეტი მატჩი "ვიქტორიასა" და "ჰანაუს" შორის ჩაიშალა უსახსრობის გამო. უსამართლობა 113 წლის შემდეგ გამოსწორდა. მატჩი ძველებური ბურთით ჩატარდა. "ვიქტორიამ" მოიგო და მოწინააღმდეგემ მას გამარჯვება მიულოცა. "სპორტის სულიერებასა და პატიოსნებაში ეჭვი უკვე არავის ეპარება." ასეთი იყო შეხვედრის შემდეგ გამოტანილი დასკვნა. "სამართალმა პური ჭამა!" - დავუმატოთ ჩვენ.

**მსოლიო ომების** ისტორიაში "საფეხბურთო ომიც" არსებობს. ერთმანეთს ჰონდურასელები და სალვადორელები დაერივნენ. საბაბი? სტადიონზე ეროვნული ჰიმნების შესრულებისას ჰონდურასელებმა ხულიგნობა დაიწყეს, საპასუხოდ სალვადორმა სამხედრო მოქმედებები განახორციელა. ამ სისხლიანი "მატჩის" შედეგიც ათასობით დაჭრილ-დახოცილი მებრძოლი-გულშემატკივარია.

**ეს ამბავი** კი მოხდა შვედეთის სამოყვარულო საოლქო ლიგაში შეჯიბრებისას. საჯარიმოში ჩაკიდებულ ბურთს ამხტარმა მსაჯმა თავი დაუხვედრა და... კარში გააგზავნა. "აბა, რა მექნა, - კომენტარი გააკეთა არბიტრმა, - საზიზღრად თამაშობდით და ასეთი შესანიშნავი გადაცემა რომ არ გამომეყენებინა, არ შემეძლო!"

**ფეხბურთელების** მინდვრიდან გაძევება არავის უკვირს. მწვრთნელებსაც ზოგჯერ მოაშორებენ ხოლმე სარბიელს. აი, ინგლისში "ასტონ ვილასა" და "ნოტინგემ ფორესტის" მატჩის დროს გააძევეს... ბურთის მიმწოდებელი ბიჭი. დროს აჭიანურებდა. იყო შემთხვევა, მოედანზე გამოსული ექიმიც მიაბრძანეს გასახდელში. ვინ იქნება შემდეგი?

**არგენტინაში** ერთმა ფსიქოლოგმა შესთავაზა სპორტსმესვეურებს შემდეგი: სტადიონებზე მასპინძელთა გასახდელები წითლად უნდა შეიღებოს, სტუმართა ცისფრად. რატომ? ცხადზე ცხადია - წითელი აღაგზნებს ფეხბურთელებს, ცისფერი პირიქით, ადუნებს.

**ალექსანდრე ჯინორია**

გაგრძელება იქნება

## 14-20 ივნისი მსოფლიო სპორტის ისტორიაში

14-18 ივნისი, 1972 წელი. ევროპის ჩემპიონატზე გერმანიის საფეხბურთო ნაკრებმა ფინალურ მატჩში 3:0 დაამარცხა საბჭოთა კავშირის გუნდი.

14 ივნისი, 2005 წელი. ათენში 100 მეტრზე რბენაში მსოფლიოს ახალი რეკორდი დაამყარა იამაიკელმა მორბენალმა ასაფა პაუელმა - 9,77 წამი.

15 ივნისი, 1921 წელი. ამ დღეს საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა თავის რიგით მე-19 სესიაზე, რომელიც ლოზანაში გაიმართა, არ მიიღო ზამთრის ოლიმპიური თამაშების ჩატარების წინადადება, თუმცა საფრანგეთს ოლიმპიური კვირეულის გამართვის უფლება მისცა.

16 ივნისი, 1954 წელი. ამ დღეს დაიწყო და 4 ივლისს გფრ-ის ნაკრების გამარჯვებით დასრულდა ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატი, რომელსაც შვეიცარია მასპინძლობდა. გერმანელებმა იმ დროის უძლიერეს უნგრეთის ნაკრებს სძლიეს ფინალში - 3:2.

16 ივნისი, 1976 წელი. ამ დღეს სტარტი აიღო ევროპის V ჩემპიონატმა ფეხბურთში. ფინალურ მატჩში, 20 ივნისს, ერთმანეთს შეხვდნენ ჩეხოსლოვაკიისა და გფრ-ის ნაკრები გუნდები. პირველად ჩემპიონატის ისტორიაში, საბოლოო გამარჯვებული გამოვლინდა პენალტების სერიით. ძირითადი და დამატებითი დრო დამთავრდა 2:2. პენალტებით გაიმარჯვა ჩეხოსლოვაკიის ნაკრებმა - 5:3.

16 ივნისი, 1978 წელი. ამ დღეს მძლეოსნობის გულშემატკივრების თვალწინ, თბილისში, "დინამოს" სტადიონზე, ცნობილმა უკრაინელმა მძლეოსანმა ვლადიმერ იაშჩენკომ 1 სანტიმეტრით გააუმჯობესა წინა წელს რიჩმონდში (აშშ) დამყარებული თავისივე მსოფლიო რეკორდი სიმაღლეზე ხტომაში - 2,34 მ.

17-21 ივნისი, 1964 წელი. ფეხბურთში "ევროპის ერთა თასის" მეორე გათამაშების ფინალურ ეტაპს ესპანეთმა უმასპინძლა. მთავარ ჯილდოს დაეუფლა მასპინძელთა ნაკრები, რომელმაც ფინალში სსრკ გუნდს აჯობა - 2:1.

17 ივნისი, 1994 წელი. ამ დღეს აშშ-ი სტარტი აიღო ფეხბურთში მსოფლიოს XV ჩემპიონატმა. ფინალური მატჩი გაიმართა 17 ივლისს. ბრაზილია-იტალიის ამ შეხვედრაში პენალტების სერიამ გამოავლინა გამარჯვებული - ბრაზილიის ნაკრები მეოთხედ დაეუფლა მსოფლიო თასს.

18 ივნისი, 1932 წელი. ჟენევაში დაფუძნდა კალათბურთის საერთაშორისო ფედერაცია (ფიბა).

18 ივნისი, 1958 წელი. ლოს-ანჯელესში წარმატებით დაიცვა მძიმე წონაში მსოფლიო ჩემპიონის ტიტული ფლოიდ პეტერსონმა. ჩემპიონმა მეთორმეტე რაუნდში ტექნიკური ნოკაუტით დაამარცხა როი ჰარისი.

19 ივნისი, 1946 წელი. ამ დღეს კრივში მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის ტიტული დაიცვა ჯო ლუისმა, რომელმაც ბილ კონთან ორთაბრძოლაში გაიმარჯვა. მანამდე, 1942 წლიდან, სამი წელიწადი, ლუისი ამერიკის არმიაში მსახურობდა და საჩვენებელ ბრძოლებს მართავდა.

20 ივნისი, 1960 წელი. მძიმეწონოსან მოკრივეთაგან პირველმა ფლოიდ პეტერსონმა დაიბრუნა ჩემპიონის ტიტული. შვედი ინგმარ იოჰანსონი მან მეხუთე რაუნდში ნოკაუტით დაამარცხა.

ფილატელია

# სპორტი მარკებში




მსოფლიოში ერთ-ერთი საყოველთაო გატაცება საფოსტო მარკების შეგროვებაა. რას არ ნახავთ კოლექციონერების ალბომში. საფოსტო მინიატურებში აისახება ეპოქა, მოვლენები, მნიშვნელოვანი თემები, ისტორიული ფაქტები... არაფერია გასაკვირი იმაში, რომ სპორტული თემა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ფილატელისტთა შორის.

პირველი ოლიმპიური საფოსტო მარკა, მაგალითად, ბაზარზე გამოჩნდა 1896 წელს, საბერძნეთში, I ოლიმპიური თამაშების საზეიმოდ გახსნის მეორე დღეს. შემდეგ სპორტული საფოსტო მარკების გამოშვება დაიწყეს მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, მათ შორის, მართალია, გვიან, მაგრამ მაინც, საქართველოში.

1964 წელს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ალმასკომის სხდომაზე, სან-ფრანცისკოში, მიიღეს გადაწყვეტილება ფილატელიის გამოფენების ოლიმპიადების კულტურულ პროგრამაში ჩართვის თაობაზე. 1983 წელს კი "დაიბადა" ოლიმპიური ფილატელიის საერთაშორისო ფედერაცია (ფიპო). დღეს ეს ორგანიზაცია ყველა კონტინენტის 280-მდე წევრ-გაერთიანებას ითვლის.

# თქვენთვის, ერუდიტებო!

## ექლვნება ფეხბურთში ევროპის ჩემპიონატს

1. რამდენი ქართველი ფეხბურთელი გამოსულა ევროპის ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე?

ა - ხუთი
ბ - შვიდი
გ - ცხრა

2. 1960 წლის ჩემპიონები საქართველოდან სსრკ ნაკრებში გახდნენ

ა - მეტრეველი, ხურცილავა, ჩოხელი
ბ - მესხი, ბარქაია, მეტრეველი
გ - ჩოხელი, მეტრეველი, მესხი

3. რომელი წლიდან იწოდება ფეხბურთში კონტინენტის პირველობა ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატად?

ა - 1958 წლიდან
ბ - 1968 წლიდან
გ - 1972 წლიდან

4. რომელ წელს ითამაშა საქართველოს ნაკრებმა პირველად ევროპის ჩემპოინატის შესარჩევ ტურნირში?

ა - 1996 წლიდან
ბ - 2000 წლიდან
გ - 2004 წლიდან

5. მსოფლიო ჩემპიონატისგან განსხვავებით, ევროპის ჩემპიონატზე, რომელი წლიდან აღარ იმართება მატჩი მესამე ადგილისთვის?

ა - 1980 წლიდანჯ
ბ - 1984 წლიდან
გ - 1988 წლიდან

პასუხები: 1-ბ, 2-გ, 3-ბ, 4-ა, 5-ბ.




იყო ასეთი შემთხვევა

# სარეცლიდან – ოლიმპიურ სარბიელზე!

1952 წელს ჰელსინკში გამართულ ოლიმპიურ თამაშებში, ავსტრიელმა სპორტსმენმა ქალმა **დ. ხარტელმა** ცხენოსნობაში (გაწვრთნა, დიდი ოლიმპიური პრიზი) ვერცხლის მედალი მოიგო. საქმე იმაშია, რომ ბავშვობისას იგი დაავადებული იყო პოლიომიელიტით და მრავალი წელიწადი სარეცელზე მიჯაჭვულმა გაატარა.

ამ სპორტსმენის არა მხოლოდ განსალების, არამედ თვალსაჩინო ოლიმპიური წარმატების ერთადერთი პირობა ფიზიკური ვარჯიში, კერძოდ, ცხენოსნობა გახდა.

ველოსპორტი. კავკასიის ტური

# მთელი ოქრო თურქებმა წაიღეს

დასრულდა ოთხდღიანი თბილისის ღია პირველობა ველორბოლაში. შეჯიბრებას "კავკასიის ტური" ეწოდებოდა, წლეულს პირველად ჩატარდა და ამიერიდან, ტრადიციული გახდება. ტურნირში მონაწილეობდნენ საქართველოს პირველი და მეორე ნაკრებები, ქუთაისის გუნდი, თურქეთი, აზერბაიჯანი და სომხეთი.

პირველ დღესვე, თბილისი-ფასანაურის-მცხეთის 121-კილომეტრიან დისტანციაზე, პირველობა ხელთ იგდეს თურქებმა, რომელთაც ლიდერობა ბოლომდე არ გაუშვეს ხელიდან და გუნდურ ჩათვლაში ოქროს მედალი ერგოთ. საქართველოს პირველი ნაკრები ვერცხლის მედალს დასჯერდა, აზერბაიჯანი მესამე იყო, მომდევნო ადგილებზე კი საქართველოს მეორე გუნდი, სომხეთი და ქუთაისი გავიდნენ.

ასევე თურქებმა მოიგეს ინდივიდუალური ჩათვლა. მათვე გადაეცათ მთის საუკეთესო მრბოლელისა და საუკეთესო სპრინტერისთვის განკუთვნილი პრიზები.

როგორც მოსალოდნელი იყო, ქართველთაგან საუკეთესო შედეგი აჩვენა პირველი ნაკრების ლიდერმა **გიორგი ნადირაძემ**, რომელმაც საერთო ინდივიდუალურ ჩათვლაში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

**კობა ხატისაშვილი**

**გუნდური ჩათვლა**
1. თურქეთი
2. საქართველო-1
3. აზერბაიჯანი

**ინდივიდუალური ჩათვლა**
1. ორჰან შაჰინი (თურქეთი)
2. მირაჰ კალი (თურქეთი)
3. გიორგი ნადირაძე (საქართველო)

**საუკეთესო სპრინტერი**
1. ისმაილ აქსოვი (თურქეთი)
2. ნაზიმ ბალციცი (თურქეთი)
3. გიორგი ნადირაძე (საქართველო)

**მთის საუკეთესო მრბოლელი**
1. ექიბ ტარაგობექი (თურქეთი)
2. ნაზიმ ბალციცი (თურქეთი)
3. გიორგი ნადირაძე (საქართველო)

სამბო

# ნახევარი წელიწადი შეაფასეს

**გუშინ სამბოს ფედერაციამ პრეზიდიუმის გაფართოებულ სხდომაზე განვლილი 6 თვის მუშაობის შედეგები შეაჯამა და სამომავლო გეგმებზეც ისაუბრა. პრესკონფერენციას ფედერაციის პრეზიდენტი გიორგი გოგუაძე, სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით ნამგალაური და სამბისტთა ეროვნული ნაკრების თავკაცი ოლეგ იაძე ესწრებოდნენ.**

სპორტის დეპარტამენტში გამართულ შეხვედრაზე გოგუაძეს პარლამენტში არჩევა მიულოცეს. ნამგალაურმა იხუმრა, რომ სუფთა გამარჯვება მოიპოვა, იმდენად დამაჯერებლად გაიმარჯვა არჩევნებშიო. იაძის თქმით, ამ ფაქტმა მსოფლიო სამბოშიც დიდი გამოხმაურება ჰპოვა და გოგუაძეს დაახლოებით 30 ფედერაციიდან მიულოცეს. მის არჩევას თითქმის ყველა გამომსვლელი სამბოს ბედნიერ მომავალს უკავშირებდა.

სეზონის პირველ ნახევარში სამბისტთა სამივე ნაკრებმა ევროპის პირველობებზე იჭიდავა და, ტრადიციულად, წარმატებითაც. მოგეხსენებათ, უფროსებში კონტინენტის პირველობას თბილისმა უმასპინძლა, სადაც ჩვენებმა 6 მედალი მოიპოვეს - 2 ოქრო, 1 - ვერცხლი და 3 - ბრინჯაო, გუნდურში კი მესამეზე გავიდნენ. ჭაბუკთა და ახალგაზრდების ანალოგიური ტურნირი ბელარუსულ ბრესტში ჩატარდა და იქ ჭაბუკებმა 2-2 ოქრო-ვერცხლი და 3 ბრინჯაო მოიპოვეს, ახალგაზრდებმა - 2-2 ოქრო-ვერცხლი და 4 ბრინჯაო. გუნდურში ორივე ნაკრები მეორე იყო.

პრესკონფერენციაზე ყველა გამომსვლელმა ეს შედეგი წარმატებად მიიჩნია. ნამგალაურმაც და გოგუაძემაც სპორტსმენებს შედეგები მიულოცეს და გამოთქვეს რწმენა, რომ მომავალში კიდევ უფრო უკეთ გამოვლენ. საერთო მოსაზრებისგან დიდად განსხვავებული არც ეროვნულის თავკაცი **ოლეგ იაძე** ყოფილა, თუმცა არც ბოლომდე კმაყოფილი. მისი თქმით, წლეულს ევროპის პირველობაზე ასეთი შედეგი არც ერთ სხვა ნაკრებს არ მოუპოვებია და ამიტომ წარმატებად მიიჩნევს, მაგრამ არც ის დაუმალავს, რომ შინაურ კედლებში მათგან ბევრად მეტს მოელოდა. *"შარშან სხვაგან მოვიპოვეთ 7 მედალი და წლეულს სახლში - მხოლოდ 6. როგორ შეიძლება ამით კმაყოფილი ვიყო?"* - განაცხადა იაძემ. მისი აზრით, ნაკრებმა უფრო უკეთ იმიტომ ვერ იასპარეზა, რომ სპორტსმენებმა ფსიქოლოგიურად ზეწოლას ვერ გაუძლეს. მწვრთნელის აზრით, საკუთარ კედლებში, საკუთარი ქომაგის თვალწინ ჭიდაობა ბიჭებისთვის ორმაგად რთული აღმოჩნდა, რადგან კარგად იცოდნენ, რამდენს ითხოვდა მათგან გულშემატკივარი და გრძნობდნენ მათ წინაშე პასუხისმგებლობას. იაძემ ამ შედარებითი ჩავარდნის მეორე მიზეზად ის დაასახელა, რომ ბოლო ორი თვე ნაკრებთან თითქმის ვერ იმუშავა, რადგან ევროპის ჩემპიონატის საორგანიზაციო საკითხებს აგვარებდა. ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ცოტა უცნაურია - საორგანიზაციო საკითხები ფედერაციამ უნდა აგვაროს, მწვრთნელმა კი ნაკრებთან იმუშაოს.

შეხვედრაზე საკმაო ადგილი თავად თბილისში გამართულ ევროპის პირველობასაც დაეთმო. ნამგალაურმა აღნიშნა, რომ ამ ტურნირს საქართველოში სამბოს პოპულარიზაციისთვის უმასპინძლეს და ფორსმაჟორული ვითარების მიუხედავად, მაინც მაღალ დონეზე ჩაატარეს. მისი თქმით, ასე შემჭიდროებულ ვადებში - ორ თვეში ამ ყველაფრის მოსწრება არ იყო იოლი, მაგრამ საერთო ძალისხმევით მაინც შეძლეს. ეს თემა იაძემაც გაგრძელა, რომელიც ამ ტურნირის მერე ბრესტში გამართულ ჭაბუკთა და ახალგაზრდების ევროპირველობებსაც ესწრებოდა. როგორც მან განაცხადა, თბილისში ჩამოსული სტუმრები ორგანიზაციით კმაყოფილნი დარჩენილან, რაც პირად საუბრებში არაერთ უცხოელს აღუნიშნავს. მეტიც - გაკვირვებულნიც ყოფილან, რადგან ორ თვეში ამდენის მოსწრებას არ ელოდნენ. შეგახსენებთ, რომ ამ ტურნირისთვის უკრაინას უნდა ემასპინძლა, მაგრამ ორი თვით ადრე იუარა და საქართველო მასპინძლობისთვის ბრძოლაში ამის შემდეგ ჩაერთო. იმის მიუხედავად, რომ ერთ-ერთი მეტოქე რუსეთი გახლდათ, მაინც ჩვენებმა იმარჯვეს და ევროპის პირველობასაც უმასპინძლეს. იაძის თქმით, ბელარუსებმა ერთი წლით ადრე იცოდნენ, უმცროსთა პირველობა რომ უნდა ჩაეტარებინათ, მაგრამ საორგანიზაციო საკითხები მაინც ვერ მოაგვარეს და ბრესტის ტურნირს მთლად კარგად ვერ უმასპინძლეს.

პრესკონფერენციაზე სამბისტების სამომავლო გეგმებსაც დიდი ადგილი დაეთმო. ამ თემაზე ძირითადად იაძემ ისაუბრა და განაცხადა, რომ 1 თვე ყველა ნაკრები დაისვენებს, მერე კი უფროსები მწვანე კონცხზე შეკრებაზე წავლენ და ამით მსოფლიო პირველობისთვის მზადებას დაიწყებენ. პარალელურად, მსოფლიო ჩემპიონატისთვის ვარჯიშს ჭაბუკები და ახალგაზრდებიც დაიწყებენ, ოღონდ - განსხვავებული გრაფიკით.

წინა წლებში ანალოგიურ შემაჯამებელ სხდომაზე ევროპის პირველობების მედალოსნებსაც აჯილდოებდნენ. სეზონისწინა შეთანხმებით, გუშინაც ასე უნდა მომხდარიყო, მაგრამ გოგუაძემ მოიბოდიშა, ცოტაც მაცალეთ და კუთვნილს აუცილებლად მოგცემთო. შეგახსენებთ, რომ სამბისტებს ძირითადად იმ აძლევს პრემიებს, რადგან ანალოგიური სახელმწიფო პროგრამა მათზე არ ვრცელდება. თუმცა ამ შეხვედრას დაჯილდოების გარეშე მაინც არ ჩაუვლია - სპორტული ფორმებით დაასაჩუქრეს დამსახურებული მწვრთნელები, მსაჯი და ახალგაზრდებსა და ჭაბუკებში ევროპის ჩემპიონები. ჭაბუკთაგან საჩუქრები **ნოდარ კუდუხაშვილმა** (75) და **ბექა ნემსაძემ** (87) მიიღეს, ახალგაზრდებიდან - **გიორგი გეჯაძემ** (48) და **ნიკოლოზ კუციამ** (82). მწვრთნელ-მსაჯთაგან **შოთა ზუკაკიშვილი, გივი კახაბრიშვილი, ტარიელ ცინცაძე, ზაურ სახვაძე, ელიზბარ ბიგანიშვილი, ზურაბ ტულუში, იოსებ მალალაშვილი, მურად მნარიაშვილი და ალეკო ოქროპირიძე** დასაჩუქრდნენ.

**ირაკლი თავაძე**

ჭადრაკი

# გოგიშვილი ჩემპიონია, ბერაძე დღეს გაიფორმებს

როგორც გუშინ ვივარაუდეთ, ბოლოსწინა ტურმა ჩემპიონთა ვინაობა გამოავლინა: გოგონებში **დეა გოგიშვილი** ერთი ქულით უსწრებდა მდევრებს და მერვე ტურში ყაიმიც ჰყოფნიდა, რადგანაც უშუალო კონკურენტ **ნატო იმნაძეს** ეთამაშებოდა. მეორე მდევარი **ანა შამათავა** იყო - ისიც ერთი ქულით ჩამორჩებოდა დეას, მაგრამ კოეფიციენტიც უარესი ჰქონდა და ქულათა თანაბრობის შემთხვევაში მაინც ვერ გადაასწრებდა. დეამ, მიუხედავად იმისა, რომ შავებით ეთამაშებოდა იმნაძეს, ძალიან კარგად გაართვა თავი სადებიუტო პრობლემებს, კონტრშეტევაზეც გადავიდა და მეტოქის დამარცხება შეძლო. ქულათა მარაგი 7.5 გაუხდა და დღეს მარცხის შემთხვევაშიც კი პირველი იქნება. ძირითადი ბრძოლა მეორე ადგილისთვის უნდა გამართულიყო, მაგრამ რახან იმნაძე დამარცხდა, შამათავამ ორმაგად იხეირა: **ნინო ხომერიკი** თეთრებით დაამარცხა და 6.5 ქულა დააგროვა; აღმოჩნდა, რომ შამათავას უახლოეს მდევრებთან შედარებით, რომლებსაც ერთი ქულით უსწრებს, კოეფიციენტი უკეთესი აქვს, რაც მეორე ადგილის გარანტიას აძლევს; ეს კი ევროპის ჩემპიონატის საგზურს ნიშნავს. ჩემპიონი მსოფლიო პირველობაზე გაემგზავრება.

მცირე ინტრიგა გოგონებში მესამე ადგილისთვის ბრძოლაშია შემორჩენილი, - ერთმანეთს ამ ადგილისთვის **მარიამ სამურკასოვი, თეკლა მაჭარაშვილი** და **ნატო იმნაძე** შეებრძოლებიან.

ვაჟებში ოფიციალურად არ გაუმარჯვია **ირაკლი ბერაძეს**, მაგრამ, ფაქტობრივად, მას პირველობაში ვერავინ შეეცილება. გუშინ შავებით მოუგო თავის პრინციპულ მეოქეს, **სანდრო ებრალიძეს** და 7.5 ქულა აქვს. უახლოესი მდევარი ნახევარი ქულით ჩამორჩება - **გიგლა ბენიძეს** 7 ქულა აქვს და დღეს შავებით ხვდება **მამუკა ანთაძეს**, რომელსაც თავის მხრივ მესამე ადგილზე გასვლის შანსი აქვს. ამათი დაპირისპირება პრინციპული იქნება და იოლად არავინ არაფერს დათმობს. ბერაძეს კი თეთრებით უწევს თამაში და მეტოქე ისეთი ჰყავს, რომლის დამარცხებაც ალბათ არ უნდა გაუჭირდეს - ბერაძემ ყველა ფავორიტთან ითამაშა და იმარჯვა, აქედან გამომდინარე, ჩემპიონობისთვის საჭირო ნახევარი ქულის მოპოვება მისთვის პრობლემა არ იქნება. აქ მესამე ადგილისთვის 6 ექვსქულიანი მოჭადრაკე იბრძოლებს: **გუგუნა ხიდეშელი, მამუკა ანთაძე, ოთარ კობეშავიძე, ნიკოლოზ ქუმსიაშვილი, უჩა მღვდელაძე და ნიკოლოზ ბერძენაძე.**



დეა გოგიშვილი

ბოლო ტურში: გოგონები: მარიამ სამურკასოვი (5.5) - დეა გოგიშვილი (7.5); ქეთევან ჩხეიძე (5) - ანა შამათავა (6.5); თეკლა მაჭარაშვილი (5.5) - ელენე საპანაძე (5); ნინო ჯღარკავა (5) - ნატო იმნაძე (5.5); ნინო ხომერიკი (5) - მარიამ ვალიშვილი (5).

ვაჟები: ირაკლი ბერაძე (7.5) - გუგუნა ხიდეშელი (6); მამუკა ანთაძე (6) - გიგლა ბენიძე (7); ოთარ კობეშავიძე (6) - ნიკოლოზ ქუმსიაშვილი (6); უჩა მღვდელაძე (6) - ნიკოლოზ ბერძენაძე (6).

**ზვიად შათირიშვილი**

ჩოგბურთი

# დიდი მწვრთნელის ხსოვნის ტურნირი



სანდრო ჭადაშვილი

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

14 და 16-წლამდელ ჩოგბურთელთა შორის საქართველოს ჩემპიონატის დასრულების შემდეგ ლეილა მესხის სახელობის საჩოგბურთო აკადემიის კორტებზე ღვაწლმოსილი ქართველი მწვრთნელის, **სოლომონ თუხარელის** ხსოვნისადმი მიძღვნილი ტრადიციული ტურნირი დაიწყო, რომელშიც 10-დან 16-წლამდე ჩოგბურთელები იღებენ მონაწილეობას. ტურნირის ორგანიზატორი და სულის ჩამდგმელი სოლომონ თუხარელის ოჯახის წევრები არიან, რომელთაც მხარს საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციაც უჭერს. ტურნირის დირექტორი ქალბატონი **ოლიკო თუხარელია**, ვინც სიამოვნებით აღნიშნავს, რომ ტურნირში მონაწილეთა რაოდენობამ 100-ს გვარიანად გადააჭარბა. ცალკეულ პარტნიორებთან ერთად ქალბატონი ოლიკო სამშენებლო კომპანია "აგუნასაც" ემადლიერება.

წლევანდელი ტურნირი მეთერთმეტედ ტარდება და როგორც მოგახსენეთ, 10-დან 16-წლამდე ასაკის ჩოგბურთელები ეჯიბრებიან ერთმანეთს. დღეს ფინალური მატჩების უმეტესობა გაიმართება, გუშინ კი რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა მოხერხდა, - ვაჟთა შორის 10, 12 და 16-წლამდელებში ჩემპიონის ვინაობა ცნობილია. დავიწყოთ 10-წლიანებით. აქ თექვსმეტი მონაწილე მოგროვდა და პირველ ნომრად **ნიკა ნიკოლაიშვილი** იყო განთესილი; მეორედ - **სანდრო სვანიძე**. თუ მკითხველს კარგად ემახსოვრება, სანდროს ტყუპისცალი ძმა ლექსო ჰყავს, რომელთანაც საქართველოს ჩემპიონატის ფინალში მოუწია თამაში. მაშინ სანდრომ გაიმარჯვა, ახლა კი ტყუპისცალმა რევანში აიღო და ფინალში 6:3, 6:4 გაიმარჯვა.

10-წლამდელებზე საუბარს აქ დავასრულებდით, მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს 6 წლის **სანდრო ჭადაშვილის** შესანიშნავი თამაში. ასაკიდან გამომდინარე, სანდროს სერიოზული მიზნები არ უნდა ჰქონოდა, მაგრამ მან სენსაცია პირველივე ეტაპზე მოახდინა და 10 წლის **ნიკა გედევანიშვილთან** სამ სეტში გაიმარჯვა - 3:5, 4:0, 8:6. შევნიშნავთ – უმცროს ასაკში სეტში გეიმთა რაოდენობა ოთხია. სანდრო აშკარად გამორჩეული ნიჭის მქონეა და რომ არა მეოთხედფინალში ფავორიტ **სანდრო სვანიძესთან** შეხვედრა, ვინძლო კიდევ წაეწია წინ...

12-წლამდელებში გამარჯვებული **ნიკა იორდანიდი** გახდა. ნიკა ნიჭიერ ბიჭად კი ითვლება, მაგრამ ტურნირის პირველ ნომრად **ლევან ფაშიშვილი** ითვლებოდა. ფაშიშვილმა მეოთხედფინალში დაყარა ფარ-ხმალი, იორდანიდიმ კი საკმაოდ იოლად გაიარა ყველა ბარიერი და ფინალში **გიორგი კაკულია** ორ სეტში იოლად - 6:0, 6:2 დაამარცხა.

16-წლამდელ ბიჭებში გამარჯვებული **გიორგი გეგეშიძე** გახდა, რომელმაც **ზურა ცხაკაიას** წინააღმდეგობა დაძლია ფინალში; თუმცა საკმაოდ გაუჭირდა: პირველ სეტში დამარცხდა - 4:6 და ამის შემდეგ იძალა - მომდევნო ორ სეტში გაიმარჯვა - 6:2, 7:5. 14-წლამდელებში გამარჯვებულის ვინაობა დღეს გაირკვევა.

გოგონებში ოთხივე ასაკში ფინალისტებია ცნობილი და დღეს გამოვლინდებიან უძლიერესები. 10-წლამდელ გოგონათა შორის **ქრისტინა გეგეშიძე** და **სალაყაია** შეხვდებიან. 12 წლამდელებში **თამუნა კუტუბიძე** და **ქეთი თეთრაძე** დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. 14-წლამდელებში **ეკატერინე პოტაპოვა** და **ლიზა ნადიბაიძე** შეხვდებიან. შეგახსენებთ, ნადიბაიძე ლეილა მესხის ქალიშვილია, კარიერაში მესამე ტურნირს თამაშობს და მესამეჯერვე ფინალში გავიდა; აქედან ერთში დამარცხდა, ერთში კი გამარჯვებას მიაღწია. 16-წლამდელებში **დიანა ტუმანოვა** და **თამარ ცხაკაია** დადგებიან ბადის მოპირდაპირე მხარეს.

ფინალური თამაშები დღეს დილის 9 საათიდან დაიწყება. დახურვის საზეიმო ცერემონიალი კი 15 საათისთვის არის დაგეგმილი.

**ზვიად შათირიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტოსპორტი. ფორმულა 1

# ᲙᲣᲑᲘᲪᲐ ᲜᲐᲜᲓᲝᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲗᲐᲜ ᲔᲞᲐᲢᲘᲟᲔᲑᲐ



ესპანურ პრესაში კვლავ აქტუალური გახდა **ფერნანდო ალონსოსა** და "რენოს" მოსალოდნელი გაყრის თემა. როგორც Diario Sport-ი წერს, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ვალდებულია, ერთი სრული სეზონი ჩაატაროს ფრანგული გუნდის ბოლიდით, შემდეგ კი, მას საკუთარი სურვილისამებრ შეეძლება ხელშეკრულების ერთი წლით გახანგრძლივება, თუმცა არავის სჯერა, რომ ესპანელი პილოტი ამ შესაძლებლობას გამოიყენებს.

გაზეთის ინფორმაციით, ალონსო ივლისის ბოლოს შეატყობინებს "რენოს" ხელმძღვანელობას გუნდიდან წასვლის შესახებ. როგორც ესპანელები ვარაუდობენ, ნანდოს შემდეგი სამუშაო ადგილი BMW Sauber-ი იქნება.

თავად პილოტი თავისი მომავლის შესახებ არანაირ კომენტარს არ აკეთებს. სამაგიეროდ, ორი დღის წინათ, ალონსომ "რენოს" პერსპექტივებსა და სავარაუდო გეგმებზე ისაუბრა. კერძოდ, ფერნანდოს მიაჩნია, რომ თუ მსოფლიო ჩემპიონატის უახლოეს ორ რბოლაში R28 სრულყოფაზე მუშაობა შედეგს არ გამოიღებს, უმჯობესია, "რენო" მთლიანად 2009 წლის ბოლიდის განვითარებაზე გადაერთოს.

მომდევნო ორი ეტაპი მანი-კურსა და სილვერსტოუნში უნდა გაიმართოს და იქ ფრანგული საჯინიბო განახლებული აეროდინამიკური პაკეტით უნდა წარსდგეს. ესპანელი დარწმუნებულია, რომ სწორედ ამ ეტაპების შედეგებიდან გამომდინარე უნდა მიიღოს "რენომ" გარკვეული გადაწყვეტილება.

*"რა თქმა უნდა, ეს რთული გადაწყვეტილება იქნება, მაგრამ ადრე თუ გვიან, ეს აუცილებლად უნდა გაკეთდეს. თუ ყველაფერი კარგად წავა, შესაძლებელი იქნება დღევანდელი ბოლიდის სრულყოფაზე მუშაობის გაგრძელება, თუ არა, მაშინ სეზონი დამთავრებულად ჩაითვლება და მომავალ წელზე დავიწყებთ ზრუნვას"*, - ამბობს ალონსო, რომელიც ჩემპიონატის საერთო ჩათვლაში მეშვიდე ადგილს იკავებს.

რაც შეეხება ნანდოს BMW Sauber-ში გადასვლას, როგორც ვთქვით, ესპანელი პილოტი ამის შესახებ არ საუბრობს, სამაგიეროდ მოსალოდნელ ტრანსფერს წლევანდელი ჩემპიონატის ლიდერი **რობერტ კუბიცა** ეხმაურება, რომელიც ამბობს, რომ ბედნიერი იქნება ალონსოსთან თანამშრომლობით.

არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ 23 წლის პოლონელი და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი კარგი მეგობრები არიან. სარბოლო უიქენდების დროს მათ ხშირად ხედავენ ერთად, იქნება ეს ერთობლივი სადილი თუ ბანქოს თამაში.

ეჭვი არავის ეპარება იმაში, რომ კუბიცა შეინარჩუნებს ადგილს BMW Sauber-ში და ხელფასსაც გვარიანად მოუმატებენ. ხოლო მისი თანაგუნდელის, **ნიკ ჰაიდფელდის** მომავალი ეჭვქვეშ დგას, მიუხედავად იმისა, რომ გერმანელს 2009 წლის ბოლომდე აქვს გუნდთან კონტრაქტი.

ესპანური El Pais-ის კითხვას, ისურვებდა თუ არა მეწყვილედ ალონსოს, კუბიცამ ასე უპასუხა: *"მასთან პრობლემა არ მექნებოდა. შესანიშნავად გვესმის ერთმანეთის. არ ვიცი, მომავალში რა იქნება, მაგრამ თუ ორივენი BMW Sauber-ში აღმოვჩნდებით, დარწმუნებული ვარ, შესანიშნავ დროს გავატარებთ"*.

**გია ᲗᲕᲐᲚᲐᲑᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ**

ოლიმპიზმი. პეკინი 2008

# ᲞᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲡᲡ ᲛᲘᲛᲓᲔᲕᲐᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲣᲩᲜᲓᲐ

## ᲞᲔᲙᲘᲜᲨᲘ ᲪᲐᲚᲤᲔᲮᲐ ᲐᲤᲠᲘᲙᲔᲚᲘ ᲒᲐᲪᲣᲠᲐᲕᲡ



ᲒᲣᲨᲘᲜ, გამოცხადდა იმის შესახებ, რომ სამხრეთ აფრიკის მოცურავეთა ოლიმპიურ ნაკრებში შეიყვანეს 20 წლის **ნატალი დუ ტუა**. ის პირველი სპორტსმენი გახდება ისტორიაში, რომელიც ოლიმპიურ და პარაოლიმპიურ თამაშებში მიიღებს მონაწილეობას.

საქმე ისაა, რომ დუ ტუამ 2001 წელს ფეხი დაკარგა და აქამდე მხოლოდ ინვალიდთა შეჯიბრებებში გამოდიოდა. ამჯერად კი, მან სევილიაში, ღია წყალზე მსოფლიო ჩემპიონატის 10 კილომეტრიან დისტანციაზე მეოთხე ადგილი დაიკავა და პეკინის ოლიმპიადაზე გამოსვლის უფლება მოიპოვა. აღსანიშნავია, რომ 2004 წელს, ათენის პარაოლიმპიურ თამაშებზე, სამხრეთაფრიკელმა ხუთი ოქროს და ერთი ვერცხლის მედალი მოიგო.

*"ნატალი ისტორიაში შევა, როგორც პირველი სპორტსმენი, ვინც ჯერ პეკინის ოლიმპიადაზე მოსინჯავს ძალებს, შემდეგ კი, იქვე პარაოლიმპიურ თამაშებში მიიღებს მონაწილეობას. ნებისმიერი საზომით, ეს უდიდესი მიღწევა გახლავთ"*, - ამბობს სამხრეთ აფრიკის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი **მოს მაშიში**.

**გია ᲗᲕᲐᲚᲐᲑᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ**

მძლეოსნობა. პეკინის წინ

# ᲑᲝᲚᲢᲡ ᲛᲐᲘᲜᲪ 200 ᲛᲔᲢᲠᲘ ᲣᲠᲩᲔᲕᲜᲘᲐ




ᲡᲐᲜᲐᲛ ნიუ იორკის სამძლეოსნო ტურნირზე იასპარეზებდა, იამაიკელი სპრინტერი **უსაინ ბოლტი** ჟურნალისტებს არწმუნებდა, რომ ოლიმპიადაზე მისი მიზანი 200 მეტრზე ასპარეზობაა, 100 მეტრზე გამოსვლისგან კი შეიძლება თავი შეიკავოს. იმ მომენტში ას მეტრზე მისი საუკეთესო შედეგი იამაიკის ერთ-ერთ რიგით ტურნირზე ნაჩვენები (იმ მომენტში ყველა დროის მეორე საუკეთესო) 9.76 წამი იყო.

ბოლტი ირწმუნებოდა, რომ ამ სეზონში ას მეტრზე უფრო ხშირად იმისთვის ასპარეზობს, რომ ორჯერ მეტ დისტანციაზე საწყისი სისწრაფე გაიუმჯობესოს. *"ჩემს მწვრთნელს ნათქვამი აქვს, ამ სეზონში უფრო ხშირად ას მეტრზე უნდა ვირბინო, რათა ორასზე საწყისი სისწრაფე გავიუმჯობესო. მაგრამ მანვე მირჩია, პეკინში ას მეტრზე გამოსვლაზე არც ვიოცნებო"*, - ამბობდა ბოლტი.

მაგრამ სულ რამდენიმე საათის შემდეგ, მანვე განაცხადა, ვფიქრობ, ჩემი მწვრთნელი თავის გადაწყვეტილებას დღეს შეცვლის, ოლიმპიადაზე ალბათ, ორივე დისტანციაზე გამოვალო.

ამის თქმის საბაბი ბოლტს მის მიერვე, ნიუ იორკში ნაჩვენებმა ფანტასტიკურმა შედეგმა (9.72 წამი) მისცა, რითაც მსოფლიოს რეკორდსმენის წოდება თანამემამულე **ასაფა პაუელს** ჩამოართვა.

თავად ბოლტს ძალიან უნდა, რომ პეკინში ორივე მოკლე სპრინტერულ დისტანციაზე იასპარეზოს. შარშან, მსოფლიო ჩემპიონატზე, 200 მეტრზე სპრინტში მან მეორე ადგილი დაიკავა ამერიკელი **ტაისონ გაის** უკან. გაიმ იქ მოკლე სპრინტის დუბლი შეასრულა და ჩემპიონატის საუკეთესო მამაკაცი მონაწილის სახელიც მოიხვეჭა. ორი წელიწადია, გაი პაუელის მთავარ მეტოქედ მიიჩნევა, მაგრამ ახლა მათ პაექრობაში ბოლტიც ჩაება. თუმცა, ნურავინ გაიკვირვებს, თუ პეკინში ის მართლა მხოლოდ ორას მეტრზე იასპარეზებს.

"მეხს" (ეს ბოლტის მეტსახელია, რომელიც მას პატარაობიდან მოსდევს) პეკინში (რა თქმა უნდა, თუ იქ იასპარეზებს) 200 მეტრზე სპრინტის ფინალის მეორე დღეს, 22 წელი შეუსრულდება. რა თქმა უნდა, ის ოცნებობს, რომ საიუბილეოდ ოლიმპიური ჩემპიონის ოქროს მედლის მოპოვება მოასწროს. მაგრამ მისმა მწვრთნელმა **გლენ მაილსმა** იცის, რომ ორ დისტანციას გამოდევნებულმა, შეიძლება ერთი კურდღელიც კი ვერ დაიჭიროს.

მაილსს მიაჩნია, რომ ას მეტრზე სპრინტში ასპარეზობა ბოლტისთვის შესანიშნავი ვარჯიშია და იქ ნაჩვენები შედეგების მიუხედავად, მისმა შეგირდმა ამ დისტანციაზე არც უნდა იოცნებოს. როცა ასეთ რჩევას აძლევდა, მაილსმა იცოდა, რომ ბოლტი თავის სასტარტო რეაქციას სწორედ ას მეტრზე ასპარეზობის დროს გაავარჯიშებდა.

*"ჩვენ ყველაფერზე ვმუშაობდით – გასროლის ხმაზე რეაგირებაზე, პირველი ნაბიჯის, შემდეგ მეორე ნაბიჯის გადადგმას და ასე შემდეგ. ადრე საშინელი სტარტი მქონდა. ახლა კი, თვით გაისაც კი ვჯობი. გლენისადმი მადლობის მეტი რა მეთქმის. მან ჩემს რეკორდში დიდი წვლილი შეიტანა"*, - ამბობს ბოლტი.

სხვათა შორის, ნიუ იორკში ბოლტმა გაის პირველ 50 მეტრზე აჯობა. მნიშვნელობა არ აქვს, დაამყარებდა თუ არა იამაიკელი რეკორდს, 50 მეტრის შემდეგ ამერიკელს მისი გასწრების შანსიც კი აღარ ჰქონდა. ბოლტმა სწორედ კარგი სტარტის წყალობით მიაღწია ამას.

გაი თვლის, რომ ბოლტმა და მან თითქმის ერთდროულად აიღეს სტარტი, მაგრამ იამაიკელმა დიდი ნაბიჯების წყალობით აჯობა. *"ჩვენ თითქმის ერთ რიტმში ვირბინეთ, განსხვავება კი ნაბიჯების სიგრძეში იყო. მას წარმოუდგენლად ზორბა ნაბიჯები აქვს. ყოველ გადადგმაზე სულ უფრო წინ მიდიოდა"*, - იხსენებს გაი.

ნიუ იორკის "აიკენ სტედიუმი", სადაც ბოლტმა რეკორდი დაამყარა, კუნძულ რენდალზე მდებარეობს. ამავე კუნძულზე კიდევ ერთი, "დაუნინგ სტედიუმია" განლაგებული, სადაც **ლეროი ბარელმა** 1991 წელს მსოფლიოს რეკორდი (9.90 წამი) დაამყარა. საერთოდ, სპრინტერები რატომღაც თვლიან, რომ ეს კუნძული რეკორდებისთვის ხელსაყრელი ადგილი არაა. თანაც, ტურნირის დღეს ძლიერი ქარი ამოვარდა, სარბენი ბილიკი კი წვიმამ დაასველა, რითაც საასპარეზო პირობები მკვეთრად გაუარესდა. ამის გამო, ტურნირის ორგანიზატორებმა გრაფიკი მთლიანად შეცვალეს. მაგრამ... *"წვიმას არც მე და არც სხვები არ შევუშინებივართ. პირიქით, ყველანი განსაკუთრებულად სწრაფები ვიყავით"*, - ამბობს გაი.

ბოლტი კი, კითხვაზე, მშრალ ბილიკზე მისი შედეგი კიდევ უფრო უკეთესი ხომ არ იქნებოდა? ასეთ პასუხს იძლევა: *"არ ვიცი. საერთოდ, ამინდს ყურადღებას აღარ ვაქცევ. როცა ასე იქცევი, ეს შენს განწყობაზე მოქმედებს. ჰელსინკის მსოფლიო ჩემპიონატზე (2005 წელი) ცივ ამინდში ასპარეზობამ მოგვინია და ამან მთლიანად მომშალა. ამის შემდეგ, საკუთარ თავს ვუთხარი, რომ ამინდს ყურადღება აღარასოდეს უნდა მივაქციო. ახლა ყოველთვის ვცდილობ, რომ ქარშიც და კარგ ამინდშიც ერთნაირად მობილიზებული და სწრაფი ვიყო"*.

ბოლტი დარწმუნებულია, რომ ას მეტრზე ასპარეზობით მიღებული გამოცდილება, მას ორას მეტრზე შედეგების გაუმჯობესებაშიც დაეხმარება. *"წინასწარ ამაზე ლაპარაკი არ მინდა. ალბათ სჯობს, დაველოდოთ ამ დისტანციაზე პირველ გამოსვლას და მერე ვილაპარაკოთ, რისი პერსპექტივა მექნება. ჩემთვის მთავარი ოლიმპიური ოქროა. რომელ დისტანციაზე მოვიპოვებ მას, მნიშვნელობა არ აქვს. ჩემი მწვრთნელი ყოველთვის მარწმუნებს, თუ რეკორდისა დამყარებას მოინდომებ, აუცილებლად დაამყარებო. ახლა რეკორდზე აღარ ვფიქრობ, ახლა მთავარი ოლიმპიური ოქროს მოპოვებაა. ადრე თუ გვიან, რეკორდს ვინმე მომიხსნის, ოლიმპიადის და მსოფლიო ჩემპიონატის ოქრო კი ყოველთვის ჩემი იქნება. ამიტომ, ამ ორ მედალს ჩემთვის რეკორდზე მეტი მნიშვნელობა აქვს"*, - დასძენს ბოლტი.

გუშინ ის ისევ 200 მეტრზე სპრინტზე გადაერთო – ოსტრავაში, ოქროს ბუცის სერიის ტურნირზე გამოვიდა, სადაც სეზონის საუკეთესო დრო, 19.83 დააფიქსირა. შემდეგ კი ბოლტის გეგმაში იამაიკის ჩემპიონატია, რომელიც ამავდროულად, ქვეყნის ოლიმპიური ნაკრების შესარჩევი ტურნირიცაა. იქ მას ას მეტრზე პაუელის წინააღმდეგ გამოსვლა მოუწევს. მერე კი, ის და მისი მწვრთნელი საბოლოოდ გადაწყვეტენ, ეცდება მსოფლიოს რეკორდსმენი პეკინში სპრინტერული დუბლის შესრულებას, თუ არა.

**ᲛᲔᲠᲐᲑ ᲚᲝᲠᲗᲥᲘᲤᲐᲜᲘᲫᲔ**

მსოფლიო რეკორდი

# ᲠᲝᲑᲚᲔᲡᲛᲐ ᲑᲘᲚᲘᲙᲖᲔ ᲒᲐᲘᲤᲠᲘᲜᲐ

ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲐᲓᲘᲡ დაწყებამდე ორი თვეც არ რჩება, მძლეოსნობასა და ცურვაში კი რეკორდი რეკორდზე მყარდება და თუ ასე გაგრძელდა, პეკინში შეიძლება ძალაგამოლეული ვარსკვლავები ვიხილოთ. ან პირიქით, რეკორდების ცვენის მოწმენი გავხდეთ.

სლოვენიის ქალაქ ოსტრავაში გამართულ ოქროს ბუცის სერიის ტურნირზე, 110 მეტრზე თარჯრბენში, მსოფლიოს ახალი რეკორდი დაამყარა კუბელმა **დაირონ რობლესმა**, ვინც დისტანცია 12.87 წამში გაირბინა და 0.01 წამით გააუმჯობესა ჩინელი **ლიუ სიანის** მიერ ორი წლის წინათ, ლოზანაში (შვეიცარია) დამყარებული რეკორდი.

რობლესისგან ოსტრავაში გამარჯვებას ბევრი ელოდა – კუბელ თარჯმრბენს წლეულს ჭერქვეშა ტურნირებზე დაფიქსირებული რვა საუკეთესო შედეგიდან შვიდი ეკუთვნის. მაგრამ რეკორდი მაინც დიდი მოულოდნელობა იყო. მითუმეტეს, რომ 21 წლის კუბელმა ღია არენაზე წლეულს სულ მესამედ იასპარეზა.



რობლესი სარეკორდო გარბენისას

*"შესანიშნავი შედეგია. რეკორდს ნამდვილად არ ველოდი. სეზონისთვის კარგად მომზადებული კი ვარ, მაგრამ პიკს მხოლოდ საპეკინოდ ვგეგმავდი"*, - განაცხადა რობლესმა, ვინც ლიდერობა მეოთხე ბარიერის გადალახვის შემდეგ იგდო ხელთ და ფინიშამდე წინ აღარავინ გაუშვია.

რობლესმა კარგა შორს ჩამოიტოვა მეორეზე გასული ამერიკელი **ტერენს ტრამელი**, ვისაც მსოფლიოს ჩემპიონატებსა და ოლიმპიადებზე ორ-ორი ვერცხლი აქვს მოპოვებული. მერვე ბარიერის შემდეგ უკვე დარწმუნებული ვიყავი, რომ მისი დაწევა შეუძლებელი იქნებოდაო, ამბობს ამერიკელი.

ოსტრავაში არ უასპარეზია ლიუს, ვისაც ბარძაყის მსუბუქი ტრავმა აქვს და ზედმეტად დატვირთვას მოერიდა. შეგახსენებთ, რომ ლიუმ ორი წლის წინათ ბრიტანელი **კოლინ ჯექსონის** რეკორდი (12.91 წამი) გააუმჯობესა, რომელიც 13 წელი ხელუხლებელი იყო.

ოსტრავაშივე, ამ სეზონში 200 მეტრზე სპრინტში პირველად იასპარეზა იამაიკელმა სპრინტერმა **უსაინ ბოლტმა**, ვინც 12 დღით ადრე მსოფლიო რეკორდი ას მეტრზე სპრინტში დაამყარა. პირველივე გამოსვლაზე მან 200 მეტრზე სპრინტში სეზონის საუკეთესო შედეგით (19.83 წამი) მოიგო. აღსანიშნავია, რომ ამაზე სწრაფად მას მხოლოდ ერთხელ, შარშან აქვს ნარბენი და მაშინაც, იამაიკის რეკორდი (19.75 წამი) დაამყარა.

**ᲛᲔᲠᲐᲑ ᲚᲝᲠᲗᲥᲘᲤᲐᲜᲘᲫᲔ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. ფინალი. IV მატჩი

# ამასაც მოხერხება უნდა

## ლეიკერსმა წააგო მატჩი, რომელსაც 24 ქულით იგებდა



ალენმა (მარჯვნივ) კობის სისხლი გაუშრო

**ლეიკერსი-ბოსტონი 91:97**

35:14, 23:26, 15:31, 18:26

ლ: ოდომი (19+10 მოხსნა), ბრაიანტი (17+10 პასი+4 ჩაჭრა), გასოლი (17+10 მოხსნა), ფიშერი (13), რადმანოვიჩი (10), არისა (6), ვუიაჩიჩი (3), ფარმარი (3), უოლტონი (3), ტურიაფი.

ბ: პირსი (20+7 პასი), რ. ალენი (19+9 მოხსნა+3 ჩაჭრა), პოუსი (18), გარნეტი (16+11 მოხსნა+2 ჩაჭრა), ჰაუსი (11), რონდო (5), ბრაუნი (3), პოუ (3), პერკინსი (2), კასელი, ტ. ალენი.

**სერია 1:3**

რა შეიძლება მოხდეს, რომ "ბოსტონ სელტიქსმა" თავის მდიდარ ისტორიაში მე-17 ჩემპიონობა ვერ მოიპოვოს? ალბათ, არც არაფერი და "ლეიკერსი", რომელიც დასავლეთის უძლიერესი კონფერენციის ჩემპიონი გახდა, ველარ შეამცირებს სოლიდურ ჩამორჩენას თავის ისტორიულ მეტოქესთან, ვისთანაც წარსულში დიდი ბრძოლები გადაუტანია და ვისთვისაც (თეორიულად) ამჯერადაც უნდა მოელო ბოლო.

"სელტიქსმა" გააკეთა ის, რაც მიმდინარე პლეი ოფში ვერცერთმა მოტივირებულმა დასავლურმა გუნდმა ვერ შეძლო, ანუ მოიგო ლოს ანჯელესში და მთელი ჰოლივუდური არმია, კალიფორნიელი ფანები და რაც მთავარია, "ლეიკერსი" შოკში ჩააგდო. როგორია, შეხვედრის მსვლელობისას აგებდე 24 ქულას, მერე კი ნელ-ნელა ამოქაჩო ჩამორჩენა და გადამწყვეტ მომენტში მოწინაალმდეგეს მომაკვდინებელი დარტყმა მიაყენო? "ბოსტონმა" ეს გააკეთა, თუმცა მხოლოდ "დიდ სამეულს" არ გამოუჩენია თავი.

"ლეიკერსს" შემადგენლობით მეტოქეზე მეტი შემსრულებელი, ანუ ქულის მომხვეჭი ჰყავს, ამ ჯგუფს კი სათავეში სეზონის საუკეთესო მოთამაშე **კობი ბრაიანტი** უდგას. "ბოსტონს" კი **კევინ გარნეტს, რეი ალენსა** და კაპიტან **პოლ პირსს** თუ გამოაცლი, მივიღებთ ერთ ჩვეულებრივ გუნდს, სადაც "შავი მუშები" სჭარბობენ, ხოლო კარგი ტექნიკისა და გადამწყვეტი სროლის მქონე მოთამაშე კი სანთლით საძებარი იქნება.

გუნდებმა თითქმის ერთნაირი მაჩვენებლებით დაასრულეს შეხვედრა, ოღონდ თუ თავიდან მასპინძლები ბურთს თითქმის არ აცილებდნენ, მერე და მერე **ფილ ჯექსონის** ბიჭებს ყველაფერი გაუფუჭდათ, "სელტიქსმა" კი ჯერ ანგარიში გაათანაბრა, ბოლო მეოთხედში კი დამაჯერებელი, წმინდა საჩემპიონო კალათბურთით მეტოქე ნოკდაუნში ჩააგდო.

ისე, ალბათ, ნოკაუტშიც, რადგან "ბოსტონს" რეგულარულისას ზედიზედ სამი თამაში არ წაუგია და წარმოუდგენელია, ფინალურ სერიაში აქამდე დაეცეს. ამას არ დაუშვებს პირსი, რომელიც ძალიან დიდხანს იყო სხვა ვარსკვლავების ჩრდილში და თავის შანსს ელოდა. ამას არ დაუშვებს გარნეტი, ვისთვისაც ეს ჩემპიონობა "დიდების დარბაზში" მოხვედრის ბილეთი გახდება. და რაც მთავარია, ამას არ დაუშვებს "სელტიქსის" მდიდარი, სისხლითა და ოფლით გაჟღენთილი ისტორია, რომელსაც 1:3 დეფიციტები ადრეულ ეტაპებზე არაერთხელ გაუქვითავს, თავად კი ფინალებში არასოდეს დაუთმია სერია ამ ანგარიშის დაფიქსირების მერე.

*"მოგების შანსი თავადვე მოვისპეთ. როდესაც წინ 24 ქულით გადიხარ, შეხვედრა დამაჯერებლად უნდა მიიყვანო გამარჯვებამდე, მაგრამ ჩვენ ზედმეტი მოვინდომეთ, მეტოქე სათვალავში აღარ ჩავაგდეთ და დავისაჯეთ. იყო თუ არა ეს სერიის გადამწყვეტი მომენტი? იმედი მაქვს, არა, რადგან ამ "ლეიკერსს" არაერთხელ დაუმტკიცებია, რომ ყველაზე კრიტიკულ სიტუაციებშიც კი შეუძლია სხვაზე დამაჯერებლად, კონცენტრირებულად თამაში"*, - ამბობდა ნამატჩევს კალიფორნიელთა ასაკოვანი მსროლელი **დერეკ ფიშერი**, რომელმაც თამაშიდან 5-ში ერთადერთი სროლა ააცილა და დაცვაშიც საკმაოდ ნორმალურად გამოიყურებოდა, თუმცა ჯექსონი მას ბოლომდე არ ენდო და მოედანზე მხოლოდ 25 წუთით დატოვა.

თუ **პაუ გასოლმა** წინა მატჩებთან შედარებით, ასე თუ ისე ნორმალურად ჩაატარა მთელი მატჩი, **კობი ბრაიანტმა** უამრავი სროლა (19-ში 13) გააფუჭა, ბლომად ზუსტი პასების ჩამორიგების მიუხედავად კი, მისი საბოლოო სტატისტიკური მონაგარი გუნდისთვის მაინც წამგებიანი იყო.

ბრაიანტს ძალიან კარგად, აგრესიულად ეთამაშა რეი ალენი, ვისაც ასე არც ამ სერიაში, და ალბათ, არც მიმდინარე პლეი ოფის რომელიმე მატჩში უთამია.

რეი იყო ერთადერთი მოთამაშე ორივე გუნდის შემადგენლობაში, რომელმაც მთელი მატჩი შეუცვლელად ჩაატარა და 48 წუთში ერთადერთი შეცდომა დაუშვა.

*"ალენი ნამდვილი კაცია, რომელმაც მთელი სეზონის განმავლობაში თავი შეაკლა გუნდს, არავის, არცერთ მეტოქეს არაფერი დაუთმო და ჩვენი წარმატება მეტწილად სწორედ მისმა თავდაუზოგავმა გამოსვლამ განაპირობა"*, - ამბობდა ნამატჩევს გამართულ პრესკონფერენციაზე გარნეტი, ვისთვისაც ეს კარიერაში საუკეთესო მატჩი არ ყოფილა, თუმცა მან ჩვეული ორმაგი დუბლითა და სამქულიანის გადაკეტვით თავის გამოჩენა მაინც მოახერხა.

"სელტიქსის" წარმატებაში ძალიან დიდი როლი სათადარიგო გამთამაშებელმა, **ედი ჰაუსმა** შეიტანა, რომელსაც სათამაშო დრო **რაჟონ რონდოს** ტრავმის გამო გაეზარდა. ჰაუსის ორმა სამიანმა სათავე დაუდო სტუმართა გადამწყვეტ, 21:3 (!) გაქცევას, რის მერეც ყველაფერი გადაწყვეტილი იყო.

სტარტზე 2:2-ის მერე, სტუმრებმა ანგარიში მეოთხე მეოთხედში, **ლეონ პოუს** საშუალო გდებით გაათანაბრეს, ხოლო პირველად კი წინ ჰაუსის სროლით სულ ბოლოს გავიდნენ - 84:83 გავიდნენ. ამის მერე, "ლეიკერსმა" იმდენი სროლა გააფუჭა, ბარე ორ მეოთხედს ეყოფოდა, ხოლო პირსმა და კომპანიამ კი მოიგეს მატჩი, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სერიის მოგების ტოლფასი იყო.

კობიმ პირველ ნახევარში ერთი ქულაც ვერ დააგროვა, ხოლო ბოლო წუთებზე კი ერთხელ გამოიჩინა თავი, რის მერეც სხვაობა ორ ქულამდე შემცირდა (87:89), მაგრამ მერე და მერე **ჯეიმს პოუსიმ** სამიანით, ხოლო პირსმა კი საჯარიმოებით ყველაფერს თავისი ადგილი მიუჩინეს.

**ზურაბ თალაკვაძე**

ჰოკეი. NHL

# ლიგამ პრიზები დაარიგა

ტორონტოში ჰოკეის ეროვნული ლიგის ლაურეატთა დაჯილდოვების ცერემონია გაიმართა. როგორც მოსალოდნელი იყო, ყველაზე პრესტიჟული პრიზი -"ჰარტ ტროფი" (სეზონის MVP) "ვაშინგტონის" რუს ლეგიონერს, **ალექსანდრ ოვეჩკინს** ერგო, რომელმაც თანამემამულე **ევგენი მალკინსა** ("პიტსბურგი") და "კალგარის" ფორვარდ **ჯერომ ინიგლას** აჯობა. ოვეჩნიკმა კიდევ ერთი ჯილდო დაიმსახურა - ის თავად ლიგის ჰოკეისტებმაც სეზონის საუკეთესო მოთამაშედ აირჩიეს.

რუსი ფორვარდის დამრიგებელმა, **ბრიუს ბურდომ** სეზონის საუკეთესო მწვრთნელის პრიზი მოიპოვა, არადა ამ სპეციალისტმა სეზონის მსვლელობისას ჩაიბარა "ვაშინგტონი", მაგრამ იმდენი შეძლო, რომ აუტსაიდერი პლეი ოფში გაიყვანა.

სხვა პრიზები ასე გადანაწილდა: ზედიზედ მეორედ (კარიერაში მეოთხედ) საუკეთესო მეკარე "ნიუ ჯერსის" გოლკიპერი **მარტინ ბროდო** გახდა; მცველების ნომინაცია "დეტროიტის" შვედმა ლეგიონერმა **ნიკლას ლიდსტრიომმა** მოიგო. ის ზედიზედ მეხამედ, კარიერაში კი, მეექვსედ აღიარეს საუკეთესო დამცველად; საუკეთესო დებიუტანტის პრიზი კი, "ჩიკაგოს" ახალწვეულ **პატრიკ კეინს** ერგო.

ცერემონიაზე სეზონის სიმბოლური ნაკრებებიც დასახელდა:

**პირველი ნაკრები:** მეკარე - ევგენი ნაბოკოვი ("სან ხოსე"); მცველები - ნიკლას ლიდსტრიომი ("დეტროიტი"), დიონ ფანოფი ("კალგარი"); თავდამსხმელები - ევგენი მალკინი ("პიტსბურგი"), ჯერომ იგინლა ("კალგარი"), ალექსანდრ ოვეჩკინი ("ვაშინგტონი").

**მეორე ნაკრები:** მეკარე - მარტინ ბროდო ("ნიუ ჯერსი"); მცველები - ბრაიან კემპბელი ("სან ხოსე"), ზდენო ხარა ("ბოსტონი"); თავდამსხმელები - ჯო ტორნტონი ("სან ხოსე"), ალექსეი კოვალიოვი ("მონრეალი"), ჰენრიკ ზეტერბერგი ("დეტროიტი").

**დებიუტანტების ნაკრები:** მეკარე - კერი პრაისი ("მონრეალი"); მცველები - ტობიას ენსტრიომი ("ატლანტა"), ტომ გილბერტი ("ედმონტონი"); თავდამსხმელები - ჯონათან ტეივზი ("ჩიკაგო"), პატრიკ კეინი ("ჩიკაგო"), ნიკლას ბექსტრიომი ("ვაშინგტონი").

**გია თვალაბეიშვილი**



ნიკლას ლიდსტრიომი

## TV სპორტი

### 14 ივნისი. შაბათი

**რუსთავი 2**

19:30 ფეხბურთი. ევრო 2008. მიმოხილვა.
20:00 ფეხბურთი. ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. D ჯგუფი. ესპანეთი-შვედეთი (LIVE).
22:45 ფეხბურთი. ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. D ჯგუფი. საბერძნეთი-რუსეთი (LIVE).
00:30 ფეხბურთი. ევრო 2008. მიმოხილვა.

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

10:00 საფეხბურთო კლუბი.
10:45 ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. C ჯგუფი. იტალია-რუმინეთი.
12:55 საფეხბურთო კლუბი.
13:30 ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. C ჯგუფი. პოლანდია-საფრანგეთი.
15:40 საფეხბურთო კლუბი.
16:35 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:50 ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. C ჯგუფი. იტალია-რუმინეთი.
19:00 საფეხბურთო კლუბი.
19:45 ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. D ჯგუფი. ესპანეთი-შვედეთი (LIVE).
21:55 საფეხბურთო კლუბი.
22:30 ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. D ჯგუფი. საბერძნეთი-რუსეთი (LIVE).
00:40 საფეხბურთო კლუბი.

**SPORT 1 (უკრაინა)**

07:00 ფეხბურთი. ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. B ჯგუფი. ავსტრია-პოლონეთი.
08:45 სპორტდოსიე. კრიკეტი.
09:10 პროფესიული კრივი. რინგ-საიდი.
10:15 მშვილდოსნობა. მსოფლიო თასი.
10:45 ფეხბურთი. ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. C ჯგუფი. იტალია-რუმინეთი.
12:30 სპორტის სამყარო.
13:00 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
13:30 ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
14:00 პლაჟის ფეხბურთი. უკრაინის ჩემპიონატი (LIVE).
15:05 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
15:30 კალათბურთი. FIBA-ს მიმოხილვა.
16:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. ჰალე. გერმანია (LIVE).
18:00 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
18:30 ფეხბურთი. ევრო 2008.
20:00 ფეხბურთი. ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. D ჯგუფი. ესპანეთი-შვედეთი (LIVE).
22:00 ფეხბურთი. ევრო 2008.
22:45 ფეხბურთი. ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. D ჯგუფი. საბერძნეთი-რუსეთი (LIVE).
00:45 ფეხბურთი. ევრო 2008.
01:45 ბილია. ჩემპიონთა თამაშები.
02:45 ფეხბურთი. ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. C ჯგუფი. იტალია-რუმინეთი.
04:30 ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
05:00 ფეხბურთი. Barca TV.
05:10 ფეხბურთი. ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. C ჯგუფი. საფრანგეთი-პოლანდია.

**EUROSPORT**

10:30 ავტოსპორტი. ლე მანის 24-საათიანი რბოლა. კვალიფიკაცია. საფრანგეთი.
11:00 ავტოსპორტი. ლე მანის 24-საათიანი რბოლა. საფრანგეთი (LIVE).
11:45 ფეხბურთი. ევრო 2008.
12:15 ფეხბურთი. ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. D ჯგუფი. საბერძნეთი-შვედეთი.
14:15 ავტოსპორტი. ფორმულა მასტერსი. I რბოლა. ბრნო. ჩეხეთი (LIVE).
15:00 ფეხბურთი. ევრო 2008.
15:30 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. ქალები. მე-3 ადგილისთვის. გერმანია (LIVE).
16:30 ავტოსპორტი. ლე მანის 24-საათიანი რბოლა. საფრანგეთი (LIVE).
17:45 ველოსპორტი. პრო ტური. კრიტერიუმ დოფინე ლიბერე. VI ეტაპი. საფრანგეთი (LIVE).
19:00 ფეხბურთი. ევრო 2008. ახალი ამბები.
19:15 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).
20:15 ცხენოსნობა. საფრანგეთი.
22:00 ფეხბურთი. ევრო 2008. ახალი ამბები.
22:15 მულტისპორტი.
22:30 ცხენოსნობა. საფრანგეთი (LIVE).
00:00 ავტოსპორტი. ლე მანის 24-საათიანი რბოლა. საფრანგეთი (LIVE).
00:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. თურქეთი.
01:00 ფეხბურთი. ევრო 2008.
01:30 ფეხბურთი. ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. C ჯგუფი. საფრანგეთი-პოლანდია.
03:30 ფეხბურთი. ევრო 2008.
04:00 ავტოსპორტი. ლე მანის 24-საათიანი რბოლა. საფრანგეთი.
05:00 ავტოსპორტი. ლე მანის 24-საათიანი რბოლა. საფრანგეთი (LIVE).

**EUROSPORT-2**

09:00 ახალი ამბები.
09:15 ფეხბურთი. ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. D ჯგუფი. ესპანეთი-რუსეთი.
11:00 რაგბი. წყნარი ოკეანის ერთა თასი. II ტური. სამოა-ავსტრალია.
12:00 ავტოსპორტი. ლე მანის 24-საათიანი რბოლა. საფრანგეთი (LIVE).
13:00 რაგბი. წყნარი ოკეანის ერთა თასი. II ტური. ფიჯი-ახალი ზელანდია.
14:00 ახალი ამბები.
14:15 ფეხბურთი. ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. D ჯგუფი. საბერძნეთი-შვედეთი.
16:00 ფეხბურთი. ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. D ჯგუფი. ესპანეთი-რუსეთი.
17:45 ავტოსპორტი. ლე მანის 24-საათიანი რბოლა. საფრანგეთი (LIVE).
20:15 რაგბი. საფრანგეთის ჩემპიონატი. TOP14. XXVI ტური.
21:30 ახალი ამბები.
22:00 ავტოსპორტი. ლე მანის 24-საათიანი რბოლა. საფრანგეთი (LIVE).
00:00 ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. კვალიფიკაცია. ბრნო. ჩეხეთი.
00:30 ავტოსპორტი. ლე მანის 24-საათიანი რბოლა. საფრანგეთი (LIVE).

### 15 ივნისი. კვირა

**რუსთავი 2**

22:00 ფეხბურთი. ევრო 2008. მიმოხილვა.
22:40 ფეხბურთი. ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. A ჯგუფი. შვეიცარია-პორტუგალია (LIVE).
00:30 ფეხბურთი. ევრო 2008. მიმოხილვა.
00:50 ფეხბურთი. ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. A ჯგუფი. თურქეთი-ჩეხეთი.

**პირველი არხი**

16:55 რაგბი. საერთაშორისო ტურნირი. საქართველო-ურუგვაი. რუმინეთი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

10:00 საფეხბურთო კლუბი.
10:45 ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. D ჯგუფი. ესპანეთი-შვედეთი.
12:55 საფეხბურთო კლუბი.
13:30 ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. D ჯგუფი. საბერძნეთი-რუსეთი.
15:40 საფეხბურთო კლუბი.
16:35 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:50 ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. D ჯგუფი. ესპანეთი-შვედეთი.
19:00 Futbol Mundial. საფეხბურთო ჟურნალი.
19:35 ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. D ჯგუფი. საბერძნეთი-რუსეთი.
21:45 საფეხბურთო კლუბი.
22:30 ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. A ჯგუფი. შვეიცარია-პორტუგალია (LIVE).
00:40 საფეხბურთო კლუბი.
01:30 ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. A ჯგუფი. თურქეთი-ჩეხეთი.

**SPORT 1 (უკრაინა)**

07:10 სპორტდოსიე. პლაჟის ფრენბურთი.
07:30 სპორტის სამყარო.
08:00 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
08:30 კალათბურთი. FIBA-ს მიმოხილვა.
09:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. ჰალე. გერმანია.
13:05 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
12:30 სპორტის სამყარო.
14:05 პლაჟის ფეხბურთი. უკრაინის ჩემპიონატი (LIVE).
15:10 ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
15:40 ცურვა. Mare Nostrum. საფრანგეთი.
17:40 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. ფლამენგო-სან პაულუ.
19:25 ფეხბურთი. ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. D ჯგუფი. საბერძნეთი-რუსეთი.
21:15 ფეხბურთი. ევრო 2008.
22:45 ფეხბურთი. ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. A ჯგუფი. თურქეთი-ჩეხეთი (LIVE).
00:45 ფეხბურთი. ევრო 2008.
01:45 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. რეალი-ვილიარეალი.
03:30 სპორტდოსიე. პლაჟის ფრენბურთი.
04:00 ცურვა. Mare Nostrum. საფრანგეთი.
06:05 ფეხბურთი. ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. D ჯგუფი. შვედეთი-ესპანეთი.

**EUROSPORT**

11:00 ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. A ჯგუფი. თურქეთი-შვეიცარია.
13:00 ავტოსპორტი. ლე მანის 24-საათიანი რბოლა. საფრანგეთი (LIVE).
14:00 ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. I რბოლა. ბრნო. ჩეხეთი (LIVE).
15:00 სუპერსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. გერმანია (LIVE).
16:00 ავტოსპორტი. ლე მანის 24-საათიანი რბოლა. საფრანგეთი (LIVE).
17:15 ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. II რბოლა. ბრნო. ჩეხეთი (LIVE).
18:15 ველოსპორტი. პრო ტური. კრიტერიუმ დოფინე ლიბერე. VII ეტაპი. საფრანგეთი (LIVE).
19:15 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. II რბოლა. გერმანია.
20:00 ფეხბურთი. ევრო 2008. ახალი ამბები.
20:15 ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. A ჯგუფი. ჩეხეთი-პორტუგალია.
22:00 ფეხბურთი. ევრო 2008. ახალი ამბები.
22:15 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. ლონდონი. ბრიტანეთი.
23:30 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. მამაკაცები. ფინალი. გერმანია.
00:00 მოტორსპორტი. ყოველკვირეული ტელეჟურნალი.
00:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. თურქეთი.
01:00 ფეხბურთი. ევრო 2008.
01:30 ფეხბურთი. ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. D ჯგუფი. ესპანეთი-შვედეთი.

**EUROSPORT-2**

09:00 ახალი ამბები.
09:15 ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. A ჯგუფი. ჩეხეთი-პორტუგალია.
11:00 ავტოსპორტი. ლე მანის 24-საათიანი რბოლა. საფრანგეთი (LIVE).
13:00 ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. კვალიფიკაცია. ბრნო. ჩეხეთი.
13:30 ახალი ამბები.
14:00 ავტოსპორტი. ლე მანის 24-საათიანი რბოლა. საფრანგეთი (LIVE).
16:00 სუპერბაიკი. ბრიტანეთის ჩემპიონატი. I რბოლა (LIVE).
16:45 ახალი ამბები.
17:00 მოტოკროსი. მსოფლიო ჩემპიონატი. I რბოლა. საფრანგეთი.
18:00 მოტოკროსი. მსოფლიო ჩემპიონატი. II რბოლა. საფრანგეთი (LIVE).
19:00 სუპერბაიკი. ბრიტანეთის ჩემპიონატი. II რბოლა.
19:30 ახალი ამბები.
20:00 ავტოსპორტი. ფორმულა მასტერსი. II რბოლა. ბრნო. ჩეხეთი.
21:00 ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. II რბოლა. ბრნო. ჩეხეთი.
22:00 ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული სეზონი.
23:30 ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა.
01:00 ახალი ამბები.

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**მუნდიალი 2010**

| აფრიკა | |
|---|---|
| ჯიბუტი-კდრ | 0:6 |
| მავრიტანია-ეთიოპია | 0:1 |

**ჩოგბურთი**

| ATP. ჰალე | |
|---|---|
| სიოდერლინგი-კოლშრაიბერი | 4:6, 6:7 |
| კიფერი-ლოდრა | 6:0, 6:0 |
| ფედერერი-ბალდატისი | 6:4, 6:4 |
| ბლეიკი-ბეკი | 7:6, 7:6 |

| ATP. ლონდონი | |
|---|---|
| ნადალი-კარლოვიჩი | 6:7, 7:6, 7:6 |
| ჯოკოვიჩი-ჰიუიტი | 6:2, 6:2 |
| ნალბანდიანი-გასკე | 6:4, 3:6, 7:6 |
| როდიკი-მარეი | გადაიდო |

| ATP. ვარშავა | |
|---|---|
| კანიასი-ფონინი | 5:7, 5:7 |
| მონაკო-გრანოლერსი | 6:4, 6:3 |
| დავიდენკო-კოროლიოვი | 6:4, 6:2 |
| რობრედო-ერნანდესი | 4:6, 6:2, 6:2 |

| WTA. ბარსელონა | |
|---|---|
| საფაროვა-მარტინესი | 2:6, 1:6 |
| კოენ ალორო-ივანოვა | 6:2, 6:1 |
| ლაგოსტერა ვივესი-ერანი | 2:6, 6:2, 6:3 |
| კირილენკო-გალოვიტცი | 7:6, 6:1 |

| WTA. ბირმინგემი | |
|---|---|
| ვიკმაიერი-საუთი | 6:4, 6:3 |
| ვაიდიშოვა-მატეკი | 3:6, 0:6 |
| ჩეტკოვსკა-კ. ბონდარენკო | 6:7, 2:6 |
| ა. ბონდარენკო-ერაკოვიჩი | 4:6, 5:7 |

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ერთი დღე-ღამე ბორბლებზე



დღეს, საფრანგეთის ქალაქ ლე მანში ლეგენდარული 24-საათიანი რბოლა დაიწყება. ეს შეჯიბრი არცერთ საავტომობილო სერიაში არ შედის, მაგრამ ამის მიუხედავად, აქ გამარჯვებულ პილოტს სიცოცხლის ბოლომდე გარანტირებული აქვს დიდება. შესაძლოა, "ლე მანი" არ არის სანახაობრივი რბოლა, განსაკუთრებით მათთვის, ვინც გასწრებაში პოულობს სიამოვნებას, მაგრამ მას ყველაზე დიდი "ცოცხალი" აუდიტორია ჰყავს. ამ რბოლაში მონაწილეობას დიდ პატივად თვლიდნენ ისეთი ლეგენდები, როგორებიც იყვნენ ხუან მანუელ ფანხიო და იოხენ რინდტი, ბრიუს მაკლარენი და დენი ჰულმი, გრემ ჰილი და მიკელე ალბორეტო... არადა, ფორმულას ამ გმირებს ზედმეტი დიდება არაფერში სჭირდებოდათ.

"ლე მანი" ყოველმხრივ განსაკუთრებული და პარადოქსულია. მას განსაკუთრებული ტრასა აქვს. ოდესღაც, მისი სიგრძე 17 კილომეტრს შეადგენდა, მაგრამ თანდათანობით, დღევანდელ 13 კილომეტრამდე დაიყვანეს. მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, ეს ძალიან ბევრია.

ქალალზე მისი ვირაჟები სტანდარტულად გეჩვენება - ზუსტად ისეთი, როგორც ფორმულა 1-ის ტრასებზე. მაგრამ ეს ასე არ არის. სინამდვილეში, აქ ყველაფერი რამდენჯერმე დიდია - სწორი მონაკვეთებიც და მოსახვევებიც. აქედან გამომდინარეობს მანქანების განსაკუთრებული სისწრაფე. აქედანვეა პილოტაჟის სირთულეები, რომელზეც ხშირად ახალბედები საუბრობენ. როცა ვირაჟიდან გასასვლელი ჩანს, დიდია ცდუნება იმისა, რომ სიჩქარე არ დააგდო. მაგრამ დამუხრუჭება აუცილებელია, თორემ 300 კილომეტრი საათის სიჩქარით მოძრავი ავტომობილი კედელს გაიტანს. ბევრ ახალბედას მოსვლია ასეთი შეცდომა.

"ლე მანს" წარსულიც განსაკუთრებული აქვს. როცა 1923 წელს, საფრანგეთის საავტომობილო კლუბის პრეზიდენტმა **ჟორჟ დიურანმა** ავტოდრომზე სადღეღამისო რბოლის ჩატარების იდეა წამოაყენა, ბევრს მიაჩნდა, რომ ეს დუნე და მოსაწყენი სანახაობა იქნებოდა. მაგრამ ჩაატარეს და გაირკვა, რომ ეს პილოტებსაც მოსწონდათ და მაყურებლებსაც. თავიდან აკრძალული იყო მექანიკოსების ნებისმიერი დახმარება (პილოტები ვალდებულნი იყვნენ, თავად შეესრულებინათ ყველა სარემონტო სამუშაო). ეს წესი მარათონს გარკვეულ პიკანტურობას სძენდა და ტრასაზე ბევრი საინტერესო სიტუაცია იქმნებოდა.

მაგალითად, შეიძლება 1933 წელს გამართული რბოლის გახსენება. **რაილი სომერისა** და **ტაციო ნუვოლარის** "ალფა რომეოს" საწვავის ავზი დაუზიანდა და ბენზინს უშვებდა. წესით, პილოტებს რბოლა უნდა შეეწყვიტათ, მაგრამ მათ ავზზე ნახვრეტის ამოვსება ჩვეულებრივი სალეჭი რეზინით (!) გადაწყვიტეს. და ამ დუეტმა არათუ ფინიშამდე მიაღწია, გაიმარჯვა კიდეც!

■ ■ ■

შემდეგ, ეს რბოლა უფრო და უფრო თანამედროვე ხდებოდა. იზრდებოდა სისწრაფე, უფრო სრულყოფილი ხდებოდა მანქანები. აუცილებელი გახდა მექანიკოსების დახმარება. მაგრამ "ლე მანმა" შეინარჩუნა ყველაზე არაპროგნოზირებადი საავტომობილო შეჯიბრების სტატუსი.

რბოლის ისტორიას ბევრი სასაცილო შემთხვევა ახსოვს. მაგალითად, 1953 წელს **ტონი როლტისა** და **დანკან ჰემილტონის** გამოსვლა. იმ "ლე მანზე" "იაგუარმა" ერთბაშად სამი ეკიპაჟი წარმოადგინა. როლტი და ჰემილტონი სწორედ მესამენი იყვნენ. სტარტამდე ერთი დღით ადრე მათ უთხრეს, რომ რბოლაში მონაწილეობას ვერ მიიღებდნენ, რადგან ძალიან ბევრი მონაწილე შეგროვდა და ერთი ეკიპაჟი უნდა მოეშორებინათ. როლტი და ჰემილტონი ბარში გაეშურნენ, სადაც მთელი ღამე ადგილობრივ ვისკის აჭაშნიკებდნენ. დილით კი გაირკვა, რომ რბოლაში მესამე "იაგუარიც" დაუშვეს. სანამ მიხვდნენ, რაში იყო საქმე, პილოტებს დიდი ხანი ალვიძებდნენ და გრძნობაზე მოჰყავდათ. საქმე იქამდე მივიდა, რომ როლტი ძლივს ჩასვეს მანქანაში - მას გული ერეოდა. 24 საათის შემდეგ კი, ის და ჰემილტონი გამარჯვებას ზეიმობდნენ.

■ ■ ■

ამავე ტრასას ავტოსპორტის ისტორიაში ყველაზე უცნაური ფინიშიც ახსოვს. თითქოს, 24-საათიან რბოლაში ასეთი რამ გამორიცხული უნდა ყოფილიყო, მაგრამ 1966 წელს, ორი "ფორდი" ერთდროულად მივიდა ფინიშთან. გამარჯვებულის გამოვლენა შეუძლებელი იყო, მაგრამ ტრიუმფატორი მაინც გამოარკვიეს. ჩემპიონად **ბრიუს მაკლარენის** ეკიპაჟი გამოცხადდა. რატომ? იმიტომ, რომ მან კონკურენტებზე გვიან აიღო სტარტი, შესაბამისად, უფრო მეტი დისტანცია გაიარა.

■ ■ ■

თავის დროზე, "ლე მანს" უნიკალური სტარტი ჰქონდა. პილოტები, რომლებსაც პირველ ცვლაში უწევდათ სტარტის აღება, თავიანთი მანქანებისკენ გარბოდნენ. ვისაც უფრო მარდი ფეხები ჰქონდა, შესაბამისად, პირველი იღებდა სტარტს. მაგრამ ამ სისწრაფეში "მძლეოსნებს" უსაფრთხოების ქამრების შეკვრა ავიწყდებოდათ და ამის გამო, ორგანიზატორებისგან შენიშვნებს იღებდნენ - აქაოდა, ადამიანების სიცოცხლეს საფრთხეში აგდებთო.

"მძლეოსნური სტარტის" ისტორია 1969 წელს დასრულდა. ახალგაზრდა **ჯეკი იქსმა**, რომელიც ჯერ არ ითვლებოდა რბოლების ვარსკვლავად, სტარტის წინა დღეს ჟურნალისტები გააფრთხილა - არავითარ შემთხვევაში არ გამოეტოვებინათ "ლე მანის" სტარტი. ყველას აინტერესებდა, რა ჰქონდა ჩაფიქრებული იქსს.

და აი, დადგა 16 საათი, სტარტის ტრადიციული დრო. პილოტები მთელი ძალით გარბიან მანქანებისკენ. იქსი კი, მოხუცი ბაბუას იმიტირებას აკეთებს და წელში მოხრილი მიბობლავს თავისი "ფორდისკენ". აუჩქარებლად ჩაჯდა მანქანაში, აუჩქარებლად შეიკრა ქამარი... და როცა მანქანა დაძრა, მისი მეტოქეები შესამჩნევი მანძილით იყვნენ წინ გაჭრილნი. იმ რბოლაში ჯეკიმ (6 გამარჯვებით იქსი "ლე მანის" რეკორდსმენია) პირველი ადგილი დაიკავა და თანაც, 120 მეტრით გაუსწრო "პორშეს". ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს გაეუქმებინათ "ლე მანის" საფირმო სტარტი.

■ ■ ■

"ლე მანი" ტრაგედიებითაც არის ცნობილი. სწორედ აქ, 1955 წელს მოხდა ავტოსპორტის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე საშინელი ავარია.

უშიშარ ფრანგ **პიერ ლევეგს** ამ რბოლაში ბევრჯერ მიუღია მონაწილეობა და არაერთხელ ყოფილა გამარჯვებასთან ახლოს. მაგრამ იმ წელიწადს, ის უკნიდან შეასკდა **ლენს მაკლინის** Austin Healy-ს. ლევეგის "მერსედესი" ჰაერში აფრინდა და აფეთქდა. თითქოს უდიდესი ჭურვი აფეთქდაო, მანქანის ნამსხვრევები და ძრავა ტრიბუნისკენ გაიტყორცნა. დაიღუპა მრბოლელი და კიდევ 80 ადამიანი.

"მერსედესის" ხელმძღვანელობამ რბოლის შეწყვეტის გადაწყვეტილება მიიღო, არადა, ეს გუნდი აშკარა ფავორიტად ითვლებოდა (მის შემადგენლობაში იყვნენ ავტოსპორტის ლეგენდები - **სტირლინგ მოსი** და **ხუან მანუელ ფანხიო**). გერმანული კონცერნის ხელმძღვანელობამ ავტოსპორტში მოღვაწეობა შეწყვიტა და მას მხოლოდ 30 წლის შემდეგ დაუბრუნდა.

ყველაზე მეტად ამ საშინელი ავარიის გამო შვეიცარია შეშინდა. ამ ქვეყანაში წრიული ავტორბოლები დღემდე აკრძალულია.

■ ■ ■

"ლე მანს" აწმყოც განსაკუთრებული აქვს. სადღეღამისო რბოლები დიდი ხანია აღარ ითვლება ეგზოტიკად. საფრანგეთის გარდა, ანალოგიური შეჯიბრებები ამერიკულ დეიტონაში და ბელგიის სპაში იმართება. მაგრამ "ლე მანი" მაინც "ლე მანია", ის ძველებურად მწვერვალად რჩება.

აქ ყველაზე მეტი ავტომობილი გადის სტარტზე (ამჯერად ეკიპაჟების რიცხვი 55 იქნება). ისინი ორ დიდ კლასად იყოფიან - პროტოტიპები და GT. პროტოტიპები - ეს პრინციპში "ფორმულაა": ავტომობილები, რომლებსაც რეალურ "აუდისთან" ან "ფერარისთან" არაფერი აქვთ საერთო - მონსტრები ოთხი ლიტრი მოცულობის ძრავებით ტრასაზე 350 კილომეტრი საათი სიჩქარით დაქრიან. GT (ჩვენებურად - "გრანდ-ტურიზმი") - ეს სწორედ ისეთი მანქანებია, რომლებიც ძალიან გვანან სერიულ ავტომობილებს, მაგრამ ძალიან სწრაფები არიან, თითქმის ისევე, როგორც პროტოტიპები.

■ ■ ■

რბოლის გარშემო აჟიოტაჟს კოლოსალურს ვერ ვუწოდებთ - აქ სხვა სიტყვა უნდა ვიხმაროთ, მაგალითად, არარეალური აჟიოტაჟი. ეს პატარა ქალაქი, თავისი გარეუბნებით პირთამდე ხალხით არის სავსე. პარასკევს საღამოს, სტარტის წინ, ისინი ვინც ჯერ კიდევ ფხიზლად არიან, იაკობინელების მოედანზე იკრიბებიან, სადაც აუცილებლად იმართება ძველი ავტომობილების ალლუმი. ტრადიციულად, ამ რარიტეტებით მაყურებლების წინაშე "ლე მანის" მონაწილეები ჩაივლიან ხოლმე.

რამდენიმე საათის შემდეგ კი, ლე მანის ქუჩებში სიარული ჭირს: ასფალტი ლუდითა და ღვინით არის გაწებილი.

■ ■ ■

როგორც ზემოთ ვთქვით, წლევანდელ რბოლაში 55 ეკიპაჟი მიიღებს მონაწილეობას. სიაში მრავლად არიან ფორმულა 1-ის ყოფილი პილოტები - **ალან მაკნიში, ოლივიე პანისი, ფრანკ მონტანი, მარკ ჟენე, რიკარდო ზონტა, ჟაკ ვილნევი, ალექს ვიურცი, ტომაშ ენგე, იოს ფერსტაპენი, მიკა სალო...**

ფავორიტად Peugeot 908-ის პროტოტიპის ეკიპაჟი ითვლება, რომლის შემადგენლობაში ვილნევი, ჟენე და **მინასიანი** შედიან. ამ ტრიომ სპაზე "ლე მანის" რეპეტიცია - 1000-კილომეტრიანი მარათონი მოიგო. მაგრამ ფრანგული რბოლა ძნელად პროგნოზირებადია და ასე ხელაღებით ფავორიტის დასახელება შეუძლებელია.

**გია თვალაბეიშვილი**

